ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2013

№257 (14 173) ფასი 80 თეთრი

## ვინ დაამარცხებს რიბერის



7

# აი, ყისმათი!

■ საპასუხო მერვედფინალების ნინათქმაში ვივარაუდეთ, რომ საქართველოს თასის გათამაშების ამ ეტაპზე გარკვეული სიურპრიზები გველოდა. ასეც მოხდა - ასპარეზობას გამოეთიშა „ზესტაფონი“, ქუთაისის „ტორპედოს“ კი უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ „სპარტაკთან“ ჭიდილში პენალტების სერია დასჭირდა მეოთხედფინალში გასასვლელად.
...ისე როგორ უნდა ყოფილიყო, ამ ეტაპზე პირველი ლიგის წარმომადგენელიც არ გვეხილა? ეს პატივი წილად ერგო ქობულეთის „შუქურას“, რომელიც უმაღლესი ლიგის შვიდ გუნდთან (თბილისის „დინამო“, „ტორპედო“, „ჩიხურა“, „დილა“, „მეტალურგი“, „მერანი“, „სიონი“) ერთად დაელოდება საქართველოს თასის მეოთხედფინალის წილისყრას. ამ ეტაპის პირველი მატჩები კი, კალენდრის თანახმად, 2014 წლის 26 თებერვალს უნდა გაიმართოს...

## სათასო დრამა ვაკეში



2-4

სპარტაკი-ტორპედო. ქუთაისელთა მატჩისშემდგომი სიხარული — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ჭანტურია, 3:0...



4

## 7:3 ცირკი ბერნაბეუზე




6

**იტალია:** ნაპოლის პრინციპული გამარჯვება ფლორენციაში, მილანი ისევ კოჭლობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

30.10. თბილისი. დინამო არენა
300 მაყურებელი

დინამო (თბ) **6**

კოლხეთი (ხ) **0**

პირველი მატჩი 9:0

1:0 გველესიანი (16. გრიგალაშვილის პასით), 2:0 მიქაბერიძე (33. ხურცილავას პასით), 3:0 ვუო (43. დვალის პასით), 4:0 ვუო (52. ხურცილავას პასით), 5:0 ვუო (81. ლექვთაძის პასით), 6:0 გოგა (90)

| დინამო (თბ) 4-4-2 | კოლხეთი 5-4-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | გელაშვილი |
| ხურცილავა | ცობეხია |
| შაშიაშვილი | ო. ფიფია |
| გველესიანი | ბუაია |
| გლიშიჩი | პაჭკორია |
| ე. გრიგალაშვილი | გ. გოგენია |
| ძარია | ბუცხრიკიძე |
| პაპავა | მეფიშვილი |
| მიქაბერიძე | ა. გოგენია |
| დვალი | ქაშიბაძე |
| ვუო | გერგაია |
| მწვრთნელი დ. უზრინი | მწვრთნელი ლ. ნოდია |

**დინამო (თბ)**

46. ძარია - **ლექვთაძე**
63. გრიგალაშვილი - **ხმალაძე**
64. დვალი - **გოგა**

*სათადარიგოები:* ზარქუა, ხოჭოლავა, კვარაცხელია, სეთურიძე

**კოლხეთი**

60. ბუცხრიკიძე - **გაბრავა**
66. გ. გოგენია - **ლ. გოგენია**
73. ცობეხია - **ფირცხალავა**

*სათადარიგოები:* ლომაია, გვაზავა, ჭურღულია

გაფრთხილება: გოგა (69)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

# ვუო და სხვები



პატრიკ ვუომ ჰეთ თრიკი შეასრულა

„დინამომ" მეოთხედფინალის საგზური პირველ მატჩშივე გაიფორმა, ასე რომ, გუშინდელი შეხვედრა ფორმალობაც იყო. ამას გარდა, კვირას გასამართი „მეტალურგთან" დაპირისპირების წინ დინამოელებს მშვენიერი სპარინგიც გამოუვიდათ, ოღონდ, ამ შემთხვევაში სულაც არ ვაკნინებთ ხობის „კოლხეთს" - პირველი ლიგის წარმომადგენელი ხომ თავიდანვე უშანსოდ იყო ფორმააკრეფილი „დინამოს" წინააღმდეგ...

როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უზრინმა** სერიოზულად გადაახალისა შემადგენლობა: ძირითადის ზოგიერთი წევრი (**ხმალაძე, გოგა, კვარაცხელია, სეთურიძე**) სათადარიგოთა სკამზე იჯდა, **გიორგი ლორია, ჩისკო, უსტარიცი, გიორგი მერებაშვილი** და **დავით კვირკველია** კი თანაგუნდელების იოლ მატჩს „დინამო არენის" ვიპ-ლოჟიდან ადევნებდნენ თვალს.

მატჩი კი „დინამოს" უპირატესობით დაიწყო და კაპიტნის რანგში მოასპარეზე **ირაკლი ძარიას** წამოწყებული და **დარკო გლიშიჩის** გაგრძელებული კომბინაცია, წესითა და რიგით, გოლით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ **პატრიკ ვუომ** უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა.

„დინამოს" კოტდივუარელი ცენტრფორვარდი, საერთოდაც, მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იყო: ჰეთ-თრიქი ხომ შეასრულა, დაახლოებით ამდენივე რეალურზერეალური მომენტიც ვერ გამოიყენა! თანაც, ვუოს თითქმის ყველა გოლი და ვერგამოყენებული მომენტებიც ერთმანეთს ჰგავდა: თავდამსხმელი პოზიციას კარგად ირჩევდა და სტუმართა მეკარის ბაქანთან „ჩასაფრებული" ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ სამჯერ იხეირა.

გოლი არ გაუტანია, მაგრამ ერთობ სასარგებლოდ გაისარჯა **ელგუჯა გრიგალაშვილი**, რომლის ჩაწოდებულ საჯარიმოს მოჰყვა კიდეც შეხვედრის პირველი გოლი, **გიორგი გველესიანმა** ეფექტური თავური დარტყმით რომ გაიტანა. გრიგალაშვილმა წამოიწყო ის კომბინაციაც, ფლანგზე **დავით ხურცილავამ** რომ გააგრძელა და ბოლოს, **გიორგი მიქაბერიძის** ზუსტი დარტყმით რომ დამთავრდა. სხვათა შორის, ხურცილავას ეფექტიანი თამაშიც აღსანიშნავია - დინამოელთა მარჯვენა მცველმა გუშინ ორი საგოლე პასი მიითვალა.

..."დინამოს" შეტევებს ბოლო არ უჩანდა და **ზაზა გელაშვილის** კართან შექმნილი მომენტების ჩამოთვლასაც აზრი არ აქვს, უბრალოდ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, თუ როგორ ვერ შეძლო **ჯაბა დვალისა** (პირველ ტაიმში) და **ირაკლი ლექვთაძის** (მეორე ტაიმში) ჩინებული პასების მერე ჩვენ მიერ არაერთხელ ნახსენებმა ვუომ, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი მომენტების გაცუდება.

რაც შეეხება სტუმრებს, „კოლხეთის" ფეხბურთელებმა „დინამოს" მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს, როცა მეორე ტაიმში **ცოტნე ბუკიამ** საჯარიმო დარტყმა შეასრულა. აქვე, ის ეპიზოდიც გვინდა გავიხსენოთ, პირველ ტაიმში **რობიკო ცობეხიამ** მარჯვენა ფლანგზე ჩინებული რეიდი რომ წამოიწყო, მეტოქის საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ საბოლოო დარტყმა ზუსტი არ გამოუვიდა. მატჩს საბოლოო წერტილი კი **დორინ გოგამ** დაუსვა: რუმინელმა შემტევმა ინდივიდუალურად გაიბრწყინა და ეფექტური გოლიც გაიტანა.

**გია ტუხაშვილი**

30.10. თბილისი. მ. მესხი.
300 მაყურებელი

სპარტაკი **2**

პენალტებით 5:6

ტორპედო **2**

პირველი მატჩი 2:2

1:0 თუხარელი (4), 1:1 კვეკვესკირი (23-საკ. კარში), 2:1 შონია (69), 2:2 ახვლედიანი (82)

პენალტების სერია: 1:0 მგელაძე, 1:1 გიგაური, 2:1 თექთურმანიძე, 2:2 ჭანტურია, 3:2 ბურძენაძე, 3:2 ჭელიძე (ააცილა), 4:2 ფანცხავა, 4:3 ცინცაძე, 4:3 კვეკვესკირი (ააცილა), 4:4 ახვლედიანი, 5:4 ქურდაძე, 5:5 ხიდეშელი, 5:5 ჩაფიძე (ააცილა), 5:6 კაპანაძე

| სპარტაკი 4-3-3 | ტორპედო 4-3-3 |
|---|---|
| ნანიევი | ქვილითაია |
| მგელაძე | გაბაძე |
| ქურდაძე | ჭელიძე |
| კვეკვესკირი | ხიდეშელი |
| მეგრელიშვილი | უბილავა |
| შონია | ცინცაძე |
| კილასონია | გიგაური |
| კაკაშვილი | კუხიანიძე |
| თუხარელი | კაპანაძე |
| ჩაფიძე | ფანცულაია |
| მეტრეველი | საბანაძე |
| მწვრთნელი ვ. ხაჩიძე | მწვრთნელი ჟ. სარაგოსა |

**სპარტაკი**

80. კილასონია - **ბურძენაძე**
84. თუხარელი - **თექთურმანიძე**
90. მეტრეველი - **ფანცხავა**

*სათადარიგო:* ნადირაძე, კ. ხიზანეიშვილი, ჭაფოძე, მაქაცარია

**ტორპედო**

46. კუხიანიძე - **ახვლედიანი**
60. უბილავა - **გოროზია**
80. ფანცულაია - **ნ. ჭანტურია**

*სათადარიგო:* კუპატაძე, სანდოხაძე, ჯიქია, ბარაბაძე

გაფრთხილება: მეტრეველი (29), ჭელიძე (44), ხიდეშელი (45), თექთურმანიძე (92), კვეკვესკირი (105), გაბაძე (107)

გაძევება: კვეკვესკირი (პენალტების სერიის დროს)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# ოჰ, ეს ყისმათი!



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ცხინვალის „სპარტაკმა" დასანანი მარცხი განიცადა - ორჯერ წაიყვანა ანგარიში, პენალტების სერიაშიც დაწინაურდა, ქუთაისის „ტორპედომ" კი გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინა და მომდევნო ეტაპზეც გავიდა.

ეროვნულ ჩემპიონატში „ტორპედო" მოწინავეთა შორისაა, „სპარტაკი" კი მაჩანჩალაა, თუმცა გუშინ ნამდვილად არ იგრძნობოდა ასეთი სხვაობა - ტიპური სათასო დაპირისპირება ვიხილეთ.

მასპინძლებმა სწრაფი გოლი მოახერხეს - **ჩაფიძემ** მარცხნიდან ჩააწოდა, **თუხარელი** კი ჰაერში კარგად გაიწვართა, დასწრებაზე ითამაშა და თავით გადაგზავნა ბურთი კარში.

„ტორპედო" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა, „სპარტაკმა" კი კონტრშეტევაზე გადააწყო თამაში. ქუთაისელები უტევდნენ, თუმცა საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. „სპარტაკმა" კურიოზული გოლი გაუშვა - **კვეკვესკირმა** საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ცუდად დაუხვედრა თავი, ბურთს ოდნავ შეეხო და საკუთარ კარში გადაგზავნა.

ქუთაისელებს პირველ ტაიმში კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, როცა **კაპანაძე** მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან დაარტყა და ბურთი **ნანიევმა** მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „სპარტაკმა" საჩუქარი ვერ შეირგო - **ქვილითაიამ** ბურთი **შონიას** ჩააბარა. სპარტაკელთა კაპიტანმა ქუთაისელთა მეკარის გაბითურება მოინდომა, თუმცა დრიბლინგით ისე გაერთო, საბოლოოდ ქვილითაიას მაინც ვერ აჯობა. „სპარტაკი" ხელმეორედ დაემუქრა მოწინააღმდეგეს და კვეკვესკირის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ისევ ქვილითაიას ნადავლი გახდა.

1:1 „ტორპედოს" ხელს არ აძლევდა და უტევდა, თუმცა - ქაოტურად, გააზრებული კომბინაციების გარეშე. სტუმრები, ცოტა არ იყოს, დაძაბულად მოქმედებდნენ და არაფერი გამოსდიოდათ. ამასობაში კი საოცარი გოლიც ვიხილეთ - შონიამ შორიდან ისეთი „დააქუხა", თქვენი მოწონებული - 2:1.

ფსიქოლოგიური უპირატესობაც უკვე „სპარტაკის" მხარეს იყო. ჩაფიძეს შეეძლო გოლის „გამოდნობა", როცა მარცხნიდან შეიჭრა „ტორპედოს" საჯარიმოში, მაგრამ ქვილითაიამ ბურთი შორეულ კუთხეში არ შეუშვა.

„ტორპედოს" დალაგებული იერიშები ვერ დავინახეთ, თუმცა ქუთაისელებს მონდომებას ვერ დაუწუნებდით. სტუმრები გოლის გატანას „სტანდარტული" სიტუაციიდან თუ მოახერხებდნენ - ამის წაკითხვა ძალიან ადვილი იყო. ასეც მოხდა - შეცვლაზე შესულმა **ახვლედიანმა** ჯარიმიდან ისე „მოჭრა" ბურთი, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ვერც „ცოცხალმა კედელმა" ვერ იხსნა და ვერც ნანიევმა.

დამატებითი დროის პირველ ტაიმში „ტორპედომ" შტურმისმაგვარი მოუწყო „სპარტაკს", მომდევნო 15 წუთში კი თანაბარი თამაში იყო, რამდენჯერმე ეფექტურად გაისარჯა **გიორგი თექთურმანიძე**, თუმცა საგოლე მომენტი არც ერთ გუნდს არ შეუქმნია.

წინა სეზონში პირველლიგელმა „სპარტაკმა" თასის მერვედფინალში პენალტების სერიით აჯობა „ვიტ ჯორჯიას". მაშინ „სპარტაკის" კარში **ნადირაძე** იდგა, რომელმაც სამი 11-მეტრიანი მოიგერია. სპარტაკელთა დამრიგებელმა არ გარისკა და ძირითადი დროის ბოლოს ის არ შეიყვანა შეცვლაზე...

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო და დრამატული მატჩი ვიხილეთ. რა თქმა უნდა, „ტორპედომ" დამსახურებულად გაიმარჯვა და ამაში ყისმათიც დაეხმარა.

**დავით თავართქილაძე**

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ლოკომოტივი | 4:0 (1:3) |
| კოლხეთი (ფ)-მეტალურგი | 1:3 (0:2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

30.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1 000 მაყურებელი

**ზესტაფონი 0**
**სიონი 1**

**პირველი მატჩი 0:1**

0:1 ბიბილეიშვილი (49)

| ზესტაფონი 4-2-3-1 | სიონი 5-1-2-2 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | მერლანი |
| თორ. გრიგალაშ. | ფოფხაძე |
| თედ. გრიგალაშვ. | სვანიძე |
| რენე ფერეირა | აბრამიძე |
| კანდელაკი | ქემოკლიძე |
| აჯურუ | უგრეხელიძე |
| ჯანბერიშვილი | იმედაშვილი |
| სამუშია | გოგობერიშვილი |
| შარიქაძე | პარუნაშვილი |
| კუტალია | ბიბილეიშვილი |
| ლომია | კახელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. დოსტანიჩი | გ. ლოლაძე |

**ზესტაფონი**

62. სამუშია - **სარდალიშვილი**
62. ქანტურიშვილი - **კვერნაძე**
77. კუტალია - **რაქამაშვილი**

სათადარიგოები: მეშველიანი, ენდელაძე, გაგოშიძე, რეკრუკი

**სიონი**

67. უგრეხელიძე - **თოთაძე**
70. ბიბილეიშვილი - **აფციაური**
80. კახელიშვილი - **ლობჟანიძე**

სათადარიგოები: ბათიაშვილი, განუგრავა, ჩივაძე, მიკუჩაძე

გაფრთხილება: უგრეხელიძე (25), აჯურუ (51), ქემოკლიძე (67), იმედაშვილი (73), ფოფხაძე (89)

არბიტრი: თ. გვანცელაძე



ფოტო: fczestafoni.ge

# ახალი მწვრთნელით მეოთხედფინალში

ამ გუნდების პირველი მერვედფინალური შეხვედრის შედეგიდან (თბილისში გამართული მატჩი „სიონმა" 1:0 მოიგო) გამომდინარე, საინტერესო და დაძაბული მატჩის მოლოდინი იყო. საამისოდ, ფეხბურთელებს მზიანი ამინდი და ხავერდივით მოედანიც უწყობდათ ხელს, მაგრამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მატჩი საკმაოდ უფერული გამოდგა. განსაკუთრებით ცუდი სანახავი იყო პირველი ტაიმი - ნელი ტემპი, ძალიან ცოტა სახიფათო და დასამახსოვრებელი ეპიზოდი... ზესტაფონელები, რომელთაც აუცილებლად მართებდათ გოლის გატანა, უაზროდ და ქაოტურად უტევდნენ. **რატკო დოსტანიჩის** გუნდს აშკარად აკლდა მთავარი გოლეადორი **ირაკლი ქობალია**. მის არყოფნაში იმერლებმა ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეს - **ლომიას** ფლანგებიდან **სამუშია** და **კუტალია** ეხმარებოდნენ, თუმცა ურთიერთგაგება დარღვეული იყო და მათ შეტევებს ბოლნისელთა გამოცდილი უკანახაზელები იოლად უმკლავდებოდნენ.

„სიონს" კი, რომელთაც ახალი მთავარი მწვრთნელი **გიორგი ლოლაძე** ხელმძღვანელობდა, აქცენტი კონტრშეტევებსა და „სტანდარტულების" მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაზე ჰქონდა გაკეთებული. ბოლნისელები საკმაოდ ჭკვიანურად გადადიოდნენ დაცვიდან იერიშზე და პირველ ტაიმში სამი საგოლე მომენტიც ჰქონდათ - ჯერ იყო და, **უგრეხელიძემ** კუთხურის შემდეგ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, მერე **პარუნაშვილის** სახიფათო დარტყმა გადაევლო ხარიხას, ტაიმის მიწურულს კი იმავე პარუნაშვილის დარტყმის შემდეგ ზესტაფონელები გოლისგან მეკარე **კვასხვაძემ** იხსნა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ცოტა ხანში მასპინძლები ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - სტუმართა მორიგი „სტანდარტულისას" ზესტაფონელებმა საჯარიმოდან ბურთის ხეირიანად მოგერიება ვერ მოახერხეს და **კახელიშვილმა** ის მეკარის ბაქანთან შეაბრუნა, სადაც კვასხვაძემ და **რენე ფერეირამ** შეუთანხმებლად ითამაშეს, **გიორგი ბიბილეიშვილმა** კი ამით ისარგებლა და ბოლნისელები წინ გაიყვანა. ორი მატჩის ჯამში „სიონი" უკვე 2:0-ს იგებდა...

უცნაური იყო, რომ ამის შემდეგაც დოსტანიჩის გუნდი კვლავ დუნედ მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ტემპის დაგდებას ბოლნისელებიც უწყობდნენ ხელს, მაგრამ როგორც კი ბურთს მოიხელთებდნენ, სწრაფადვე გადადიოდნენ კონტრშეტევებზე. გამოსარჩევია კახელიშვილის, **გოგობერიშვილისა** და პარუნაშვილის აქტიურობა.

სიტუაციის გამოსასწორებლად, ზესტაფონელთა თავკაცმა ორმაგ ცვლილებას მიმართა - სამუშიასა და **ქანტურიშვილის** ნაცვლად, მოედანზე ფორვარდები - **მიხეილ სარდალიშვილი** და **ოთარ კვერნაძე** შეიყვანა. მასპინძლებმა შეტევები გაამწვავეს და ბოლნისელთა მეკარე **მირზა მერლანს** **თედორე გრიგალაშვილისგან** ურთულესი ბურთის აღებაც მოუხდა...

მაგრამ, ეს იყო და ეს. ეტყობოდა, რომ „ზესტაფონი" მარცხს ადრევე შეეგუა, ბოლნისელებმა კი ახალ მწვრთნელს შესანიშნავი დებიუტი მოუწყვეს.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

30.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
700 მაყურებელი

**მერანი 1**
**გურია 1**

**პირველი მატჩი 2:1**

0:1 ჩიკვილაძე (55. შალამბერიძის პასით), 1:1 მელიავა (70. გეგეჭკორის პასით)

| მერანი 4-5-1 | გურია 4-4-1-1 |
|---|---|
| ხარშილაძე | ბობლიაშვილი |
| მელიავა | ძამსაშვილი |
| ღონღაძე | იობაშვილი |
| ფარულავა | შუშანია |
| გ. ხუბუა | ჩიკვილაძე |
| ქათამაძე | ჯიშკარიანი |
| ფირცხავა | კილაძე |
| კერძევაძე | შენგელია |
| ციკოლია | შალამბერიძე |
| ბაბუნაშვილი | კოშკაძე |
| კვანტალიანი | ისიანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ჩხეტიანი | რ. პოპორა |

**მერანი**

37. ბაბუნაშვილი - **მელქაძე**
60. ციკოლია - **გეგეჭკორი**
80. კვანტალიანი - **ქარქუზაშვილი**

სათადარიგოები: შეროზია, გვგია, გ.ხუბუა, კრისი

**გურია**

46. ძამსაშვილი - **ჯოჯუა**
46. შენგელია - **ჩაგელიშვილი**
70. კილაძე - **დარჩიძე**

სათადარიგოები: გოგუაძე, გაჩეჩილაძე, ჯობაძე, ტორონჯაძე

გაფრთხილება: ძამსაშვილი (33), შალამბერიძე (48), ღონღაძე (53), ჯოჯუა (86)

არბიტრი: თ. ხუჭუა

# მოეხსნა მერანს წნეხი?

„მერანს" ისევ საკადრო პრობლემები აქვს - **აკაკი შულაია**, **ლაშა კუჭუხიძე** და **გიორგი ლობჟანიძე** ტრამვირებულები არიან. ახლა მათ დაემატა **შოთა ბაბუნაშვილიც**, რომელიც ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა.

პირველი ტაიმი სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. „გურიამ" პირველი სახიფათო მომენტი 26-ე წუთზე შექმნა - კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი **კოშკაძეს** მიუვიდა, მაგრამ მისი ყუმბარისებური დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. ზუსტად ორ წუთში **ჯიშკარიანმა** მახვილი კუთხიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა და მეკარესა და მცველს შორის შეუთანხმებელი თამაშის შედეგად კინაღამ კარში აღმოჩნდა. შეცდომა ისევ **ხუბუამ** გამოასწორა და ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელი კარიდან გამოიტანა.

გულხელდაკრეფილები არც მასპინძლები ყოფილან. ბაბუნაშვილისა და **შალვა კვანტალიანის** კომბინაციას ეს უკანასკნელი აგვირგვინებდა. თუმცა ბოლო წამს კონცენტრაცია დაკარგა და წაიქცა. შესვენებამდე მარტვილელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ - კვანტალიანის გადაცემის შემდეგ, მოედანზე ახალშესული **მელქაძე** ცდილობდა დარტყმას, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

უფრო საინტერესო მეორე ტაიმი გამოდგა. გოლებთან ერთად, რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდიც ვიხილეთ - მელქაძის შორეული დარტყმა ძელს მოხვდა. მალევე გურულები დაწინაურდნენ: 55-ე წუთზე საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული თავისუფალი დარტყმა **ჩიკვილაძემ** გოლად აქცია - 0:1.

მარტვილელები არ გატყდნენ და თამაშის სადავეები კვლავ იგდეს ხელთ. აქტიური მელქაძის შორეული და **გეგეჭკორის** თავური დარტყმები ოდნავ უზუსტო გამოდგა. 70-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს სანადელს - ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით **მელიავა** (საუკეთესო ფეხბურთელი ორივე გუნდში) მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

ბოლოსკენ გურულები გააქტიურდნენ. მათ მინიმუმ ერთი გოლი სჭირდებოდათ. არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე „გურია" ვა-ბანკზეც წავიდა. მეკარე **ბობლიაშვილმა** საკუთარი ნახევარი გაიარა და მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, თუმცა **იობაშვილის** თავური კარს ასცდა. საფინალო სასტვენამდე კი კოშკაძემ დაარტყა ტექნიკურად, თუმცა ამჯერად **ხარშილაძემ** ითამაშა ჩინებულად და თავისიანები პრობლემებს აარიდა. საბოლოოდ - 1:1.

ვერ ვიტყვით, რომ „მერანს" ამ შეხვედრაში ფერე არ დაუმსახურებია. **კახა ჩხეტიანის** გუნდმა წარუმატებელი სერია (ზედიზედ 4 მარცხი) შეწყვიტა და თასის მეოთხედფინალშიც გავიდა. გათავისუფლდა თუ არა „მერანი" ფსიქოლოგიური წნეხისგან, ამას დრო გვიჩვენებს.

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან

# იყო თუ არა პენალტი?

30.10. ქობულეთი. ჩელე არენა
700 მაყურებელი

**დინამო (ბთ) 2**
**დილა 1**

**პირველი მატჩი 0:1**

0:1 აფხაზავა (8), 1:1 ბერიძე (70), 2:1 მუჯირი (90+2)

| დინამო (ბთ) 4-2-3-1 | დილა 4-3-3 |
|---|---|
| ალავიძე | რევიშვილი |
| ქორიძე | ღონღაძე |
| ბებუნაშვილი | კვახაძე |
| თოდუა | მ. აფხაზავა |
| მაკარიანი | გაფრინდაშვილი |
| ვარშანიძე | ალადაშვილი |
| გოგიტიძე | გ. დიასამიძე |
| ჩირიკაშვილი | მაისურაძე |
| მუჯირი | დოლიძე |
| ბერიძე | მოდებაძე |
| ჩიმაკაძე | გორელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. ჟორჟოლიანი | რ. ოლდოლაშვილი |

**დინამო (ბთ)**

46. გოგიტიძე - **მანწკავა**
46. ჩირიკაშვილი - **აბუსელიძე**
63. მაკარიანი - **კვერენჩხილაძე**

სათადარიგოები: ტაკიძე, მახარაძე, ვ. თევდორაძე, ქილქარია

**დილა**

53. მოდებაძე - **გაგნიძე**
73. გორელიშვილი - **სადალაშვილი**
85. დოლიძე - **გ. ქვილითაია**

სათადარიგოები: შეყრილაძე, ვ. ხორგუაშვილი, გაბარაევი, გოგინაშვილი

გაფრთხილება: დოლიძე (52), მანწკავა (57), რევიშვილი (86), სადალაშვილი (90+2)

გაძევება: აფხაზავა (48)

არბიტრი: ლ. სილაგავა

...მატჩის დამატებული ბოლო წამები მიდიოდა, როცა ბათუმელთა მეკარე **ალავიძემ** საკუთარი საჯარიმოს სიახლოვიდან სამჯერ ჩააწოდა იქითა საჯარიმოში, მაგრამ გორელმა მცველებმა, არცთუ იოლად, სამჯერვე ამოიტანეს ბურთი. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მეკარეს ცენტრში მდგომი რომელიმე თანაგუნდელისთვის მიეწოდებინა და საჯარიმოში ჩაკიდებაც უფრო ხიფათიანი იქნებოდა, მაგრამ მასპინძლები ჩქარობდნენ და ხელიდან გაუშვეს შანსი, პატარა სათასო სენსაცია მოეხდინათ.

...არადა, მატჩის დაწყებიდან 8 წუთში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეხვედრა ინტრიგას ბოლო წამებამდე არ დაკარგავდა: ლამის პირველივე ხეირიანი შეტევა მეტად აქტიური **ალადაშვილის** გადაცემის შემდეგ გოლად აქცია შეტევაში ჩართულმა **აფხაზავამ** - 0:1.

მალევე, დოლიძემ **ალადაშვილი** შეჰყარა „დინამოს" მეკარეს პირისპირ, მაგრამ გორელმა გარემარბმა შანსი გაანიავა. ამას ბათუმელთა კარგი შეტევა მოჰყვა, თუმცა ვერც მათ იხეირეს. პირველ 45 წუთში სულ ეს იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისშიც აფხაზავა აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში, როცა **აბუსელიძესთან** ორთაბრძოლისას პოზიციური შეცდომა დაუშვა და უკანახაზელმა ფორვარდის შეჩერება საჯარიმოს სიახლოვეს „ბოლო იმედის" ჯარიმით სცადა, მაგრამ, რაკი ვერ შეძლო, ფორვარდი უკვე ისეთ ადგილას მოცელა, ყველაზე უკეთ ლაინსმენს უნდა განესაზღვრა, პენალტი იყო თუ ჯარიმა?

მსაჯებს შორის შეუთანხმებლობამ ყველა გააკვირვა: **ლაშა სილაგავამ** მცირეოდენი პაუზა გააკეთა, ჯერ ლაინსმენს გახედა, სავარაუდოდ, კომუნიკაციის აპარატიც გამოიყენა და ამის შემდეგლა გაიშვირა ხელი 11-მეტრიანი ნიშნულისკენ. მას შემდეგ, რაც გორელებმა ლაინსმენ **ბესიკ ჭიჭინაძესთან** გააპროტესტეს, არბიტრმა მასთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება გააუქმა - ჯარიმა საჯარიმოს ხაზზე დანიშნა და აფხაზავას „წითელი" აუფრიალა.

გაუგებარია, არბიტრს თანამსაჯთან შეთანხმების გარეშე რატომ უნდა ჩაესტვინა საპენალტოდ ასეთ სადავო სიტუაციაში, ან რატომ დასჭირდა ლაინსმენს „დილას" ფეხბურთელთა პროტესტი და მანამდე რატომ არ უთხრა „ყურში" არბიტრს?..

ასე იყო თუ ისე, **მუჯირის** მიერ შესრულებული ჯარიმა **რევიშვილმა** სასწაულებრივ მოიგერია, იქვე დავარდნილი ბურთთან კი მეტად აქტიური **ბერიძე** გაჩნდა, თუმცა მისი დარტყმული კარს გადასცდა.

მასპინძელთა თავკაცმა ერთბაშად სამი შეცვლა გააკეთა და შეტევითი პოტენციალი გაზარდა. **მანწკავა** თავიდან „ზედმეტადაც" აქტიურობდა და ზედიზედ ორჯერ ეუხეშა სტუმრებს. მისდა საბედნიეროდ, სილაგავამ მხოლოდ მეორე შემთხვევაში გააფრთხილა. მანწკავას აქტიურობას მოჰყვა ხიფათი და **კვერენჩხილაძის** შეტევისას „დილა" გადარჩა.

ამას სტუმრებმა უკეთესი მომენტით უპასუხეს - დოლიძემ მცველს დაასწრო და მეკარეს თავზეც გადაუგდო ბურთი, თუმცა ხარიხასაც გადააცილა.

70-ე წუთზე კი მატჩმა ინტრიგა შეიძინა - ბერიძემ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და რევიშვილს, ერთი შეხებით, შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა - 1:1.

დამატებულმა ოთხმა წუთმა კი ბევრი რამ დაიტია - ჯერ **სადალაშვილი** დაეცა ბათუმელთა საჯარიმოში, მაგრამ არბიტრმა ეს სიმულაციად შეუფასა; შემდეგ მუჯირმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის კლასს ასაკი ვერაფერს აკლებს - საჯარიმოს მისადგომებთან მცველი ოსტატურად ჩამოიტოვა და ისეთი „გაისროლა", რევიშვილმა ვერაფერი მოუხერხა - 2:1.

ამის შემდეგ კიდევ იყო 2 წუთი. ერთგული ფანების ქომაგობით შეგულიანებულმა მასპინძლებმა ბოლოჯერ გაიბრძოლეს, მაგრამ კიდევ ერთი გოლისთვის დრო აღარ ეყოთ.

**მათე გურული**
ქობულეთიდან

**P.S** *ერთ არასასურველ ფაქტზეც ვიტყვით: „ჩელე არენაზე" მედიისთვის გამოყოფილი ადგილი არ არის, ამიტომ, თუ ადგილია, მატჩს სამთავრობო ლოჟიდან ვადევნებთ თვალს, უმეტეს შემთხვევაში კი - ტრიბუნიდან. ასე იყო ამჯერადაც და ამაზე არც გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ერთი ფაქტი: ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდენ მატჩის დირექტორი და მსაჯთა დამკვირვებელი, რომელთაც იქვე, ლოჟის ქვემოთ გამოუტანეს სკამები, თუმცა, მათგან განსხვავებით, ჟურნალისტებისთვის ესეც არ გაიმეტეს - სკამი მხოლოდ კომისარს შეიძლება გამოვუტანოთო (?!).*



ავტორის ფოტო

## საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

30.10. მცხეთა. მცხეთა პარკი. 300 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2**

**შუქურა 1**

**პირველი მატჩი 0:1**

1:0 ღიბრაძე (45), 2:0 ლობჯანიძე (90+3. კორიფაძის პასით), 2:1 ბაჯელიძე (90+4. კაკალაძის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | შუქურა 4-1-3-2 |
|---|---|
| ჩალიგავა | თ. კაკალაძე |
| მჭედლიშვილი | კაკიძე |
| ადამაძე | ბრაჭული |
| კასრაძე | ბაჯელიძე |
| ჯავაშვილი | შეროზია |
| დავლაშელიძე | მამულაძე |
| ღიბრაძე | მაჭავარიანი |
| კორიფაძე | ლობჟე |
| ჯანელიძე | ტულუში |
| ნ. სიჭინავა | ჩელებაძე |
| კუხალეიშვილი | კოპალიანი |
| მწვრთნელი ზ. ბერიძე | მწვრთნელი ვ. ჩხარტიშვილი |

**ვიტ ჯორჯია**

61. კუხალეიშვილი - **ლობჯანიძე**
76. სიჭინავა - **პავლიაშვილი**

*სათადარიგო: ისერგიშვილი, იაშვილი, ჩიტიშვილი, მაისურაძე, წყაროზია*

**შუქურა**

63. მამულაძე - **ელიზბარაშვილი**
66. კოპალიანი - **ცენტერაძე**

*სათადარიგო: შერვაშიძე, მალანია, ფუტკარაძე, ართმელიძე, კომახიძე*

გაფრთხილება: ტულუში (40), მჭედლიშვილი (83), ლობჯანიძე (90+4)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# საგზური ზღაპარში

*„ეს იყო მოგება ზღაპარში“* - ასე ლაკონურად შეაფასა მატჩი „შუქურას“ პრეზიდენტმა **რევაზ ჩელებაძემ**. თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი არ აჭარბებდა - ქობულეთის „შუქურამ“ მეოთხედფინალის საგზური დრამატულ ბრძოლაში მოიპოვა. ეს იყო თამაში, რომელშიც სათასო სპეციფიკა, დრამატიზმი და მოულოდნელი სიუჟეტი სრულად აისახა.

...პირველ მატჩში „შუქურამ“ **მერაბ კოპალიანის** გოლით 1:0 გაიმარჯვა. ცხადია, პირველი ლიგის ბინადარს ეს ანგარიში მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს აძლევდა. მაგრამ ფავორიტად ყველა მაინც მასპინძელ „ვიტ ჯორჯიას“ მიიჩნევდა და ეს ლოგიკურიც იყო.

შეხვედრის დასაწყისში ეს მოლოდინი გამართლდა. „ვეტერინარები“ თავიდანვე იერიშზე გადავიდნენ, შეტევებს უფრო და უფრო ამწვავედნენ და პირველი ტაიმის ბოლოსთვის სრულ უპირატესობასაც ფლობდნენ. კარგად მოქმედებდა „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარდაცვა - საყრდენი **ღიბრაძე** წინა ხაზამდე ბურთის დროულად მიტანას ახერხებდა; ცენტრში **ჯანელიძე** თანაგუნდელებს აზრიანი გადაცემებით ამარაგებდა; მარჯვენა ფლანგზე მწვავედ თამაშობდა **კორიფაძე**, რომლის მოჭრილი ჩაწოდებები თავდამსხმელებისთვის საჩუქარი უნდა ყოფილიყო; შეტევებს ამწვავებდა **ნიკა სიჭინავაც**...

აშკარა იყო, რომ ვიტელთა მწვრთნელმა **ზურაბ ბერიძემ** კარგად გაიაზრა, რომ სტუმრები დაცვაში ჩაჯდებოდნენ და ეტყობოდა, ფეხბურთელებს შორეული დარტყმებიც დაავალა. შეიძლება, გავიხსენოთ **ჯავაშვილის** ამგვარი მცდელობა, რომელიც მეკარე **კაკალაძემ** გააუვნებლა. ამ უკანასკნელმა მშვენივრად ითამაშა იმ ეპიზოდშიც, როცა კორიფაძემ საჯარიმოს ხაზიდან „ცხრიანს“ დაუმიზნა...

ქობულეთელთაგან, მეტოქის კარს გუნდის კაპიტანი **გიორგი ჩელებაძე** დაემუქრა, მაგრამ მის მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ მეკარე **ჩალიგავა** ბურთს ადგილზე დახვდა.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა „ვიტ ჯორჯიამ“ მიზანს მიაღწია - ღიბრაძემ ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო და ისეთი ძალით დაარტყა, ძელიდან ბადეში ჩაეშვა - 1:0.

მეორე ტაიმში „შუქურა“ გამოცოცხლდა და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელა. **ნოდარ მაჭავარიანი** (რუსთავის „მეტალურგის“ ყოფილ მცველში არ შეგეშალოთ) ფლანგზე მცველებს გასცდა, საჯარიმოში შეიჭრა და თავადვე სცადა შეტევის დაგვირგვინება, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, სახიფათო მომენტები შექმნეს იმავე მაჭავარიანმა და **ბაჯელიძემ**, ხოლო განსაკუთრებით მწვავე გამოდგა ჩელებაძის მორიგი ჯარიმა, რასაც მეკარე ჩალიგავამ დროული რეაქციით უპასუხა...

მართალია, საერთო ჯამში მაინც „ვიტ ჯორჯია“ დომინირებდა, მაგრამ ყველაფერი თითქოს იქითკენ მიდიოდა, რომ მეოთხედფინალისტის ვინაობა დამატებით დროს (ან პენალტების სერიას) უნდა გაერკვია...

არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** ძირითად დროს 5 წუთი დაამატა. დროის ამ მონაკვეთში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. კორიფაძემ („ვიტ ჯორჯიაში“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო) მარცხენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც მცველებს ტანმაღალმა **ლობჯანიძემ** დაასწრო და თავით გაგზავნა კარში - 2:0.

ეს ანგარიში უკვე „ვიტ ჯორჯიას“ აძლევდა ხელს და აქაც ყველაფერი გარკვეული გვეგონა, მაგრამ... ქობულეთელები მთელი გუნდით წავიდნენ შეტევაში და ვიტელთა კართან ჯარიმა მოიპოვეს. ბურთთან მეკარე კაკალაძე მივიდა და საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარე ჩალიგავა გამოსვლაზე შეცდა - ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე იყო ბაჯელიძე, რომელმაც დრამატულ მატჩს წერტილი დაუსვა და „შუქურა“ მეოთხედფინალში გაიყვანა - 2:1.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი

## პირველი ლიგა. IX ტური

**B ზონა**

### სასკო-კოლხეთი (ხ) 6:0

25.10. თბილისი. ვ. ჯაოშვილის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 ა. ინწკირველი (14), 2:0 გ. არახამია (29), 3:0 გ. ქუცურუა (42-პენ), 4:0 გ. ქუცურუა (54), 5:0 ე. ეგიაზარიანი (71), 6:0 გ. რეხვიაშვილი (88)

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. ბერიშვილი, ა. ინწკირველი, დ. ლომაია, გ. მაჩაიძე (60. ა. აბაშიძე), დ. დილმელაშვილი გ. არახამია, გ. ქუცურუა (72. ლ. მაჭავარიანი), ე. ეგიაზარიანი, რ. ჯიქია (56. გ. რეხვიაშვილი), ო არველაძე.

*სათადარიგოები: ა. ნონოხი, ს. მიქაუტაძე, შ. ფირუზაშვილი, თ. ქორჩილავა*

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია. დ. ჭითანავა (46. რ. ცობეხია), ლ. ვართაგავა (56. კ. გოგენია), ც. ბუკია, ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი, ლ. ქაშიბაძე (46. ლ. გოგენია), ი. გერგაია.

*სათადარიგოები: გ. ლომაია, ლ. ჭურღულია, პ. გაბრავა, ვ. ფირცხელავა*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: გ. მაჩაიძე, გ. არახამია

არბიტრი: ო. ხეცაძე

### ჭიათურა-სულორი 1:0

25.10. ჭიათურა. თემურ მაღრაძე. 100 მაყურებელი

1:0 ბ. ბარბაქაძე (10)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, ი. ტყებუჩავა, გ. ქირია, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, ი. ზაბახიძე (26. ლ. კუჭაშვილი), ი. სარალიძე (55. ბ. ბარბაქაძე), გ. ბარბაქაძე (86. ა. ბაბლიძე), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია.

*სათადარიგოები: გ. კაპანაძე, გ. სამყურაშვილი, ი. ცერცვაძე, ზ. ჯაფარიძე*

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

სულორი: დ. ხურციძე, ბ. ბელქანია, ლ. გაბუნია, ა. ქებულაძე, ა. როხვაძე, დ. გაგნიძე (74. თ. მატარაძე), გ. ბრეგვაძე (60. გ. ნიკოლეიშვილი), მ. ნაფეტვარიძე, დ. ივანიაძე, თ. მაღლაკელიძე, ბ. სულაბერიძე (88. ნ. გიორგაძე).

*სათადარიგოები: ა. მაღლაკელიძე, გ. ბალდავაძე, გ. თევზაძე*

მწვრთნელი: გიზო ბრეგვაძე

გაფრთხილება: გ. ბარბაქაძე - ა. როხვაძე, გ. ბრეგვაძე, მ. ნაფეტვარიძე

არბიტრი: ბ. ნინუა

### მაჭახელა-სტუ 2:0

25.10. ხელვაჩაური. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 გ. ფალავანდიშვილი (52), 2:0 ი. კუტალია (55)

მაჭახელა: კ. აკმელი, ლ. რამიშვილი, გ. ფალავანდიშვლი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე (72. გ. ქოქოლაძე), ზ. ანანიძე, ნ. შონია, ა. ლორია (35. დ. დოლიძე), გ. ჩხიკვიშვილი (75. ს. დუმბაძე), ი. კუტალია, მ. დავითაძე.

*სათადარიგოები: გ. გოგიტიძე, ი. ლოლობერიძე, ლ კალანდაძე, გ. რომანაძე*

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

სტუ: ა. ბილიხოძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, გ. ჩხიკვაძე, გ. ვაშაკიძე (65. ო. გაგნიძე), გ. ბააკაშვილი (61. ნ. გოგიშვილი), ი. გოგატიშვილი, გ. არახამია (77. დ. ქიმერიძე), კ. კახაბრიშვილი, ლ. ჯიქიძე, გ. ჩუბინიძე.

*სათადარიგოები: ა. ლაცაბიძე, გ. ჯიშკარიანი, ნ. მაღრაძე, ვ. რობაქიძე*

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: დ. დოლიძე - გ. ჩუბინიძე, გ. ჩხიკვაძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

### ბახმარო-საბურთალო 2:2

25.10. ჩოხატაური. გ. პაიჭაძე. 300 მაყურებელი

0:1 გ. ჩაბრაძე (7), 0:2 ლ. ლარკი (44), 1:2 დ. სიხარულიძე (55), ხ. დიდია (77)

ბახმარო: ჯ. ადოლე (10. გ. ფალავა), გ. კუჭავა, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, დ. სიხარულიძე, გ. შათირიშვილი (74. ლ. თენაძე), გ. ჟღენტი, ა. შონია (59. მ. ახობაძე), მ. გიორგაძე, ს. გიორგაძე, ხ. დიდია.

*სათადარიგოები: კ. კალანდაძე, თ. ბაზლაძე, ვ. პარასკევაშვილი, გ. ჭანიშვილი*

მწვრთნელი: ბესო გიორგაძე

საბურთალო: დ. ჩომახიძე, ლ. კუპატაძე, გ. მარგველაშვილი. გ. ხარაიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, გ. თევზაძე, რ. ბარამიძე, ა. ვიანე (67. დ. ნონონავა), გ. ჩაბრაძე (82. გ. ნივილაშვილი), ლ. ლარკი (46. ი. ბიძინაშვილი), რ. გოცირიძე.

*სათადარიგოები: ბ. ქურდაძე, ი. ბეროშვილი, ვ. მამუჩაშვილი*

მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე

გაფრთხილება: ჯ. ლოლუა, გ. შათირიშვილი, ხ. დიდია - ზ. მენთეშაშვილი, ლ. ლარკი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

### ბეთლემი-სამგურალი 3:2

25.10. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ლ. ყიფიანი (43), 0:2 გ. ბუხაიძე (46), 1:1 ი. ბოლქვაძე (55), 2:2 ი. ბარამიძე (70), 3:2 ლ. ქანთარია (85-პენ)

ბეთლემი: ა. მაქაცარია, გ. ნათენაძე (52. ე. ერქომაიშვილი), რ. ქობულაძე, ა. ფარტენაძე, ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია, ი. ბარამიძე, გ. კახიანი, ბ. კახიძე, გ. ქობალია (46. ლ. ნინიკაშვილი), ი. ბოლქვაძე (46. გ. ჯუგაშვილი).

*სათადარიგოები: გ. შავლიძე, ი. ფუტკარაძე, მ. აბულაძე, მ. ბერიძე*

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ზ. ჩხეტიანი, ბ. ბიბილაშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, უ. ბანძელაძე, ა. მეტრეველი ნიძე (62. ხ. უგრეხელიძე), ი. ხვადაგიანი (85. გ. ხარაბაძე), გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი, გ. ბუხაიძე, გ. თევდორაძე (68. მ. ჩხარტიშვილი).

*სათადარიგოები: ა. ფანცხავა, ბ. ფანცხავა, თ. ჯანაშია, დ. სალინაძე*

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

გაფრთხილება: რ. ქობულაძე, ლ. ქანთარია, ბ. კახიძე, ლ. ნინიკაშვილი - ლ. ყიფიანი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

### სამტრედია-დილა 2 2:0

25.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 300 მაყურებელი

1:0 ლ. ბაკურაძე (14), 2:0 ლ. ბაკურაძე (48)

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, ბ გედენიძე, ს. გიგია, გ. მემარნიშვილი, თ. კაკუშაძე, მ. ჟვანია, თ. კაკაბიძე, ლ. ბაკურაძე (82. ი. გამრეკლიძე), გ. გურეშიძე (79. მ. გოგიტაძე), ლ. ჩალაძე, გ. ერისთავი (80. გ. ხვედელიძე).

*სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, გ. თურმანიძე, პ. პაპავა, ნ. ბანძავა*

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

დილა 2: ს. ცაბუტაშვილი, კ. ლალანიძე, ც. ქებურია (59. გ. კვარაცხელია), მ. აფხაზავა, ლ. ქოჩლაძე, ლ. შენგელია, კ. მელაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ი. კერძევაძე (80. ნ. გაბელია), გ. ბერიძე, გ. გიორგაძე.

*სათადარიგო: ი. ბერიძე*

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

გაფრთხილება: მ. აფხაზავა

არბიტრი: კ. ჭაჭუა

დინამო (ბთ)-ლოკომოტივი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 9 | 7 | 1 | 1 | 18-5 | 22 |
| 2. სამტრედია | 9 | 7 | 1 | 1 | 14-4 | 22 |
| 3. ჭიათურა | 9 | 6 | 1 | 2 | 14-10 | 19 |
| 4. დინამო (ბთ) | 8 | 6 | 0 | 2 | 16-8 | 18 |
| 5. სამგურალი | 9 | 5 | 1 | 3 | 22-16 | 16 |
| 6. ბეთლემი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-12 | 13 |
| 7. საბურთალო | 8 | 3 | 2 | 3 | 13-12 | 11 |
| 8. სასკო | 9 | 3 | 1 | 5 | 14-12 | 10 |
| 9. ლოკომოტივი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 9 | 2 | 3 | 4 | 9-19 | 9 |
| 11. დილა 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 8-18 | 8 |
| 12. სტუ | 9 | 2 | 1 | 6 | 15-20 | 7 |
| 13. ბახმარო | 9 | 0 | 5 | 4 | 7-15 | 5 |
| 14. სულორი | 9 | 1 | 2 | 6 | 3-13 | 5 |

**მომდევნო ტური. 6 ნოემბერი**

ლოკომოტივი-დილა 2
კოლხეთი (ხ)-სამტრედია
სულორი-სასკო
საბურთალო-ჭიათურა
სტუ-ბახმარო
სამგურალი-მაჭახელა
დინამო (ბთ)-ბეთლემი

## ლეგიონერი

# გაიცანით ოსერის ქართველი ფორვარდი

## გიორგი ჯობავა: 2012 წლიდან შრომის უფლებას ველოდი

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ჯობავა მალე საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის, „ოსერის“ მაისურით ითამაშებს. გულშემატკივარს მისი ხილვა ნოდარ აკობიას განვრთნილ 17-წლამდელთა ნაკრებში, თბილისური შესარჩევი ეტაპის დროს შეეძლო. ჯობავამ სამივე შეხვედრა ჩაატარა და სამივე - ძირითად შემადგენლობაში.**

**როგორ მოხვდა საფრანგეთში, როგორ აფასებს ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრების შანსებს... ამის შესახებ ელაპარაკა ჯობავა „ლელოს“...**

**- დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდით საფრანგეთში. ასეთ ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში ქართველის თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს...**

- ყველაფერი ორი წლის წინათ დაიწყო, როცა ჩვენმა ნაკრებმა შვედეთში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა. აღმოჩნდა, რომ იქ „ოსერის“ სელექციონერი იმყოფებოდა, შემამჩნია და წამიყვანა.

**- მანამდე სად თამაშობდით?**

- „ნორჩი დინამოს“ გაზრდილი ვარ, რეზო ბარამიძე მავარჯიშებდა.

**- საფრანგეთში ქართველებისთვის სწავლაც პრობლემურია და თამაშიც. თქვენ ეს უფლება როგორ მოიპოვეთ?**

- თამაში რომ დამეწყო, ლიცენზიას ერთ წელიწადზე მეტხანს ველოდი. ასე რომ, ეს უფლება იოლად არც მე მომიპოვებია.

**- უფლების მიღებამდე თბილისში ვარჯიშობდით?**

- არა, საფრანგეთში დამტოვეს და „ოსერის“ ასაკობრივ გუნდში მავარჯიშებდნენ, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებს ვერ ვატარებდი. სათამაშო პრაქტიკა მხოლოდ ამხანაგურებში მქონდა. საფრანგეთში წასვლიდან წელიწადი და სამი თვე რომ გავიდა, კლუბმა მხოლოდ მაშინ მოახერხა ჩემთვის ამ უფლების მოპოვება. ესეც ახლახან მოხდა. მაგრამ მოთმინება მიღირდა, რადგან საფრანგეთში წასვლა ჩემთვის არის შანსი, რომ დიდი ფეხბურთი ვითამაშო.

**- ახლა რომელ ასაკობრივ გუნდში ვარჯიშობთ?**

- „ოსერის“ დუბლებში ვარ და იმედია, ამ უფლების მოპოვების შემდეგ, მალე ვითამაშებ კიდეც. ჯერ 16 წლის ვარ და საფრანგეთში ვარჯიშიც კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- თქვენს ასაკში უფრო ადვილია ევროპული ფეხბურთის გაგება და ათვისება. აქედან წასულს სასწავლი ბევრი გექნებოდათ...**

- ცხადია. ამდენი ხანია, საფრანგეთში ვვარჯიშობ და ამან მართლაც ბევრი რამ შემძინა.

**- ყველაზე რთული რა იყო?**

- ენობრივი ბარიერის გადალახვა. არც ფრანგული ვიცოდი და არც ინგლისური, უამისოდ კი თანაგუნდელებსა და მწვრთნელთან ურთიერთობა მიჭირდა. მაგრამ ახლა ენა ვისწავლე, ეს პრობლემა მომეხსნა, ვარჯიშიც ბევრად გამიადვილდა და ცხოვრებაც. უკვე მშვენივრად მესმის, რას მიხსნის მწვრთნელი და რას მეუბნებიან თანაგუნდელები. თამაშის დროს ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ ენა არ იცი, ძალიან გაგიჭირდება.

**- შესარჩევ ჯგუფში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თამაშზე რას იტყვით? გულახდილად თქვით - კმაყოფილი დარჩით?**

- ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იყო და ამას მივაღწიეთ. მაგრამ მეორე მხრივ, ჰოლანდიასთან დავმარცხდით და მხოლოდ მეორე ადგილი დავიკავეთ. არადა, პირველზე გასვლა გვსურდა და ცხადია, ეს არავის გვესიამოვნა. გულშემატკივრები ხომ ჩვენგან მეტს ელოდნენ. იანვარში ტურნირზე მივემგზავრებით და ვეცდებით, ისე მოვემზადოთ და შევთამაშდეთ, რომ ელიტრაუნდს გაცილებით უკეთესად შევხვდეთ.



გიორგი ჯობავა

**მერაბ მამულაშვილი**

## ლეგიონი

# ჭანტურიას სათასო გოლი

ჰოლანდიის თასზე (1/16 ფინალი) „ვიტესმა“ ქვედალიგელ „ნოორდვაიკს“ უმასპინძლა და გაანადგურა - 5:0. **ვალერი ყაზაიშვილი** ძირითად შემადგენლობაში იყო. **გიორგი ჭანტურია** მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და 72-ე წუთზე ანგარიში 3:0-მდე გაზარდა. **გურამ კაშია** სათადარიგოთა შორის იყო.

პორტუგალიის ლიგის თასზე **ავთო ებრალიძის** „ჟილ ვისენტემ“ დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა „მორეირენსე“ - 4:3. მასპინძლები 0:2-ს აგებდნენ. გამარჯვების გოლი მე-5 დამატებულ წუთზე გავიდა. ქართველი შემტევი 67-ე წუთზე შეცვალეს.

გადავინაცვლოთ რუსეთში, სადაც თასის მერვედფინალში გავიდა ჩვენებურების „სკა ენერგია“, რომელმაც დამაჯერებლად სძლია პრემიერლიგელ „ვოლგას“ - 2:0. **გოგიტა გოგუამ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** სრულად ითამაშეს.

პრემიერლიგის კიდევ ერთი ბინადარი, რომელიც თასიდან გავარდა, ყაზანის „რუბინია“ - სტუმრად 2:4 წააგო „ლუჩ ენერგიასთან“. ყაზანელთა ქართველი მცველი **საბა კვირკველია** თავიდან ბოლომდე მოედანზე იყო.

„როსტოვმა“ **ჯანო ანანიძის** გარეშე მოუგო (1:0) I ლიგის აუტსაიდერ ნაზრანის „ანგუშტს“. ქართველი განაცხადშიც არ ყოფილა. გათამაშებას გამოეთიშა ორენბურგის „გაზოვიკი“, რომელმაც „ტომთან“ დამატებით დროში დათმო - 0:1. ჩვენებური ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** თადარიგში იყო.

სარანსკის „მორდოვიამ“ კი, რომლის შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **აკაკი ხუბუტიამ** სრულად ითამაშა, პენალტების სერიაში პერმის „ამკარი“ დაამარცხა და ბრძოლას აგრძელებს.

ხორვატიის თასის მერვედფინალში სპლიტის „ჰაიდუკი“ ქვედალიგელ „ვინოგრადარს“ შეხვდა და ოდენ დამატებით დროში გამოგლიჯა გამარჯვება. **იგორ ტუდორმა** საბრძოლო შემადგენლობა დააყენა, თუ არ ჩავთვლით ჩვენებურ **გიორგი ილურიძეს**, რომელსაც არ უთამაშია.

პოლონეთში ექსტრაკლასას მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. **ლადო დვალიშვილის** „ლეგიამ“ „ზავიშასთან“ სტუმრად 1:3 წააგო. ქართველი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში კი იყო, თუმცა თავისიანებს ვერაფრით შეეწია.

**გიორგი გელაშვილი**



გიორგი ჭანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგის თასი. 1/8-ფინალი. სამშაბათის მატჩების გამოხმაურება



„ნორვიჩთან" ხავიერ ერნანდესმა დუბლი შეასრულა

# მეორე დიდი საჩუქარი ჩელსის

| არსენალი-ჩელსი | 0:2 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 ასპილიკუეტა (25), 0:2 მატა (66)

**არსენალი:** ფაბიანსკი, ჯენკინსონი, ვერმალენი, კოშელნი, მონრეალი, რემსი (81. პარკი), მიაიჩი (63. იოზილი), უილშირი, როსიცკი, კასორლა, ბენდტნერი (67. ჟირუ)

**ჩელსი:** შვარცერი, ასპილიკუეტა, კეჰილი, ლუისი, ბერტრანი, მიკელი, ესიენი, დე ბრუინი (69. რამირესი), მატა (93. კალაში), ვილიანი, ეტოო (81. ბა)

| ბირმინგემი-სტოკი | 4:4 პენ: 2:4 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 ასაიდი (10), 1:1 ადეიემი (28), 1:2 კრაუჩი (55), 1:3 არნაუტოვიჩი (71), 2:3 ლოვენკრანდსი (85), 3:3 ლოვენკრანდსი (90+3), 3:4 კ. ჯონსი (94), 4:4 ლი (118)

**პენ:** 0:0 პენკოქსი (ააცილა), 0:1 ჯონსი; 0:1 რაილი (ააცილა), 0:2 შოუკროსი; 1:2 ლოვენკრანდსი 1:3 მუნიესა; 2:3 ლი, 2:4 ნზონზი

**გაძევება:** ვ. ელიოტი (ბირმინგემი) 45+2 წთ

| ბარნლი-ვესტ ჰემი | 0:2 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 მ. ტეილორი (76-პენ), 0:2 კოლისონი (90+4-პენ)

**გაძევება:** ტრისი (ბარნლი) 90+4 წთ

| ლესტერი-ფულჰემი | 4:3 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 როდალიეგა (18), 1:1 მორგანი (41), 2:1 ვუდი (45), 3:1 მიკელი (53), 3:2 როდალიეგა (54), 3:3 კარაგუნისი (87), 4:3 დაიერი (89)

| იუნაიტედი-ნორვიჩი | 4:0 |
| --- | --- |

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (20-პენ), 2:0 ერნანდესი (54), 3:0 ჯონსი (88), 4:0 ფაბიო (90+5)

**იუნაიტედი:** ლინდეგორი, რაფაელი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ბიუტნერი, ჯონსი, კლევერლი (90. ანდერსონი), იანუზაი (90+3. ფაბიო), ზაჰა (78. რუნი), იანგი, ერნანდესი

## მოგება ცალი ფეხით

„მანჩესტერ იუნაიტედმა" როგორც იქნა ისე ითამაშა, როგორც ამას მისგან გულშემატკივარი ითხოვს. თავსხმა წვიმის ფონზე „ეშმაკებმა" „ნორვიჩს" ოთხი გოლი გაუტანეს და ერთი ამდენი კიდევ შეეძლოთ. „იადონების" რბევა **კევინ ფრენდის** უხეში შეცდომით დაიწყო. არბიტრმა მე-20 წუთზე **ადნან იანუზაისა** და **ლეროი ფერის** რიგითი ორთაბრძოლა წესების დარღვევად შეაფასა და პენალტი დანიშნა. ანგარიში ხავიერ ერნანდესმა გახსნა. მექსიკელს რამდენჯერმე კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა სველ მინდორზე ფეხის მოკიდება უჭირდა და სიზუსტეც ღალატობდა. დიდებულად თამაშობდა იანუზაი. 18 წლის ნახევარმცველს ყოველ მოძრაობაზე, ყოველ გადაწყვეტილებაზე ეტყობა კლასი. თინეიჯერი ერთ მომენტში სამ მეტოქეს ისე გაუმკლავდა, თითქოს სავარჯიშო მოედანზე დარჭობილ ნინალობებთან ჰქონდა საქმე. მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა: **მარკ ბანმა** ერნანდესს ერთხელ თავური კი აულო, მაგრამ დამატებაზე ველარ გაუმკლავდა. მერე **ფილ ჯონსის** ჯერი დადგა. ფეხბურთელმა 2011 წლის 7 დეკემბრის შემდეგ პირველად გაიტანა და თანაც საკმაოდ ეფექტურად - ნახევარბრუნში. შეხვედრას წერტილი **რუნის** პასით **ფაბიომ** დაუსვა. ბრაზილიელმა მეკარესთან პირისპირ გასვლა გამოიყენა.

### მატჩის შემდეგ

**სტივ რაუნდი** („იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი): *„საკუთარ მოედანზე ოთხი უპასუხო გოლი გავიტანეთ. თანაც კარგია, რომ ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი მიეცათ, თუნდაც ზაჰასა და კლევერლის. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საკუთარ ტალანტში იანუზაიმ, ვინც ყოველ შეხვედრაში სულ უფრო უკეთესად თამაშობს. შრომა დაუფასდა იანვს. მან გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. წინა მატჩებში დიდწილად არ გვიმართლებდა. ცხადი იყო, რომ დანავსული სერია შეწყდებოდა და რომელიმე მეტოქე ჩვენს მრისხანებას საკუთარ თავზე იწვნევდა. ამისთვის საჭირო იყო, მიზანი გაგვესწორებინა. დღეს დავრწმუნდით, რომ მართლა კარგი გუნდი გვყავს და რაც მთავარია, ვნახეთ, რომ რეზერვის იმედად შეიძლება ვიყოთ. ეს ნიშნავს, რომ მომავალზე ნერვიულობა არ მოგვიწევს".*

## ნასტასიჩის შემდეგ ჯენკინსონი

სულ რაღაც 48 საათი გავიდა მას შემდეგ, რაც „ჩელსიმ" „მანჩესტერ სიტისგან" საჩუქრად 3 ქულა მიიღო. შეგახსენებთ, რომ **მატია ნასტასიჩმა** ბოლო წუთზე **ფერნანდო ტორესი** მეკარესთან პირისპირ დატოვა, რითაც ესპანელმა ისარგებლა კიდეც. ანალოგიური რამ განმეორდა „არსენალთანაც". ამჯერად პრიზი ლიგის თასის 1/4-ფინალის საგზური აღმოჩნდა. შეიცვალნენ მხოლოდ მოქმედი პირები. ნასტასიჩი **კარლ ჯენკინსონმა** ჩაანაცვლა, ტორესი - **სესარ ასპილიკუეტამ**.

გუნდები „ემირეიტსზე" გადახალისებული შემადგენლობებით გავიდნენ. „ჩელსის" უპირატესობა სწორედ აქ გამოჩნდა. **ჟოზე მოურინიოს** განკარგულებაში ბევრად უფრო სერიოზული რეზერვია. სტუმარმა მასპინძელი პრაქტიკულად ყველა კომპონენტში დაჯაბნა. განსაკუთრებით ეს ბურთის ფლობაზე ითქმის. **ხუან მატა** მოედნის ცენტრში დაფრინავდა. ესპანელი პლეიმეიკერი მუდმივად პოულობდა თავისუფალ სივრცეს და შეტევების ორგანიზებას ცდილობდა. მეორე ტაიმში მან ალალად დაიმსახურა გოლი.

### მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე მოურინიოს ნაცვლად მისი პირველი ასისტენტი **სტივ ჰოლანდი** გამოცხადდა. მას გვერდი დამარცხებულმა **არსენ ვენგერმა** დაუმშვენა.

**არსენ ვენგერი** (არსენალი): *„ცხადი იყო, რომ პრემიერლიგის ტურის შემდეგ როტაცია მოგვიწევდა. რთული შეხვედრა აღმოჩნდა, რომლის ბედი რამდენიმე შეცდომამ გადაწყვიტა. 0:1-ის შემდეგ მეტოქეს კონტრშეტევებზე თამაშის უფლება მივეცით, თავად კი სახიფათო მომენტებს თითქმის ვერ ვქმნიდით. ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ საქმის თავიდან დაწყება და დიდი წინაღობის გადალახვა გიწევს. ისეთ მეტოქესთან კი, რომელიც თავს კარგად იცავს და კონტრშეტევებზე სახიფათოდ მოქმედებს, ამ წინაღობის სირთულეც მატულობს. შაბათს „ლივერპულთან" მატჩამდე მოგვიწევს დღეს დაშვებული შეცდომების გათვალისწინება. შესაბამისად, ჩემი თხოვნა იქნება, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ. მერსისაიდელებთან ჯერ კიდევ არ იქნებიან უოლკოტი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი და პოდოლსკი. არადა, მათ ნამდვილად შეუძლიათ ჩვენი შეტევის გაძლიერება".*

**სტივ ჰოლანდი** (ჩელსი): *„მოურინიომ ფეხბურთელებს უთხრა, რომ უნდოდა სერიოზული საფიქრალი გასჩენოდა შემადგენლობის დასახელებამდე. ფეხბურთელებს განსაკუთრებულად უნდა მოენდომებინათ და მისთვის თავსატეხი გაერთულებინათ. ბიჭები ადგნენ და მწვრთნელს შესაბამისი პასუხი გასცეს. „ჩელსის" ყველა იმ ტურნირში, სადაც თამაშობს, მაქსიმალური მიზანი ამოძრავებს. იმის გათვალისწინებით, რომ „სიტის" შემდეგ დასვენება თითქმის არ გვქონია, სხვა გზა არ გვრჩებოდა გარდა იმისა, რომ რეზერვი სრულად აგვემოქმედებინა. „არსენალიც" და „სიტიც" ჩვენსავით მაქსიმალისტები არიან. ამის გამო კიდევ უფრო ამაყები ვართ, რომ ორივე დავამარცხეთ".*

სავარაუდო ტრანსფერები

# დეფო, ჯილარდინო თუ ორივე ერთად?

„ტოტენჰემის" 31 წლის თავდამსხმელ **ჯერმეინ დეფოს** პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში 7 თამაში აქვს ჩატარებული და აქედან მხოლოდ ერთხელ იყო ძირითადში, ისიც შინ „ვესტ ჰემთან" 0:3-ზე წაგებულ შეხვედრაში. სულაც არ არის გასაკვირი, რომ მას აქამდე გოლი არ აქვს გატანილი. ჩემპიონატისგან განსხვავებით ის ხშირად თამაშობს ევროპალიგაზე, სადაც 4 მატჩში 6-ჯერ გამოიჩინა თავი. „დეილი მეილის" ინფორმაციით, დეფოს გადაბირება MLS-ის „ტორონტოს" აქვს გადაწყვეტილი, ვისაც „დეზების" ყოფილი ფეხბურთელი, 36 წლის **რაიან ნელსენი** წვრთნის. ახალზელანდიელი „უაით ჰართ ლეინზე" 2012 წლის პირველ ნახევარში თამაშობდა და დეფოს თამაშის სტილს კარგად იცნობს. არ გვგონია, დეფო ოკეანის გაღმა კარიერის გაგრძელებაზე მსოფლიოს ჩემპიონატამდე დათანხმდეს. მას უნდა ესმოდეს, რომ ის ამ შემთხვევაში საკუთარი ხელით გადაჭრის ნაკრებთან დამაკავშირებელ ძაფებს.

ნელსენი დეფოს გარდა სხვა ვარიანტებსაც განიხილავს. „სქაი სპორტს იტალიის" მტკიცებით, კანადური კლუბი იტალიის ნაკრებისა და „ჯენოას" 31 წლის შემტევის **ალბერტი ჯილარდინოს** გადაბირებაზეც მუშაობს. „ჯილას" აგენტმა **ბეპე ბოცომ** უკვე გამართა მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. „ტორონტო" სამი წლის განმავლობაში აპენინელს 7 მილიონ ევროს გადაუხდის, გენუური კლუბი კი კომპენსაციის სახით 6 მილიონს მიიღებს. დეფოს გარდა სანაკრებო ამბიციები ჯილარდინოსაც აქვს და ამგვარი გარიგება „აძურაში" მის სტატუსზეც აისახება.



ჯერმეინ დეფო

ამბები

### იუნაიტედი სპონსორით უკმაყოფილოა

„მანჩესტერ იუნაიტედის" სპონსორმა Bwin-მა რამდენიმე დღის წინ „ეშმაკების" მთავარ მწვრთნელად სერ **ალექს ფერგიუსონის** დაბრუნებაზე ფსონების მიღება დაიწყო. „იუნაიტედში" ამ ქმედებით უკმაყოფილონი დარჩნენ, კომპანიას ოფიციალური წერილით მიმართეს და საკუთარი პრეტენზიების შესახებ აცნობეს. „იუნაიტედის" განცხადებით, *„პარტნიორის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება მიუღებელი უნდა იყოს"*.

### კომპანი ლაზარეთში რჩება

„მანჩესტერ სიტის" 27 წლის კაპიტანი **ვენსან კომპანი** საზარდულისა და ბარძაყის ტრავმების გამო ლაზარეთში რჩება და ექიმების პროგნოზით, თამაშს 8-10 დღე კიდევ ვერ შეძლებს. „ქალაქელთა" დაცვის ლიდერი 5 ოქტომბერს „ევერტონთან" შეხვედრაში დაშავდა. მას შემდეგ ბელგიელმა ვარჯიში კი განაახლა, თუმცა ტკივილები განუახლდა და შესაბამისად, სარეაბილიტაციო პერიოდი გაუხანგრძლივდა. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში მისთვის ჯერ კიდევ არ შეიძლება. უკვე ცნობილია, რომ **მანუელ პელეგრინის** შაბათს „ნორვიჩთან" პრემიერლიგის X ტურში და შემდგომ უკვე ცსკა-სთან ჩემპიონთა ლიგაში, კომპანის გარეშე მოუწევს გეგმების დაწყობა.

### იჯარით ჩემპიონშიპში

„ასტონ ვილას" 23 წლის მარჯვენა ნახევარმცველი **მარკ ოლბრაიტონი** ბირმინგემულმა კლუბმა 27 ნოემბრამდე იჯარით „უიგანს" დაუთმო. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს კონკურენციისა და რიგი სხვა მიზეზების გამო მიმდინარე სეზონში ჯერ არ უთამაშია. ოლბრაიტონს სეზონის ბოლოს კლუბთან ხელშეკრულება უმთავრდება, დარჩენაზე კი უარს ამბობს და **პოლ ლამბერტის** გეგმებიდანაც ალბათ ამიტომაც ამოვარდა. *„ჩვენ ზაფხულზეც ვცდილობდით მის გადაბირებას, თუმცა არ გამოგვივიდა. მარკი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და პროფესიული წინსვლისთვის დრო წინ აქვს. დარწმუნებული ვარ, ის ჩვენს შეტევას მნიშვნელოვნად გააძლიერებს,"* - განაცხადა „ათლეტების" თავკაცმა **ოუენ კოილმა**.

### კოული ჩელსიში რჩება

„ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების 32 წლის მარცხენა მცველის **ეშლი კოულის** თქმით, ის კლუბთან ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელებას გეგმავს. ვეტერანს მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. 2012 წლის დეკემბერში კოულმა ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა, რომ „სტემფორდ ბრიჯიდან" მიდიოდა. პრესამ მისთვის რამდენიმე სასურველი კლუბი „შეარჩია", მათ შორის სახელდებოდა მადრიდის „რეალიც". კოულმა შემდეგ პოზიცია მოულოდნელად ისევ შეიცვალა, ახალ კონტრაქტს ხელი მოაწერა და განაცხადა, რომ ლონდონში თავს ბედნიერად გრძნობდა. ამჯერად თანამშრომლობის გაგრძელების ინიციატივა უკვე ფეხბურთელისგან წამოვიდა. *„ჩელსიში" დიდებული წლები მაქვს გატარებული. რა თქმა უნდა, დავრჩები, თუკი კლუბი ჩემით ჯერ კიდევ არის დაინტერესებული. იმედია, რომ „ბრიჯზე" ბევრად უფრო დიდ დროს გავატარებ, ვიდრე ხელშეკრულებაში დამრჩა. თუმცა ისიც მესმის, რომ აუცილებლად დადგება დღე, როცა სტადიონზე ჩემი მემკვიდრის თამაშის სანახავად მოვალ,"* - აცხადებს ვეტერანი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ერთიანი ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტური

# ბარსას წაუგებელი სერია და პრობლემა მარცხნივ




„ბარსელონას" ფაბრეგასმა და სანჩესმა მოაგებინეს

ლა ლიგის XI ტური ორი მატჩით დაიწყო, რომლებშიც კატალონიური გუნდები მონაწილეობდნენ. „ესპანიოლმა" „მალაგასთან" ვერაფერი გააწყო და მშვიდობიანად დაშორდა. „სელტასთან" განადგურების შემდეგ (0:5) **ბერნდ შუსტერის** გუნდისთვის „კორნელია ელ პრატიდან" წაღებული ქულა საკმაოდ კარგი შედეგია.

„ბარსელონამ" კი ვიგოში იმარჯვა, რაშიც უდიდესი წვლილი **სესკ ფაბრეგასმა** შეიტანა. 26 წლის ნახევარმცველმა ერთი გოლი თავად გაიტანა, მის ორ დარტყმას კი კიდევ ორი გოლი მოჰყვა - მე-9 წუთზე სესკის დარტყმა **იოელმა ალექსის სანჩესისკენ** მოიგერია, რომელმაც ლა ლიგაში თავისი მე-6 ბურთი გაიტანა და „ბარსელონაში" ჩატარებული მე-100 მატჩი სათანადოდ აღნიშნა, 48-ე წუთზე კი ფაბრეგასმა საჯარიმოს გარედან გაისროლა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, შემდეგ კი „სელტას" გოლკიპერს და ანგარიში 0:2 გახდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ავტოგოლისა, „მარკამ" მასპინძელთა რიგებში ყველაზე მაღალი შეფასება (6,5) სწორედ იოელს დაუწერა.

მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო **ხერარდო მარტინო**, რომელმაც კვლავ მიმართა როტაციას და „ელ კლასიკოს" გმირი **ნეიმარი, ჩავი** და **მასკერანო** სათადარიგოთა სკამზე დასვა.

*„საბოლოო ჯამში, მშვიდად მოვიგეთ. პირველ ტაიმში რამდენიმე წუთის განმავლობაში პრობლემები გვქონდა, მაგრამ მეორე ნახევარში შეხვედრას მთლიანად ვაკონტროლებდით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეორე გოლი, რომელიც ტაიმის დასაწყისში გავიტანეთ. დამაგვირგვინებელ ფაზაში ცოტას კი ვცოდავდით, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ,"* - განაცხადა მარტინომ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ შეხვედრის 31-ე წუთზე ტრავმა მიიღო **ადრიანომ**, რაც „ბარსელონასთვის" დიდი პრობლემაა, ვინაიდან კვლავ დაშავებულია **ჟორდი ალბა**, ბრაზილიელის დაზიანებით კი „ბარსას" ჯანმრთელი მარცხენა მცველი აღარ დარჩა. პარასკევს, კატალონიური დერბია, რომელშიც მონაწილეობას ვერც ადრიანო მიიღებს და ვერც ალბა.

### დღევანდელი მატჩები

მე-11 ტური ოთხი მატჩით დასრულდება, რომელთაგანაც ყველაზე დიდ ინტერესს გრანადაში გასამართავი შეხვედრა იწვევს - მეორე ადგილზე მყოფი „ატლეტიკო" „ნუევო ლოს კარმენესიდან" 3 ქულის წამოღებას ეცდება. ანდალუსიელები, პრიმერაში გადასვლის შემდეგ, საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად თამაშობდნენ, მაგრამ წელს **ლუკას ალკარასის** გუნდი ამ მხრივ აშკარად მოიკოჭლებს - შინ ჩატარებული 5 მატჩიდან „გრანადამ" მხოლოდ ერთი მოიგო („ბილბაოსთან") და 4 წააგო.

საინტერესოა, რომ ეს გუნდები ერთმანეთს სულ 4-ჯერ შეხვდნენ და „გრანადამ" ამ 4 მატჩში „როხიბლანკოს" გოლიც კი ვერ გაუტანა, თუმცა ერთხელ ქულა კი გამოგლიჯა. **დიეგო სიმეონეს** არ ეყოლება **ლეო ბაპტიშტაო**, სამაგიეროდ შეიძლება დაბრუნდეს ერთ-ერთი ლიდერი **არდა თურანი**, რომელმაც „ბეტისთან" (5:0) არ ითამაშა. მასპინძლებს კი **პიტი, იებდა, მატიას კამპოსი** და **დანი ბენიტესი** აკლიათ.

„ელ მადრიგალზე" ერთმანეთს კარგ ფორმაში მყოფი ორი გუნდი დაუპირისპირდება - „ვილიარეალი", რომელიც მეოთხე ადგილზეა და შესანიშნავად ასპარეზობს, ხვდება „ხეტაფეს", ვინც 4-მატჩიანი მოგებათა სერია წინა ტურში, ბილბაოს „ატლეტიკთან" დაასრულა.

თავად „ბილბაო" კი „ელჩეს" უმასპინძლებს და ახალ „სან მამესზე" 4-მატჩიანი წაუგებელი სერიის (3 მოგება, 1 ფრე,) გაგრძელებას ეცდება. შეგახსენებთ, რომ სეზონში პირველი საშინაო მატჩი „ატლეტიკმა" „ანოეტაზე" ჩაატარა. თუ „ვილიარეალმა" ვერ მოიგო, 3 ქულის აღების შემთხვევაში, **ერნესტო ვალვერდეს** შეგირდები მეოთხე ადგილზე გადავლენ.

საშინლად მოთამაშე „ბეტისი" კი „ლევანტეს" უმასპინძლებს, რომელიც წელს გასვლაზე ძალიან კარგად თამაშობს - ვალენსიელებმა სტუმრად ჩატარებულ 5 შეხვედრაში 10 ქულა მოაგროვეს და ერთადერთი მარცხი პირველ ტურში, „ბარსელონასთან" განიცადეს (0:7).

**პეპე მელის** გუნდმა ბოლო 5 ტურში მხოლოდ 3 ქულა აიღო (1 მოგება და 4 წაგება) და ამჯერადაც თუ ვერ იმარჯვა, დიდი შანსია, „ბეტისი" მწვრთნელის გარეშე დარჩეს.

### 30 ოქტომბერი

#### ვალიადოლიდი-სოსიედადი 2:2

**გოლები:** 0:1 გრიზმანი (16), 0:2 გრიზმანი (53), 1:2 დ. ლარსონი (76), 2:2 ხავი გერა (78)

**ვალიადოლიდი** (4-2-3-1): დიეგო მარინიო – რუკავინა, მარკ ვალიენტე, ხესუს რუედა, პენია – ბარახა (46. ა. რუბიო), ფ. როსი – ებერტი, დ. ლარსონი, რამა (67. ო. რამოსი) – ხავი გერა (87. სუბი)

**სოსიედადი** (4-2-3-1): ბრავო – კ. მარტინესი, მ. გონსალესი, კადამურო, დე ლა ბელია – ბერგარა, სურუტუსა – ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (77. რუბენ პარდო) – სეფეროვიჩი (70. აგირეჩე)

**გამოუყენებელი პენალტი:** ებერტი (90. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** ხესუს რუედა, ებერტი, ფ. როსი, ა. რუბიო – მ. გონსალესი

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-7; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 18-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 16 000

#### ვალენსია-ალმერია 1:2

**გოლები:** 1:0 ჟონასი (33-პენ), 1:1 ტორსილიერი (62), 1:2 ალექს ვიდალი (70)

**ვალენსია** (4-2-3-1): დიეგო ალვეში – ჟოაო პერეირა, რ. კოშტა, მატიო, გუარდადო (40. ბერნატი) – ხავი ფუეგო, პარეხო – ფეგული (82. პაკო ალკასერი), ჟონასი, კარტაბია (62. კანალესი) – ელდერ პოშტიგა

**ალმერია** (5-2-2-1): ესტებანი – ნელსონი, ტრუხილიო, ტორსილიერი, პელერანო (46. ალექს ვიდალი), დუბარბიერი – ვერსა, აზიზი – ელდერ ბარბოსა (57. სორიანო), სუსო – როდრი (88. ოსკარ დიასი)

**გაფრთხილება:** - დუბარბიერი, ელდერ ბარბოსა, პელერანო, ნელსონი, სუსო

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 19-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 27 500

#### ოსასუნა-ვალეკანო 3:1

**გოლები:** 1:0 ოიერი (1), 2:0 ორიოლ რიერა (13), 3:0 რ. ტორესი (58), 3:1 გალვესი (71)

**ოსასუნა** (4-4-1-1): ანდრეს ფერნანდესი – ოიერი, ლოტიე, არიბასი, ორიოლი (81. ფლანიო) – სეხუდო (67. პუნიალი), ლოე, ფ. სილვა, რ. ტორესი – დე ლას კუევასი – ორიოლ რიერა (83. მანუელი)

**ვალეკანო** (4-2-3-1): რუბენი – ტიტო, გალვესი, საულ ნიგესი, არბილია – ადრიანი, ტრაშორასი – ბაგურა, ხ. ვიერა, იაგო ფალკე (64. ადრი ემბარბა) – ბ. ბუენო (59. ლარივეი)

**გაფრთხილება:** - საულ ნიგესი, არბილია

**გაძევება:** დე ლას კუევასი (66. ოსასუნა)

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 10-21 (6-5); **ბურთის ფლობა:** 30%-70%

**მაყურებელი:** 11 109

#### რეალი-სევილია 7:3

**გოლები:** 1:0 ბეილი (14), 2:0 ბეილი (27), 3:0 რონალდო (32-პენ), 3:1 რაკიტიჩი (38-პენ), 3:2 ბაკა (40), 4:2 ბენზემა (53), 5:2 რონალდო (60), 5:3 რაკიტიჩი (63), 6:3 რონალდო (71), 7:3 ბენზემა (80)

**რეალი** (4-2-3-1): დიეგო ლოპესი – არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო – ილიარამენდი (64. ჩაბი ალონსო), ხედირა (82. დი მარია) – ბეილი, ისკო (71. მოდრიჩი), რონალდო – ბენზემა

**სევილია** (5-4-1): ბეტუ – დ. ფიგეირაში, კარიკო, პარეხა, ფ. ნავარო, ა. მორენო – ხაირო სამპერიო (62. პეროტი), მბია, რაკიტიჩი, ვიტოლო (83. რეიესი) – ბაკა (62. გამეირო)

**გამოუყენებელი პენალტი:** რაკიტიჩი (74. სევილია)

**გაფრთხილება:** სერხიო რამოსი, არბელოა, ხედირა – ა. მორენო, მბია

**გაძევება:** მბია (76. სევილია)

**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 18-16 (10-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 76 453

იტალია. სერია A X ტური

# ხერმან დენისის ვენდეტა?

**სერია A-ს მეათე ტურმა ბერგამოში აილო სტარტი, სადაც „ატალანტამ" „ინტერს" უმასპინძლა. ორი „ნერაძურის" დაპირისპირება უშელავათო ბრძოლაში წარიმართა და ფრედ დასრულდა, 1:1...**

## ფრე მასპინძელთა სასარგებლოდ

თუ სტატისტიკას ჩავხედავთ, ბერგამოში თანაბარი თამაში იყო, მაგრამ ციფრები ყველაფერს ვერ ასახავენ. მილანური გრანდის იერიშები გაცილებით მწვავე იყო და მთლიანობაში, **ვალტერ მაცარის** გუნდი ფლობდა სათამაშო უპირატესობას. მოკლედ, „ინტერი" ბევრს ეცადა, გარისკა კიდეც, მაგრამ სამი ქულა ვერაფრით მოიპოვა. მაცარი შესანიშნავი მწვრთნელია, მალევე დაატყო გუნდს ხელი, თუმცა სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობას მეტი დრო, გამოცდილება და ალბათ, უკეთესი ფეხბურთელებიც სჭირდება.

„ატალანტამ" და „ინტერმა" თითო გოლი გაცვალეს - სტუმართა შორის **რიკი ალვარესი** გამოირჩა, მასპინძელთა რიგებიდან კი თავი **ხერმან დენისმა** გამოიჩინა. ამ უკანასკნელმა გააწამა მილანელი მცველები და სხვა ეპიზოდშიც შეეძლო გატანა. ერთი სიტყვით, ბერგამოში შეკრებილმა გულშემატკივრებმა კარგი ჯახი იხილეს, შედეგით კი მასპინძლები დარჩნენ კმაყოფილნი.



რიკი ალვარესის (მარცხნივ) გოლს ხერმან დენისმა უპასუხა

### ნამატჩევს...

ვალტერ ნაცარი გაბრაზებული ჩანდა და ეს მის კომენტარზეც აისახა: *„ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, მომენტიც მეტი შევქმენით და სადაც სამართალია, უნდა მოგვეგო კიდეც. „ატალანტამ" ერთი ფეხბურთელის წყალობით აილო ქულა და ეს ხერმან დენისია. მასთან „ნაპოლიში" მომიწია მუშაობამ და ვიცი, რომ ბრწყინვალე ფოვარდია. დასანანი ქულები დავკარგეთ და ძალიან იმედგაცრუებული ვარ - ასეთ თამაშებს უნდა ვიგებდეთ. მომენტების რეალიზებაში მოვიკოჭლებთ, რაც დაუშვებელია".*

მატჩის შემდეგ, ყურადღების ცენტრში გახლდათ ხერმან დენისი, რომელიც თავის დროზე „ნაპოლიში" ასპარეზობდა და იქიდან სწორედ მაცარიმ გამოუშვა - შედგა თუ არა ვენდეტა? - ამაზე თავად ხერმანი გვეტყვის: *„ვალტერ მაცარი ძალიან იშვიათად მაძლევდა თავის გამოჩენის შანსს, ბოლოს კი საერთოდ გამომიშვა გუნდიდან. შესაბამისად, მასთან მეგობრული ურთიერთობა არასდროს მქონია. თუმცა შურისძიებაზე ლაპარაკი ნამეტანია, რადგან წყენა გულში არასდროს ჩამიდია. თანაც, მწვრთნელს აქვს უფლება, ესა თუ ის ფეხბურთელი აითვალწუნოს და პირიქით, შეიყვაროს. პირადად მე, მაცარის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს".*

#### ატალანტა-ინტერი 1:1

**გოლები:** 0:1 ალვარესი (17), 1:1 დენისი (25).

#### მილანი-ლაციო 1:1

**გოლები:** 1:0 კაკა (54), 1:1 სიანი (72).

**მილანი (4-3-3):** გაბრიელი – აბატე, ძაკარდო, საპატა, დე შილიო – მუნტარი, მონტოლივო, დე იონგი – ბირსა (75. მატრი), კაკა (75. პოლი), ბალოტელი.

**ლაციო (4-3-3):** მარკეტი – კავანდა, სიანი, ცანა, რადუ – გონსალესი, ლედესმა, ერნანესი (46. ონაზი) – პერეა (68. ფლოკარი), კანდრევა (90. პერეირინია), კლოზე.

**გაფრთხილება:** დე შილიო, მონტოლივო, მუნტარი, ბალოტელი – ცანა, რადუ.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11-5(5-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 55 000

#### კალიარი-ბოლონია 0:3

**გოლები:** 0:1 გარიჩი (26), 0:2 კონე (58), 0:3 პაციენცა (60).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, მურუ – კონტი, იბრაიმი (90. დესენა), ნაინგოლანი – კოსუ (60. აველარი) – პინილია (67. ნენე), იბარბო.

**ბოლონია (3-5-1-1):** კურჩი – ნატალი (12. ანტონსონი), მანტოვანი (40. პერესი), სორენსენი – გარიჩი, პაციენცა (82. ხრისტოდოლოპულოსი), კრპინი, ლაქსალტი, მორლეო – კონე - კრისტალდო.

**გაფრთხილება:** კოსუ, პინილია – გარიჩი, მორლეო.

**გაძევება:** მურუ (52. კალიარი).

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7-15(2-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 000

#### ფიორენტინა-ნაპოლი 1:2

**გოლები:** 0:1 კალეხონი (12), 1:1 როსი (28-პენ.), 1:2 მერტენსი (36).

**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო – რონკალია, კომპერი, სავიჩი – კუადრადო, პასკუალი (83. ვარგასი), პისარო, ბორხა ვალერო, აკვილანი (71. ვეჩინო) – ხოაკინი (76. მატოსი), როსი.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა – მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, მესტო – ინლერი, ბერამი – მერტენსი (66. ინსინიე), კალეხონი, პანდევი (81. არმერო) – იგუაინი (62. პამშიკი).

**გაფრთხილება:** კომპერი, ბორხა ვალერო – ალბიოლი, ბერამი, ვალერი.

**გაძევება:** კუადრადო (90) – მაჯო (80).

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-2(3-2); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 30 000

#### ჯენოა-პარმა 1:0

**გოლი:** 1:0 ჯილარდინო (57).

**ჯენოა (3-5-2):** პერინი – ანტონინი, პორტანოვა, მანფრედინი – ვრსალკო (21. ჩენტურიონი), ბიონდინი, მათუზალემი, ბერტოლაჩი, ანტონელი (78. კუჩკა) – ფელტფატციდისი (59. მარკეზე), ჯილარდინო.

**პარმა (3-5-2):** მირანტე – კასანი, ფელიპე, ბენალუანი – როზი (68. ბიაბიანი), პაროლო, გარგანო, ვალდესი (78. ამაური), მესბა – კასანო, პალადინო (78. სანსონე).

**გაფრთხილება:** ანტონინი, მანფრედინი, ანტონელი – ბენალუანი, მესბა.

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 5-7(5-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 000

#### ვერონა-სამპდორია 2:0

**გოლები:** 1:0 ტაკები (51), 2:0 ტონი (78).

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი – კაჩატორე, გონსალესი, მაიეტა, ალბერტაცი – ფრელო, ლანერი (67. რომულო), ალფრედსონი – ტალები (74. დონატი), ტონი, მარტინიო (74. იტურბე).

**სამპდორია (4-4-2):** და კოსტა – მუსტაფი, გასტალდელო, კოსტა, რეჯინი - ობიანგი, გავაცი (66. ვესზოლეკი), კრსტიჩიჩი (84. გენცოლლუ), ბარნასონი – გაბიადინი (58. პოცი), ედერი.

**გაფრთხილება:** ედერი (სამპდორია).

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 7-10(5-5); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 20 000

#### იუვენტუსი-კატანია 4:0

**გოლები:** 1:0 ვიდალი (26), 2:0 პირლო (34), 3:0 ტევესი (66), 4:0 ბონუჩი (71).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – კასერესი, ბონუჩი, კიელინი – ისლა, ვიდალი (61. პოგბა), პირლო, ასამოა, დე ჩელიე – ტევესი (66. ჯოვინკო), ლორენტე (74. მოტა).

**კატანია (3-4-2-1):** ანდუხარი – ლეგროტალიე, გიომბერი, როლინი (68. კაპუანო) – ბირაგი (46. კასტრო), ალვარესი, გუარენტე, ალმირონი – კეკო, პეტკოვიჩი (65. მაქსი ლოპესი) - ბერგესიო.

**გაფრთხილება:** კიელინი, პირლო (იუვენტუსი).

**გაძევება:** გუარენტე (84. კატანია).

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 22-4(10-1); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 39 000

#### ლივორნო-ტორინო 3:3

**გოლები:** 0:1 იმობილე (4), 0:2 გლიკი (7), 1:1 პაულინიო (25), 2:2 გრეკო (33), 3:2 ემერსონი (62), 3:3 ჩერჩი (67-პენ.).

**ლივორნო (3-5-2):** ბარდი – ჩეკერინი (68. მბაიე), ემერსონი, კოდა – სკატარელა, გრეკო (64. პიჩინი), ლუჩი, ბიაჯანტი (51. რინაუდო), ჯემიტი – პაულინიო, ემეგარა.

**ტორინო (3-5-2):** პადელი – გლიკი, დარმიანი, მო-

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 33-7 | 31 |
| 2. ატლეტიკო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-7 | 27 |
| 3. რეალი | 11 | 8 | 1 | 2 | 27-14 | 25 |
| 4. ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| 5. ბილბაო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-13 | 19 |
| 6. ხეტაფე | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| 7. ლევანტე | 10 | 4 | 4 | 2 | 12-14 | 16 |
| 8. ესპანიოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-14 | 15 |
| 9. სოსიედადი | 11 | 3 | 5 | 3 | 13-12 | 14 |
| 10. სევილია | 11 | 3 | 4 | 4 | 20-24 | 13 |
| 11. ვალენსია | 11 | 4 | 1 | 6 | 14-19 | 13 |
| 12. ელჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 13. ვალიადოლიდი | 11 | 2 | 5 | 4 | 14-17 | 11 |
| 14. გრანადა | 10 | 3 | 2 | 5 | 6-10 | 11 |
| 15. მალაგა | 11 | 2 | 4 | 5 | 11-14 | 10 |
| 16. ოსასუნა | 11 | 3 | 1 | 7 | 10-16 | 10 |
| 17. სელტა | 11 | 2 | 3 | 6 | 13-16 | 9 |
| 18. ვალეკანო | 11 | 3 | 0 | 8 | 8-27 | 9 |
| 19. ბეტისი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 20. ალმერია | 11 | 1 | 3 | 7 | 13-24 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 – დიეგო კოშტა (ატლეტიკო), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 8 – მესი (ბარსელონა); 7 – რაკიტიჩი (სევილია)

**31 ოქტომბერი**

**ვილიარეალი-ხეტაფე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** იოკიჩი, ფარინოსი - ა. აროიო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +11 =3 -4 (30:21)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (9-5) +4 =0 -2 (10-6)

**გრანადა-ატლეტიკო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კამპოსი, პიტი, იებდა, დანი ბენიტესი - არდა თურანი, ლეო ბაპტიშტაო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 4 თამაში: +0 =1 -3 (0:8)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (3-6) +5 =0 -1 (12-3)

**ბილბაო-ელჩე 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მუნიაინი, იბაი გომესი, კიკე სოლა - საპუნარუ, ა. ხიმენესი, ედუ ალბაკარი

ურთიერთშეხვედრები

**არ უთამაშიათ**

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (8-7) +3 =0 -3 (7-7)

**ბეტისი-ლევანტე 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ვერდუ, პაულაო, რუბენ კასტრო, სერხიო როდრიგესი, ედერ ვილარჩაო - პალიარდო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 14 თამაში: +5 =3 -6 (21:19)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (4-12) +3 =2 -1 (10-6)

რეტი – ელ ქადური (90. ბარეტო), ვივესი, გაცი (80. მეჯორინი), ბელომო, დამბროზიო (85. პასკუალე) – ჩერჩი, იმობილე.

**გაფრთხილება:** კოდა, სკატარელა, ლუჩი, გრეკო, რინაუდო – გლიკი, ვივესი, ჩერჩი, იმობილე, ბარეტო.

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-10(6-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 14 000

**სასუოლო-უდინეზე 1:2**

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (18-პენ.), 1:1 ძაძა (25), 1:2 მურიელი (56).

**სასუოლო (3-5-1-1):** პეგოლო – ანტეი, აჩერბი, ბიანკო – სკელოტო (18. გაცოლა), მარონე, ლარიბი (74. ბერარდი), კურტიჩი (60. ფლორო ფლორესი), ციგლერი – მისიროლი - ძაძა.

**უდინეზე (3-5-2):** ბრკიჩი – ჰაიდე, დანილო, დომიცი - გაბრიელ სილვა, ბასტა (82. ერე), ალანი, ლაძარი (54. პინცი), პერეირა – მურიელი (71. ბადუ), დი ნატალე.

**გაფრთხილება:** აჩერბი, ციგლერი, ფლორო ფლორესი – დომიცი, პინცი.

**გაძევება:** ძაძა (80. სასუოლო).

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-7(7-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 20 000

**31 ოქტომბერი**

**რომა-კიევო** 23.45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 9 | 9 | 0 | 0 | 23-1 | 27 |
| 2. ნაპოლი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-7 | 25 |
| 3. იუვენტუსი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-10 | 25 |
| 4. ინტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 24-12 | 19 |
| 5. ვერონა | 10 | 6 | 1 | 3 | 20-16 | 19 |
| 6. ფიორენტინა | 10 | 5 | 3 | 2 | 20-12 | 18 |
| 7. ლაციო | 10 | 4 | 3 | 3 | 15-13 | 15 |
| 8. უდინეზე | 10 | 4 | 1 | 5 | 11-11 | 13 |
| 9. ატალანტა | 10 | 4 | 1 | 5 | 12-13 | 13 |
| 10. მილანი | 10 | 3 | 3 | 4 | 17-17 | 12 |
| 11. პარმა | 10 | 3 | 3 | 4 | 16-18 | 12 |
| 12. ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 16-18 | 11 |
| 13. ჯენოა | 10 | 3 | 2 | 5 | 9-14 | 11 |
| 14. კალიარი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-17 | 10 |
| 15. ლივორნო | 10 | 2 | 3 | 5 | 12-16 | 9 |
| 16. სამპდორია | 10 | 2 | 3 | 5 | 9-16 | 9 |
| 17. ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 13-22 | 9 |
| 18. კატანია | 10 | 1 | 3 | 6 | 6-17 | 6 |
| 19. სასუოლო | 10 | 1 | 3 | 6 | 8-24 | 6 |
| 20. კიევო | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |

**ბომბარდირები:** 9 – როსი (ფიორენტინა); 7 – ჩერჩი (ტორინო); 6 - პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი).

**ლაშა ნიკლაური**

● U17. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/8 ფინალი

# ამერიკელთა დომინაცია და ევროპელთა კრახი

**იტალია-მექსიკა 0:2**

**გოლები:** 0:1 ა. დიასი (26), 0:2 ი. ოჩოა (90)

**იაპონია-შვედეთი 1:2**

**გოლები:** 0:1 ბერიშა (11), 0:2 ენგვალი (36), 1:2 ვალკვისტი (56-საკ. კარში)

**ბრაზილია-რუსეთი 3:1**

**გოლები:** 1:0 მოსკიტო (72), 2:0 ბოშილია (80), 2:1 ა. მაკაროვი (90), 3:1 ბოშილია (90)

**გაძევება:** ბარინოვი (69. რუსეთი)

**ჰონდურასი-უზბეკეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბოდენი (74)

**გაძევება:** კომილოვი (24. უზბეკეთი)

**ურუგვაი-სლოვაკეთი 4:2**

**გოლები:** 1:0 ლ. ოტორმინი (5), 2:0 კ. მენდესი (34-პენ), 3:0 ფ. აკოსტა (42), 4:0 ლ. ოტორმინი (58), 4:1 ვესტენიცკი (63), 4:2 სიპლაკი (85)

**მაროკო-კოტ დივუარი 1:2**

**გოლები:** 0:1 კესი (4-პენ), 1:1 ბნუ-მარზუკი (60), 1:2 ფუნიორი (75)

**არგენტინა-ტუნისი 3:1**

**გოლები:** 1:0 ხ. ფერეირა (2), 1:1 პაჯ პასენი (43), 2:1 ხ. იბანიესი (53), 3:1 დრიუსი (73)

**ნიგერია-ირანი 4:1**

**გოლები:** 1:0 ოკონი (23), 2:0 იჰეანაჩო (25), 3:0 მუჰამედი (42), 4:0 იაჰაია (76), 4:1 გოლიზადეჰი (84)

**ბომბარდირები:** 6 - ბოშილია (ბრაზილია); 5 - ვესტენიცკი (სლოვაკეთი), იჰეანაჩო (ნიგერია); 4 - მოსკიტო (ბრაზილია), ნათანი (ბრაზილია), იაჰაია (ნიგერია), ფ. აკოსტა (ურუგვაი), ლ. ოტორმინი (ურუგვაი)

**1/4 ფინალი**

**1 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-შვედეთი | 17:00 |
| ბრაზილია-მექსიკა | 20:00 |

**2 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-კოტ დივუარი | 17:00 |
| ურუგვაი-ნიგერია | 20:00 |

საამიროებში მიმდინარე 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალები დასრულდა. მოულოდნელად, დამარცხდნენ იტალიის და იაპონიის ნაკრებები. „სკუადრა აძურამ" მექსიკასთან წააგო, ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა კი ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩი მოიგეს, მაგრამ 1/8-ფინალში შვედეთთან დამარცხდნენ.

გაუჭირდა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ბრაზილიას, რომელმაც 10-კაციანი რუსეთი შეხვედრის ბოლოსკენ გატეხა. დუბლი შეასრულა ნახევარმცველმა **ბოშილიამ**, ვინც ბოლო 3 შეხვედრაში 2-2 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

თავიანთი მატჩები მოიგეს არგენტინამ და ურუგვაიმ. „ალბისელეტეს" რიგებში თავი **სებასტიან დრიუსიმ** გამოიჩინა, რომლისთვისაც ეს ამ ტურნირზე მხოლოდ მეორე გოლი იყო, ურუგვაის კი **ლეანდრო ოტორმინმა** და **ფრანკო აკოსტამ** მოაგებინეს.

აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპელებმა მუნდიალი ჩააგდეს - მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან ევროპას მხოლოდ ერთი, შვედეთი წარმოადგენს, სამაგიეროდ ერთბაშად 5 გუნდია ამერიკის კონტინენტიდან, კიდევ ორი ნაკრები კი აფრიკიდანაა.

გამარჯვების შემთხვევაში, ბრაზილია და არგენტინა ერთმანეთს 1/2-ფინალში შეხვდებიან, ურუგვაი-ნიგერიას წყვილში უძლიერესი კი ჰონდურასი-შვედეთის გამარჯვებულს შეხვდება.

**ტატო ბაციკაძე**



ბოშილია ბომბარდირთა დავაში გალიდერდა

● კვირა ციფრებში



ფრანკ რიბერის 40 მატჩია, არ წაუგია

# ვინ დაამარცხებს რიბერის?

## ტოლები: ჯიმი და რობინი, რონი და ეუსებიო, დროგბა და დელ პიერო

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში ფრანკ რიბერის, კრიშტიანო რონალდოს და რობინ ვან პერსის მიღწევებზე ვისაუბრებთ. ასევე, თქვენს ყურადღებას ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელების უხეშობასა და მშვენიერ სტილში მოგებულ ტიტულზე გავამახვილებთ...**

**127** - გოლი აქვს პრემიერლიგაში გატანილი **რობინ ვარ პერსის** და ამ შედეგით, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ინგლისის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ჰოლანდიელ ბომბარდირს, **ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს** გაუთანაბრდა. „სტოკთან" მოგებულ შეხვედრაში (3:2) ვან პერსიმ თავი ერთი გოლით გამოიჩინა და პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიის ათეულში შევიდა, რომელსაც **ალან შირერი 260** გოლით ლიდერობს. „სტოკი" ჰოლანდიელის საყვარელი მეტოქეა - ვან პერსიმ „მეთიხეების" წინააღმდეგ ჩატარებულ ბოლო 7 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა.

გამარჯვების გოლი კი **ხავიერ ერნანდესის** ანგარიშზე იყო, რომელმაც, ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ, თავისი მე-12 ბურთი გაიტანა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში, ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ უფრო მეტი გოლი მხოლოდ ლეგენდარულ **ოლე გუნარ სოლსკიაერს** აქვს გატანილი.

**57** - გოლი ევროთასებზე - **კრიშტიანო რონალდო** თანამემამულე **ეუსებიოს** გაუთანაბრდა და საერთაშორისო არენაზე გატანილი ბურთების მიხედვით საუკეთესო პორტუგალიელი გახდა. „რეალის" ფეხბურთელმა ყველა, 57-ვე გოლი ჩემპიონთა ლიგაში გაიტანა. „იუვენტუსთან" შესრულებული დუბლის წყალობით, რონალდომ **რუუდ ვან ნისტელროი** ჩამოიტოვა და ამ ტურნირის ყველა დროის ბომბარდირებში მესამე ადგილზე გადავიდა. მასზე წინ მხოლოდ **ლიონელ მესი** (63 გოლი) და **რაული** (71 გოლი) არიან.

გარდა ამისა, კრიშტიანო გახდა სულ მეორე ფეხბურთელი **ფილიპო ინძაგის** შემდეგ (2002/03 სეზონი), ვინც ჩემპიონთა ლიგის პირველ სამ ტურში 7 გოლის გატანა შეძლო.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ბომბარდირების სიაში დაწინაურდა, **დიდიე დროგბა** გახლავთ. ივუარელმა ფორვარდმა თავი „კოპენჰაგენთან" გამოიჩინა და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში თავისი 42-ე გოლი გაიტანა. დროგბა **ალესანდრო დელ პიეროს** წამოეწია და ახლა მასთან ერთად მერვე ადგილს იყოფს.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კი გახდა მეათე ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში პოკერი შეასრულა. გარდა ამისა, იბრა არის პირველი შვედი ბოლო 40 წლის განმავლობაში, ვინც ევროთასებზე გამართულ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. ზლატანამდე ასეთი რამ „მალმიოს" წევრმა **ტორე სერვინმა** (1973 წელს) გააკეთა.

**50** - ოფიციალური მატჩი წაგების გარეშე - **ფრანკ რიბერის** „ბაიერნის" რიგებში მარცხი წელიწადზე მეტია არ განუცდია. ბოლოს, მიუნხენური კლუბის შემადგენლობაში, ფრანგმა ფეხბურთელმა მოედანი დამარცხებულმა 2012 წლის 2 ოქტომბერს, „ბატესთან" სენსაციურად წაგებული მატჩის შემდეგ (1:3) დატოვა. ბუნდესლიგაში ეს სერია უკვე 39 მატჩია გრძელდება, რაც ამ ტურნირის ახალი რეკორდია.

ისტორია რიბერის მწვრთნელმაც გადაწერა - **პეპ გვარდიოლამ** გერმანიის ჩემპიონატის პირველ 10 შეხვედრაში მარცხი არ განიცადა, რაც დებიუტანტი მწვრთნელისთვის საუკეთესო შედეგია. გვარდიოლამ 45 წლის წინ დამყარებული რეკორდი გაიმეორა, რომელიც **ბრანკო ზებეცს** ეკუთვნის.

„შალკეს" **მაქს მაიერი** კი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი (18 წლის, ერთი თვის და რვა დღის), რომელმაც ბუნდესლიგაში სამი გოლის გატანა მოასწრო.

უარყოფითი რეკორდი დაამყარა „ჰანოვერის" ფორვარდმა **მამე ბირამ დიუფმა**, ვინც „ჰოფენჰაიმთან" გამართული მატჩის პირველ 12 წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და ბუნდესლიგის ისტორიაში შევიდა.

**31** - მატჩი და 0 წაგება. „ბურირამ იუნაიტედმა" ტაილანდის ჩემპიონატი მესამედ მოიგო და ქვეყნის რეკორდიც დაამყარა. **ალეხანდრო მენენდესის** შეგირდებს წინ კიდევ ერთი მატჩი აქვთ და თუ ისიც არ წააგეს, სეზონს დაუმარცხებლად დაასრულებენ. სამივე ტიტული „ბურირამმა" ბოლო 5 სეზონში მოიგო, წელს კი გუნდის წარმატების მთავარი შემოქმედი ესპანელი კარმელო გახლავთ, რომელმაც 22 შეხვედრაში 23 გოლი გაიტანა.

**4** - წითელი ბარათი მიიღეს ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელებმა ბოლო ორ შეხვედრაში. ხუთშაბათს, **მეჰდი კარსელა-გონსალესი** და **ანტონიო კანუ** (ევროპა ლიგა, „ზალცბურგთან") გააძევეს, ოთხი დღის შემდეგ კი „ანდერლეხტთან" გამართულ შეხვედრაში მოედანი ნაადრევად **დანიელ ოპარემ** და **ვილიან ვანკერმა** დატოვეს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ლიდერმა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან ფრედ, 1:1 ითამაშა.

ევროპა ლიგის შეხვედრაში „ზალცბურგის" **სადიო მანეც** გააძევეს. ერთ შეხვედრაში სამი წითელი ბარათი ამ ტურნირის ახალი რეკორდი გახლავთ.

კიდევ ერთი რეკორდი კი **ჯერმეინ დეფომ** დაამყარა. ინგლისის ნაკრების ფორვარდმა ევროთასებზე თავისი 22-ე გოლი გაიტანა და „ტოტენჰემის" ისტორიაში ევროტურნირებზე საუკეთესო ბომბარდირს, **მარტინ ჩივერსს** წამოეწია.

**ტატო ბაციკაძე**



● ინტერვიუ. ბასტიან შვაინშტაიგერი

# 2043 წელს ბაიერნის ბოსები მე, ლამი და მიულერი ვიქნებით



ბასტიან შვაინშტაიგერი უკვე 29 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საუკეთესო საფეხბურთო ასაკშია. წინა სეზონში მან „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გერმანიის ჩემპიონობა და თასი ექვს-ექვსჯერ აქვს მოგებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკლუბო დონეზე მიაღწია თითქმის ყველაფერს, რისი მიღწევაც შეეძლო. შვაინშტაიგერი ამ ყველაფრით, რა თქმა უნდა, კმაყოფილია, მაგრამ მაინც დაჟინებით ამბობს, რომ ჯერ კიდევ არ „დანაყრებულა“ და „ბაიერნთან“ ერთად ჯერ კიდევ სერიოზული მიზნები აქვს. „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შვაინი „ბაიერნში“ გატარებული წლების ყველაზე ცუდ და კარგ მომენტებს იხსენებს და საუბრობს შესაძლო გეგმებზე აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ.

**- გაიხსენეთ ყველაზე სახალისო მომენტი, რაც „ბაიერნში“ თამაშის პერიოდში გადაგხდენიათ.**

- რომელიმე შემთხვევის გამორჩევა ძნელია, რადგან ამ ხნის განმავლობაში ბევრი სახალისო რამ მოხდა. იუმორის მხრივ ჩვენთან მთავარი შემოქმედი ფრანკ რიბერია - სახალისო ისტორიების უდიდესი ნაწილი სწორედ მას უკავშირდება. მაგალითად, ერთხელ ერთ-ერთ თანაგუნდელს ავტომობილის საბარგულში თევზი ჩაუდო და ამაზე დიდხანს არაფერს ამბობდა. როცა მოგვიანებით საბარგული გახსნეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი გადასაყრელი იყო. ფეხბურთელის ვინაობას განგებ არ დავასახელებ - ასეა საჭირო. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რამდენიმე დღე ჩიოდა, მანქანაში საზარელი სუნია და ვერ ვხვდები, რა ხდებაო.

**- აქვე, ყველაზე გულდასაწყვეტი შემთხვევაც უნდა გაიხსენოთ.**

- გულდაწყვეტილები პირველ რიგში, რა თქმა უნდა, წაგებული მატჩების შემდეგ ვართ ხოლმე. სპორტული ასპექტების მიღმა, ძალიან გულდასაწყვეტი იყო ის, რაც სებასტიან დაისლერს დაემართა. მისმა ამბავმა ძალიან მატკინა გული. აქვე, არ შემიძლია არ გავიხსენო რობერტ ენკეს ტრაგედია - ეს „ბაიერნს“ თითქოს არ ეხება, მაგრამ ენკეს შემთხვევა არათუ ყველა ფეხბურთელს, ყველა ადამიანს ეხება.

**- იყო ისეთი მომენტი, როცა ფიქრობდით, ნეტა ფეხებქვეშ მიწა გამისკდეს და ჩამიტანოსო?**

- ასეთი შემთხვევაც იყო. მაშინ 22 წლის გახლდით და ბრემენში გასვლითი მატჩი გვქონდა. სწორედ იმ შეხვედრაში გავიტანე ჩემი კარიერის ერთადერთი ავტოგოლი და ისიც თავით! მაშინ ჩვენი მეკარე და კაპიტანი ოლივერ კანი გახლდათ და სწორედ იმ პერიოდში გაირკვა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიაში ტარდებოდა, ოლი მეორე ნომერი იქნებოდა. შემეშინდა, რომ შესვენებაზე მაგრად დამტუქსავდა, მაგრამ პირიქით: კანმა დამამშვიდა - მთელი კარიერა წინ გაქვს და ცხვირს ნუ ჩამოუშვებო.

**- „ბაიერნთან“ ერთად თითქმის ყველაფერი მოგებული გაქვთ. კიდევ რომელი ან როგორი მომენტის განცდა გსურთ რეკორდმაისტერში?**

- ძალიან მაგარი იქნებოდა, 30 წლის შემდეგ „ბაიერნის“ ხელმძღვანელები მე, ფილიპ ლამი და თომას მიულერი რომ ვიყოთ. თომასი, როგორც ყოველთვის, ძალიან ბევრს ილაპარაკებდა, კომენტარებს ყოველთვის ის გააკეთებდა, მე და ფილიპი კი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მივიღებდით.

**- „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2016 წელს გიმთავრდებათ. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ ძნელია იმაზე საუბარი, რა მოხდება სამი წლის შემდეგ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საკლუბო დონეზე ჯერ არ დავნაყრებულვარ და „ბაიერნთან“ ერთად კიდევ მაქვს დიდი მიზნები. მაგალითად, ამ სეზონშივე მინდა შევძლოთ ის, რაც არავის მოუხერხებია - მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა ზედიზედ მეორედ. ვფიქრობ, ამის შანსი ნამდვილად გვაქვს. 29 წლის ვარ და იმედი მაქვს, რომ ფეხბურთის თამაშს კიდევ დიდხანს შევძლებ - „ბაიერნისთვის“ ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები.

**- თქვენი ცხოვრება მიუნხენის გარეშე წარმოგიდგენიათ?**

- დღეს ამის წარმოდგენა შეუძლებელია. მიუნხენი ხომ გენიალური ქალაქია. ვგულისხმობ იმას, რომ არა მარტო „ბაიერნია“ ბრწყინვალე კლუბი, არამედ მიუნხენიც ბრწყინვალე ქალაქია. თანაც, აქ ყველა ფეხბურთზე გიჟდება. ხალხს სტადიონზე მისვლა უხარია და „ბაიერნს“ ყველა მთელი სულითა და გულით ქომაგობს. ეს ყოველთვის ასე არ იყო - მიუნხენს მძიმე ფაზებიც ახსოვს.

**- რა უნდა აკეთოთ კარიერის დასრულების შემდეგ? ამაზე გიფიქრიათ?**

- ამაზე ჯერ არ ვფიქრობ - სანამ ფეხბურთს ვთამაშობ, მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე ვიქნები კონცენტრირებული. მე ბედნიერი ფეხბურთელი ვარ, რადგან ყოველ კვირა ისეთ სტადიონზე ვთამაშობ, სადაც 70 000 მაყურებელი იკრიბება. ასეთი ბედნიერებით ყველა ფეხბურთელი როდი დაიკვეხნის...

● დორტმუნდის ბორუსია

# კლოპი დორტმუნდში 2018 წლამდე!

## იურგენმა ბორუსიასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



იურგენ კლოპი (მარცხნივ) და გენერალური მენეჯერი ჰანს-იოახიმ ვატცკე: დორტმუნდში სრული იდილიაა

ყველამ იცის, რომ **იურგენ კლოპი** დორტმუნდის „ბორუსიაში“ ბედნიერია და „დორტმუნდის“ ხელმძღვანელები და გულშემატკივრებიც ბედნიერები არიან იმით, რომ „ბორუსიას“ იურგენ კლოპი წვრთნის, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა და ჩემპიონთა ლიგის წინა სეზონის ფინალისტმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გაავრცელა, მაინც ბევრისთვის აღმოჩნდა მოულოდნელი. კლოპმა „დორტმუნდთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა და „ბორუსიას“ 2018 წლამდე გაწვრთნის! მასთან ერთად, ახალი ხელშეკრულებები გააფორმეს იურგენის ასისტენტებმაც - **ცელკო ბუვაცმა და პეტერ კრავიტცმაც**.

*„ბედნიერები ვართ, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გვყავს და მასთან კიდევ უფრო ხანგრძლივ თანამშრომლობაზე შევთანხმდით,“* - განაცხადა სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე „დორტმუნდის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ**.

არადა, კლოპთან ახალი კონტრაქტის გაფორმების აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან მის ძველ ხელშეკრულებას ვადა 2016 წლის ზაფხულამდე ჰქონდა. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კლოპი „დორტმუნდში“ 2008 წლიდან მუშაობს და „ბორუსიას“ გრანდიოზული პროგრესი, პირველ რიგში, სწორედ მისი დამსახურებაა. *„ეს გუნდი იურგენმა განავითარა და რაკი მუდმივად ვპროგრესირებთ, მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება ახლავე გვსურდა. გვიხარია, რომ დაგვთანხმდა,“* - ეს სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებია.

2011 და 2012 წლებში კლოპის „დორტმუნდი“ ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 2012-ში კი გერმანიის თასიც მოიგო. 2013 წელს „ბორუსიამ“ ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ ველარ შეინარჩუნა და ბუნდესლიგაში მეორე ადგილს დასჯერდა, სამაგიეროდ, წინა სეზონში დორტმუნდელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწიეს, სადაც „ბაიერნთან“ დამარცხდნენ.

*„გასაგებია, რომ ყველას უჩვეულოდ ეჩვენება ის ფაქტი, კონტრაქტის ამოწურვამდე ორწლინახევრით ადრე ახალ კონტრაქტს რომ გააფორმებ, მაგრამ მე ამით კიდევ ერთხელ მსურდა იმის დამტკიცება, რომ „ბორუსიაში“ ბედნიერი ვარ და ამ კლუბის ერთგულად ვრჩები. ეს უკვე ჩემი გუნდია - „დორტმუნდი“ ყველანაირად ჩემია! საკმარისია წარმოვიდგინო, რომ 2018 წელს ათი წელი შესრულდება მას მერე, რაც ამ გუნდს ვწვრთნი, რომ გული სიამაყით მევსება. ჩემთვის ძალიან საამაყო იქნება ის ფაქტი, რომ ისეთ გრანდიოზულ გუნდში, როგორიც დორტმუნდის „ბორუსიაა“, ათი წელი ვიმუშავე,“* - განაცხადა კლოპმა.

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა და იურგენი ნაადრევად არ გაათავისუფლეს (რაც დღევანდელი გადასახედიდან თითქმის გამორიცხულია) და მან „დორტმუნდში“ მართლაც ათი წელი დაყო, ბუნდესლიგის ისტორიაში მხოლოდ ექვსი ისეთი მწვრთნელი დარჩება, რომლებმაც ერთ კლუბში უფრო დიდხანს იმუშავეს: **ფოლკერ ფინკე** (ფრაიბურგი), **ოტო რეჰაგელი** და **თომას შააფი** (ვერდერი), **ვინფრიდ შეფერი** (კარლსრუე), **ჰენეს ვაისვაილერი** (გლადბახი) და **ედუარდ გაიერი** (კოტბუსი).

### ფეხბურთელებიც აღარ წავლენ

„დორტმუნდის“ ხელმძღვანელებმა კლოპთან ახალი კონტრაქტის გაფორმებით წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებისკენაც დიდი ნაბიჯი გადადგეს - მათი მოტივაცია ესეც იყო. *„ფეხბურთელები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ გუნდის პროგრესი გაგრძელდება. კლოპთან ახალი კონტრაქტის გაგრძელება ფაქტობრივად ამის გარანტიაა. შესაბამისად, წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნებაც გაგვიადვილდება და ახლებსაც იოლად დავიმატებთ,“* - ამბობს ვატცკე.

● ჰოფენჰაიმი



ჰამადი ახალი წლიდან ჰოფენჰაიმში ითამაშებს

# ჰოფემ ჰამადი გაიფორმა

## მალმიოს კაპიტანი სოფლელებს იანვრიდან შეუერთდება

„ჰოფენჰაიმი“ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე უხვგოლიანი გუნდია. „სოფლელებს“ ათი ტურის შემდეგ ყველაზე მეტი, 25 გოლი აქვთ გატანილი, თუმცა ყველაზე მეტიც (23) გაუშვეს. აქედან გამომდინარე, უფრო ლოგიკური ის იქნებოდა, რომ ზამთრისთვის დაცვის გაძლიერებაზე ეზრუნათ, მაგრამ არა - „ჰოფე“ წინა ხაზს აძლიერებს. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ კრაიხგაუელები იანვრიდან შვედეთის ჩემპიონის, „მალმიოს“ კაპიტან **ჯილოან ჰამადს** დაიმატებენ.

22 წლის შემტევი ნახევარმცველი „ჰოფენჰაიმში“ ბუნდესლიგის მეორე წრიდან ითამაშებს - „ჰოფე“ მას უფასოდ გადაიბირებს. ჰამადი, რომელსაც შვედეთის ნაკრებში ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული, „სოფლელებთან“ კონტრაქტს 2017 წლამდე გააფორმებს.

ალსანიშნავია, რომ ჰამადი ბაქოშია დაბადებული და „მალმიოსთან“ ერთად შვედეთის ჩემპიონობა ახლახან გაიფორმა - კლუბს 8 გოლითა და 6 საგოლე პასით შეეწია. ევროპალიგაში კი „მალმიოს“ ფორმით 6 მატჩი და 2 გოლი აქვს. საერთო ჯამში მას 22 წლის ასაკში შვედეთის უმაღლეს ლიგაში 125 შეხვედრა აქვს ჩატარებული, შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრებში კი, სადაც ასევე კაპიტანი იყო, 28 მატჩში ითამაშა.

*„ჰამადი ახალგაზრდა, მონდომებული და პროგრესირებადი ფეხბურთელია, რომელმაც შვედეთში უკვე დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. მისი მთავარი პლუსი ის არის, რომ ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში,“* - აცხადებს „ჰოფენჰაიმის“ მენეჯერი **ალექსანდერ როზენი**. აქვე ვიტყვით, რომ ჰამადი შვედეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. პაულუ ბენტუ

# რონალდომ ეპოქა შექმნა

## მაგრამ ტურნირებს გუნდები იგებენ

**პორტუგალიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი პაულუ ბენტუ გულშემატკივრებს ეუბნება, რომ მისი ნაკრების მიზანი ისევ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა და მათი მხარდაჭერა კვლავაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია. პორტუგალიას პლეი ოფში ზლატან იბრაჰიმოვიჩის შვედეთთან ელოდება ძალიან დაძაბული პაექრობა. 2002 წლის მუნდიალზე ბენტო ჯერ კიდევ ფეხბურთელის რანგში იცავდა პორტუგალიის ღირსებას, ახლა კი 44 წლის სპეციალისტს მწვრთნელის რანგში დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა - გუნდი ბრაზილიაში უნდა მოახვედროს. ვნახოთ, რა თქვა მან ფიფას ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში. ჩვენ ამ ინტერვიუს ოდნავ შემცირებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ



პაულო ბენტუ და კრიშტიანო რონალდო

**- რომელი გრძნობა უფრო მძაფრია ახლა ნაკრების ბანაკში? გულისწყვეტა ბრაზილია 2014-ზე პირდაპირ ვერ მოხვედრის გამო თუ შვედეთთან პლეი ოფის მოლოდინი?**

- მე ამ ორ გრძნობას ერთმანეთს ვერ დავუკავშირებდი. ჩვენი მიზანი შესარჩევი ჯგუფის მოგება და ბრაზილიაში პირდაპირ მოხვედრა იყო, მაგრამ სათანადოდ ვერ გავისარჯეთ. ახლა კი კიდევ ერთი შანსი გვეძლევა და პლეი ოფზე ვართ კონცენტრირებულნი.

**- თქვენი აზრით, რატომ ვერ გახვედით შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე?**

- რამდენიმე მიზეზია გამოსარჩევი. უპირველეს ყოვლისა, უკეთ უნდა გვეთამაშა ისრაელთან ორივე შეხვედრაში და ჩრდილოეთ ირლანდიასთან პირველ ტაიმში. ისე არ გამოვიყურებოდით, როგორც გვინდა და როგორც შეგვიძლია. გადამწყვეტ მომენტებში ცივსისხლიანობა გვაკლდა, შანსებს ვაცუდებდით. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრებში კარგად არ გამოვიყურებოდით, სამივე მატჩის მოგება შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ.

**- ემხრობით თუ არა თეორიას, რომ ბოლო წლებში პორტუგალიას უფრო სუსტ ნაკრებებთან უჭირს თამაში?**

- სიმართლის მარცვალი ამაში ნამდვილად არის. ზოგჯერ პორტუგალიას მართლაც უჭირს იმ მატჩების მოგება, რომლებშიც აშკარა ფავორიტია. ამ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთადერთი თამაში უშუალო კონკურენტ რუსეთთან წავაგეთ, მაგრამ ქულები ისეთ ნაკრებებთანაც დავკარგეთ, რომლებთანაც უნდა გვემარჯვა. გარდა ტაქტიკისა და სათამაშო ფორმისა, აქ სხვადასხვა ფაქტორიცაა, მათ შორის, ემოციური. ბოლო წლებში ჩვენი ნაკრები დიდ ტურნირებზე ცოტა ემოციურად გადაინვა და ეს ფსიქოლოგიური სახის პრობლემებიც დასაძლევი გვაქვს.

**- სათამაშო კარიერის დროს, გუნდი თქვენთვის ყოველთვის ყველაზე წინ იდგა. იგივე მიდგომა გაქვთ მწვრთნელის რანგშიც?**

- რასაკვირველია. ინდივიდუალურად კარგად მოთამაშე ფეხბურთელებმა შესაძლოა კონკრეტული მატჩი მოგაგებინონ, მაგრამ ტურნირს გუნდი იგებს. ჩემი აზრით, სხვანაირი ხედვა და მიდგომა არც არსებობს. ცხადია, დიდ პატივს ვცემ და მიყვარს განსაკუთრებულად ნიჭიერი მოთამაშეები, ისინი აუცილებლად საჭირონი არიან, მაგრამ მწვრთნელის საქმეა, მათი ტალანტი კოლექტივს მოახმაროს. გამორჩეული ფეხბურთელი ერთ ან ორ მატჩს მოგაგებინებს, მაგრამ მთლიანად მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატს, უკეთესი გუნდი იგებს.

**- რომელ ნაკრებებს განიხილავთ მუნდიალის ფავორიტად?**

- 2014 წლამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნებიან ფეხბურთელები და ნაკრებები იმ დროისთვის. იქამდე კი, როგორც უმეტესობას, მეც ესპანეთი, გერმანია, ბრაზილია და არგენტინა მიმაჩნია უმთავრეს ფავორიტებად. ესპანეთი შესაძლოა მხოლოდ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ბოლო წლებში აშკარად დომინირებს. დანარჩენებს მუნდიალი არაერთგზის მოუგიათ. ეს ნაკრებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად ძალიან ძლიერები არიან და ამიტომაც კარგი შანსები აქვთ.

**- რა სჭირდება პორტუგალიას იმისთვის რომ ელიტას შეუერთდეს?**

- ყველაფერი შეიცვლება, თუ ტიტულს მოიგებ. თუმცა შესაძლოა, სხვა მხრივაც გვაკლია რალაცეები. პორტუგალიას, ნახსენებ ნაკრებებთან შედარებით, ფეხბურთელებში დიდი არჩევანის საშუალება არ აქვს. თუმცა ჩვენი ქვეყნის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ და იმას, რამდენი მოთამაშიდან ვირჩევთ საუკეთესოს, ბოლო წლების შედეგები პოზიტიურად უნდა შეფასდეს - 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე და 2006 წლის მუნდიალზე ნახევარფინალში ვიყავით, ხოლო ევრო 2004-ის ფინალში, რამდენჯერმე დიდი წარმატება ერთ ნაბიჯში იყო, და ამ კურსით უნდა გავაგრძელოთ სვლა. თან მომატებაზე ფიქრია საჭირო, თუ უფრო დიდი რესურსის მქონე ნაკრებებთან კონკურენცია გვსურს.

**- შეიძლება კრიშტიანო რონალდო განიხილებოდეს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ, როდესაც სანაკრებო ტიტული მას არ მოუპოვებია?**

- ამის მაგალითი აქვე პორტუგალიაში არ გვყავს? ეუსებიო არასდროს გამხდარა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონი, მაგრამ ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოთამაშედ მოიაზრება. რონალდო დიდებული ფეხბურთელია, ისეთი, როგორებიც ეპოქას ქმნიან. როდესაც იგი კარიერას დაასრულებს, სამუდამოდ იქნება აღიარებული გამორჩეულ სპორტსმენად. მას ნაკრებთან ერთად მოპოვებული ტიტულის გარეშე შეუძლია პორტუგალიის საუკეთესო და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად დარჩეს ისტორიაში. ასე რომ, სანაკრებო წარმატება საყოველთაო აღიარებისთვის აუცილებელი არ არის. რასაკვირველია, ეს სასურველია და მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მოთამაშის შეფასებისა, მაგრამ არა ერთადერთი. ისევ ეუსებიო ვახსენოთ, ადამიანებს, რომლებსაც მისი თამაში ცოცხლად აქვთ ნანახი, იგი საუკეთესოდ მიაჩნიათ.

**- რონალდო და კაპიტნობა... ეს მასზე დამატებით ზეწოლას ხომ არ ახდენს?**

- მე ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. იგი ბუნებრივად და მშვენივრად გამოიყურება. რონალდო ძალიან ახალგაზრდა გახდა ნაკრების კაპიტანი. მართალია იგი ახლაც ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენ უკვე ჩამოყალიბებულ და როგორც საკლუბო ასევე სანაკრებო დონეზე, ძალიან გამოცდილ მოთამაშეზე ვლაპარაკობთ. ის კაპიტანი, უბრალოდ, იმიტომ არ არის, რომ განსაკუთრებით ნიჭიერი და გამორჩეული მოთამაშეა, რონალდოს მართლაც სცემენ პატივს თანაგუნდელები და უაღრესად კმაყოფილი ვარ იმ ყველაფრისთვის, რასაც ის ნაკრებისათვის აკეთებს.

რასიზმი ინგლისურ ფეხბურთში

# ინგლისში განათლების პრობლემაა?

„ბირმინგემ სიტის" ახალგაზრდული აკადემიის მწვრთნელი **მაიკლ ჯონსონი** მიიჩნევს, რომ ინგლისში ფერადკანიან ადამიანებს მწვრთნელობისა და კლუბის ხელმძღვანელობაში მუშაობის საშუალება თავისუფლად არ ეძლევათ, რაც არასწორია. იამაიკელს მთელი სათამაშო კარიერა იქ აქვს გატარებული, ინგლისურ ფეხბურთს წლებია აკვირდება და ასეთი თეორია ჩამოუყალიბდა - მისი აზრით, „ფეხბურთის მამებს" ფერადკანიანი ადამიანები არაშესაფერისად მიაჩნიათ იმისათვის, რომ გუნდის გაწვრთნა და მართვა მიანდონ, რაც დამამცირებელია. ჯონსონის თქმით, გარკვეულ შეთქმულების თეორიას აქვს ადგილი და ერთგვარი „დაუწერელი კანონების" გამო, ფერადკანიანი ადამიანები ავტომატურად იბლოკებიან.

იამაიკელამდე რამდენიმე საათით ადრე ეს საკითხი წინ წამოწია ფიფას ანტირასისტული მოძრაობის ხელმძღვანელმა **ჯეფრი ვებმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ფერადკანიანი მწვრთნელებისადმი ინგლისში არასამართლიანი მიდგომაა და ამის გამო, ისინი დემორალიზებულნი არიან. ვებმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ამ საკითხზე მუშაობისაკენ მოუწოდა.

ინგლისის ლიგებს პრემიერლიგიდან ქვემოთ რომ ჩავყვეთ და 92 კლუბზე შევჩერდეთ, იცით რამდენ ფერადკანიან მწვრთნელს ვიპოვით ამ 92 კლუბში? მხოლოდ სამს, რაც მართლაც ცოტაა. ერთი „ნორვიჩის" თავკაცი **კრის ჰიუტონია**, მეორე ამჟამად „ბლექპულის" დამრიგებელი **პოლ ინსი** და მესამე „ჩარლტონის" მწვრთნელი **კრის პოუელი**.

*„ჩვენ მხოლოდ 3 შავკანიანი მთავარი მწვრთნელი გვყავს. ხოლო თუ კლუბების მმართველობაში მოვძებნით, იქ ფაქტობრივად ვერც ერთ შავკანიანს ვერ ალმოაჩენთ. ჩემი აზრით, ეს იმის ბრალია, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც სავარძლებში მოკალათებულან და მნიშვნელოვანი პოსტები უჭირავთ, განათლება აკლიათ. მათ მიაჩნიათ, რომ ფერადკანიანი ფეხბურთელი შეიძლება იყოს და მინდორზე კარგად გამოგადგეს, მაგრამ ამის იქით, არ უნდა გაუშვა. არ მინდა მაინცდამაინც რასიზმზე ვისაუბრო და ეს ყველას არ ეხება, მაგრამ სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ასეთი მიდგომა. ცხადია, ეს ძალიან ცუდი და არასწორია"* - განაცხადა ჯონსონმა.



მაიკლ ჯონსონი

თავად იამაიკელის სათამაშო კარიერა „ნოთს ქაუნთიში" დაიწყო და იქვე დაამთავრა, ოღონდ შუალედში „ბირმინგემის", „დერბის" და „შეფილდ უენსდის" ღირსებასაც იცავდა. მთავარ მწვრთნელად მუშაობის ერთადერთი გამოცდილებაც სწორედ „ნოთსში" მიიღო, რომელიც 2009 წელს მას და **დეივ კევანს** დროებით, მხოლოდ ორი მატჩით ჩააბარეს, წყვილმა არც ერთი შეხვედრა არ წააგო. მეტი შანსი ჯონსონს უმაღლეს დონეზე აღარ მისცემია. 27 ოქტომბერს კი იმავე „ნოთსიდან" კიდევ ერთი ფერადკანიანი სპეციალისტი **კრის ივომია** დაითხოვეს და ამ ყველაფერმა ერთად, მაიკლ ჯონსონი აალაპარაკა. ვნახოთ, რა რეაქცია მოჰყვება ინგლისური ფეხბურთის მმართველთაგან მის სიტყვებსა და ფიფას შეგონებებს.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალური ტურნირი

**ანზორ ქიბროწაშვილი** ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და ჭიდაობის მოყვარულთათვის საყვარელი ფალავანი იყო. იგი ქართული ძიუდოს ისტორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტულის პირველი მფლობელი გახლდათ (1962 წ). ახმეტაში დაბადებულმა (25. X. 1939) მთელი თავისი წარმატებული სპორტული კარიერა გორში გაატარა. ამ ქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტი უძლიერეს ქართველ ფალავანთა აღზრდის კერად გვევლინებოდა ათეული წლების განმავლობაში, რაც რექტორ **გიორგი ხარაულის** და ფიზკულტურის კათედრის გამგე **გურამ პაპიტაშვილის** დამსახურება იყო. სტუდენტ სპორტსმენებს საუკეთესო პირობებს უქმნიდნენ როგორც სასწავლებლად, ისე სავარჯიშოდ. ქიბროწაშვილიც ახმეტიდან სწორედ ამიტომ, გურამ პაპიტაშვილის ინიციატივით მოხვდა გორში. წარმატებული სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ის მსაჯობას შეუდგა და ამ მიმართულებითაც გვარიან წარმატებებს მიაღწია – იყო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. გორის სპორტული საზოგადოება ყოველთვის დიდი პატივისცემით იყო განმსჭვალული ამ უნიკალური პიროვნების მიმართ. ამიტომაც მისი გარდაცვალების შემდეგ (2008 წ), მეგობრების ინიციატივით გორში ქიბროწაშვილის დაბადების დღეზე უკვე ტრადიციულად იმართება მასშტაბური მემორიალური ტურნირი ჭაბუკთა შორის ძიუდოში. შეჯიბრება წლეულსაც წარმომადგენლობითი აღმოჩნდა. ორგანიზატორები - გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა (დირექტორი **ანზორ თენაძე**) და გორის სპორტული ცენტრის (ხელმძღვანელი **ნოდარ მეტრეველი**).


დათო იმერლიშვილი

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ თბილისიდან ძიუდოს ოთხი გუნდი (შევარდენი, აკადემია, ოლიმპი, ლიდერი) ეწვია ტურნირს. მათ გარდა ტატამზე გავიდნენ ახმეტის, საგარეჯოს, თელავის, რუსთავის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის და გორის საჭიდაო სკოლების აღსაზრდელები - სულ 200-მდე მონაწილე. შეჯიბრება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, პაექრობებს სჯიდნენ ეროვნული კატეგორიის არბიტრები. ტურნირს მრავლად სტუმრობდნენ ქართული სპორტის სახელოვანი წარმომადგენლები.

მსუბუქ წონებში გორელები დომინირებდნენ. 50 კგ-ში კვარცხლბეკზე სულაც ისინი იდგნენ. კარგად იასპარეზეს თბილისის კლუბ „შევარდენის" ძიუდოისტებმა. აღსანიშნავი იყო ქვემძიმე წონაში ქარელელთა შთამბეჭდავი გამოსვლა. კვარცხლბეკზე სამი მოჭიდავე სწორედ აქაური იყო. 81 კგ-ში გამარჯვებულმა ქარელელმა **დათო იმერლიშვილმა** ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო და ქიბროწაშვილის სახელობის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. კიდევ ერთი სპეციალური პრიზი, რომელიც ანზორ ქიბროწაშვილის ოჯახმა დააწესა, **ნიკა ჭიკაიძეს** (60 კგ) გადაეცა. ტექნიკური ჭიდაობისათვის თავისი პრიზი კრივში მსოფლიოს ჩემპიონს, **გიორგი კანდელაკსაც** ჰქონდა დანესებული, რომელიც **ბექა უდესიანს** (66 კგ) ერგო. 73 კილოში გამარჯვება წილად ხვდა ჭაბუკთა შორის საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ **სიმონ მამარდაშვილს.** გამარჯვებულები არიან აგრეთვე საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები **დათო რაზმაძე** (+81), **დათო გეჯაძე** (55) და **გიორგი ლიპარტელიანი** (60).

„მიხარია, რომ ჩემი უფროსი მეგობრის ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალური შეჯიბრება ასთი პოულარული გახდა. ანზორი ჩვენი ქვეყნის საამაყო ფალავანი იყო. ფიზიკურად და სულიერად ლამაზ ქართველ ვაჟკაცს ყველგან პატივს სცემდნენ. მახსოვს, კარიერის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე მისი სტუმრობისას მაშინდელი საკავშირო ფედერაციის თავკაცები, სპორტის მესვეურები ქიბროწაშვილს „კნიაზს" ეძახდნენ და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ" - გვითხრა შიდა ქართლის ძიუდოს რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა **ბორის გოგიჩაიშვილმა.**

**კვარცხლბეკი**

**46 კგ.** 1. ზურა კახნიაშვილი (გორი), 2. გიორგი ნიაზაშვილი (თბ. ოლიმპი), 3. ამირან დარბაისელი (საგარეჯო), სოსო ხალთაძე (ახმეტა).

**50 კგ.** 1. თემურ ნოზაძე, 2. ბექა მელქუაშვილი, 3. ლევან ფსუტური, გიორგი რევაზიშვილი (ოთხივე - გორი).

**55 კგ.** 1. დათო გეჯაძე (კასპი), 2. გიორგი გივიაშვილი (თბ. შევარდენი), 3. რომან ქართველიშვილი (რუსთავი), გელა გარაყანიძე (თბ. ლიდერი).

**60 კგ.** 1. გიორგი ლიპარტელიანი (თბ. შევარდენი), 2. ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა), 3. შოთა ნადირაძე (თბ. აკადემია), ვიქტორ ოდიაშვილი (გორი).

**66 კგ.** 1. ბექა უდესიანი (თბ. შევარდენი), 2. გიორგი დიდებაშვილი (თბ. ოლიმპი), 3. ლუკა მაისურაძე (ხაშური), გელა ფერაძე (გორი).

**73 კგ.** 1. სიმონ მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. გიორგი ბალაბანაშვილი (თბ. ოლიმპი), 3. გიორგი ხაჩიძე, გიგა გიგაური (ორივე - თბ. შევარდენი).

**81 კგ.** 1. დათო იმერლიშვილი, 2. ნიკა სიდამონიძე, 3. გიორგი მულაძე (სამივე - ქარელი), ლევან ძიბულიშვილი (თბ. შევარდენი).

**+ 81 კგ.** 1. დათო რაზმაძე (ახმეტა), 2. გიორგი გველესიანი (თბ. შევარდენი), 3. გიგა ვახანია (თბ. აკადემია), გენადი ლომსაძე (თბ. ჯორჯია).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

კრივი

# ახალკაცი ანაპაში ჟიურის უთავკაცებს

წლეულს 8-16 ნოემბერს ანაპა (რუსეთი) 1997-1998 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. კონტინენტის კრივის კონფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო ფარჩინელიმ 29 ოქტომბერს საქართველოს კრივის ფედერაციას აცნობა, რომ ამ პირველობის ჟიურის თავმჯდომარე იქნება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, AIBA-ს დელეგატი, ევროპის კრივის კონფედერაციის ალმასკომისა და მსაჯთა კომიტეტის წევრი **ვლადიმერ ახალკაცი**, ხოლო ტექნიკურ დირექტორად ყოფილი თბილისელი, ამჟამად ისრაელში მცხოვრები ოთარ რაგიმოვი დაინიშნა.


ვლადიმერ ახალკაცი

- კონფედერაციის წევრი 49 ქვეყნიდან ანაპის ევროპის პირველობაში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე 36-მა ნაკრებმა განაცხადა, - გვითხრა გუშინ ვლადიმერ ახალკაცმა. - სულ 13 წონით კატეგორიაში 300-ზე მეტი სპორტსმენი მოიყრის თავს, მათ შორის 10 მოკრივე საქართველოდან იქნება. ისინი ამჟამად კუკური შავგულიძის ხელმძღვანელობით ქუთაისში გადიან ბოლო საწვრთნელ შეკრებას. კარგი ბიჭები გვყავს, სულ მცირე - ორ-სამ მედალს ვგეგმავთ. იმედია, არბიტრები ამჯერად მაინც ვერ დაგვჯაბნიან.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯობით უკმაყოფილო ხართ?**

- ამდენი წელიწადია, შეჯიბრებებს ვესწრები და მსგავსი მიკერძოება არასდროს მინახავს. აშკარად დაგვიჩაგრეს ზაალ კვაჭატაძე (69 კგ), ჯაბა ხოსიტაშვილი (75), ლევან გულედანი (91) და მიხეილ ბახტიძე (მძიმე წონა). მას შემდეგ, რაც გულედანს უკვე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ კლემენტე რუსოსთან (იტალია) ბრძოლა წაართვეს, საქმეში AIBA-ს მაღალჩინოსნები ჩაერივნენ და ბელარუსი, ეგვიპტელი და მაროკოელი არბიტრები დასაჯეს. მასპინძლებს მეტისმეტი მოუვიდათ - 4 ოქროს მედალი მოიპოვეს, მაშინ როცა რუსები მხოლოდ ერთ უმაღლეს ჯილდოს დასჯერდნენ. წინა მსოფლიოზე უკრაინელებს ოთხი ჩემპიონი ჰყავდათ, ალმატიდან კი ერთი ბრინჯაოთი დაბრუნდნენ. საერთოდ უმედლოდ დარჩნენ საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბელარუსი, თურქეთი... იმედია, უმაღლესი დონის ფორუმებზე მსგავსი რამ არ გამეორდება.

**- დიდი ხნის შემდეგ მოკრივეები ალმატის რინგზე უჩაფხუტოდ გავიდნენ.**

- სპორტსმენები მსგავს ორთაბრძოლებს მიუჩვევლები იყვნენ, ამიტომ ბევრმა მიიღო ტრავმა, მაგრამ პროტესტი არავის გამოუთქვამს, რადგან პაექრობები უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახდა. მომდევნო ტურნირებისთვის მოკრივეები იძულებული გახდებიან, ტექნიკური არსენალი გაიუმჯობესონ, რომ მეტოქისგან ნაკლები დარტყმა და ტრავმა მიიღონ. რაც შეეხება ანაპის ევროპის პირველობას, იქ მოზარდები აუცილებლად ჩაფხუტებით იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ გია გუგავასთან



# ლევინიაშვილი დაღვინდა

## მომავლის გუნდი

ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია გუგავამ** მორიგი წარმატებული სეზონი შემოგვთავაზა – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მედლები ხომ უხვად ჩამოიტანა, მისმა განვრთნილმა გუნდმა კიდევ ერთხელ გვასიამოვნა სანახაობრივი, ლამაზი და ძლიერი ჭიდაობით. მათი წარმატების გვირგვინი მსოფლიოს გუნდურ ტურნირში გამარჯვება აღმოჩნდა, რამაც სლოვენიაში, მსოფლიოს პირად-გუნდურ ჩემპიონატში, ექოსავით დაიქუხა. ძლიერი ჭიდაობით იქ ჩვენებმა დაამტკიცეს, რომ ეს მომავლის გუნდია და დარწმუნებული ვართ, ეროვნულ ნაკრებში ბევრსაც დაუფრთხეს ძილი – ეჭვიც არაა, ამათგან ზოგიერთი ნამდვილად იასპარეზებს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე. გუგავასაც ამ ინტერვიუში მსოფლიოს ჩემპიონატის გამორჩეულ თემებზე ვესაუბრეთ.

**- გუნდური ტურნირის ფინალით დავიწყოთ, სადაც ბერძნებს საწყის სამ წონაში ძალიან ძლიერები ჰყავდათ... რით გაანეიტრალეთ მათი ეს კოზირი?**

- ბერძნებს ქვედა წონებში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონები ჰყავდათ, ჯგუფიდან კი იაპონია და კორეა გააგდეს. ჰოლანდიაც, მაგრამ იმათთან შედარებით, ამათზე ალარაა ლაპარაკი. ძირითადად სწორედ იმ სამი კაცით იგებდნენ. ერთი შეხედვით, ისინი აუღებელ ციხე-სიმაგრედ ჩანდნენ, მაგრამ ასე არც მე ვფიქრობდი და არც – ბიჭები. არც ერთს არ უფიქრია, რომ ამ პაექრობას დავთმობდით. ვერავის გამოვარჩევ იმ ხუთეულიდან, რომელმაც სტაბილურად იჭიდავა – ნებისმიერი მათგანი მხოლოდ დადებითად შემიძლია, დავახასიათო. აგრეთვე – ფრიდონ გიგანი.

**- რომელიც თქვენი კოზირი აღმოჩნდა. რომან მასტოპულოსთან საჭიდაოდ, რატომ ამჯობინეთ ის ლევან გუგავას, რომელიც ცუდად არ ჭიდაობდა?**

- გიგანი ფინალისთვის შემოვინახეთ, მანამდე კი იმიტომ არ გამომიყენებია, რომ გუგავაც იგებდა. არჩევანი მათი საჭიდაო სტილიდან გამომდინარე გავაკეთე – მასტოპულოსი სულ ზევიდან ჭიდაობს, მუდმივად განუხებს, ამას კი კისრულები ეხერხება. გიგანს ადრეც დაუმარცხებია ის. თან დასვენებული იყო. ამ სამი წონიდან ერთ-ერთში უნდა მოგვეგო, თორემ ლევინიაშვილისა და მატიაშვილის გამარჯვებებში დარწმუნებული ვიყავი. საბოლოოდ სამიდან ორში ვიმარჯვეთ, რაც მებრძოლმა და ჟინიანმა ხასიათმა განაპირობა. ბიჭებმა დარბაზი აიყოლიეს, ისე კარგად ჭიდაობდნენ. საერთოდ, გუნდური ნამდვილი სანახაობა გამოდგა. ჩვენების შემხედვარემ მეც ვისიამოვნე.

**- უშანგი მარგიანი პირადში არ დააყენეთ, გუნდურში კი ყველა შეხვედრა მოიგო...**

- მარგიანი მხოლოდ გუნდურისთვის წავიყვანეთ და წელში გატეხა რუსეთის ნაკრები. ბერძნებთანაც პრინციპული შეხვედრა მოუგო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ალექსიოს ნტანაციდისს, მაგრამ იმათთან გიგანის წარმატების შემდეგ გამარჯვება გარანტირებული იყო, რადგან ზედა წონებში მაინც გავიმარჯვებდით, აი, რუსთან რომ წაეგო, მაშინ მეტოქე დაწინაურდებოდა და მძიმე წონაშიც გაგვიჭირდებოდა. თან, რუსებთან ევროპის ჩემპიონ ასლან ლაპინაგოვს ეჭიდავებოდა.

**- ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავებ გუნდს რომ ადარებთ მსოფლიოსას, სრულად შეასრულეთ დასახული გეგმა?**

- ეს ორი ტურნირი ძალზე ახლოა ერთმანეთთან – ერთთვიანი შუალედია, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში კი ძალზე ძნელია, ორჯერ შეხვიდე პიკში. ერთხელ რომ დაიჭერ ფორმას, მერე უნდა შეინარჩუნო, თორემ იმის დრო ალარაა, მოეშვა და მერე ისევ შეხვიდე ფორმაში. სეზონის დასაწყისიდანვე ისე ვემზადებოდით, რომ პიკში მსოფლიოზე უნდა შევსულიყავით, ევროპა კი მისთვის მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა.

ვფიქრობ, მსოფლიოზე უფრო ფსიქოლოგიური გადაღლა იყო – სულ შეკრებები, ტურნირის მოლოდინი, განცდა... თან ასაკიც გასათვალისწინებელია – ჯერ კიდევ მოზარდები არიან, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ნორმალურად გამოვედით. თუ ვინმემ წააგო, უფრო იმ დაძაბულობით და არა – ცუდი ფიზიკური მომზადებით ან სხვა საჭიდაო ასპექტებით. მაგალითად, გურამ თუშიშვილი მედლის კანდიდატი იყო, მაგრამ ფეხის არასწორად ჩადგმისთვის მოხსნეს. ვფიქრობ, ალარ ეყო ნერვები, ვერ მოთოკა თავი და უაზროდ გააკეთა ის მოძრაობა... ასევე გულდასაწყვეტი იყო ზაქარიაძის წაგებაც, რაც ასევე გადაღლილობის ბრალი მგონია. თან, ამ წონაში წილისყრამაც არ გაგვიმართლა, ჩვენები ერთ ჯგუფში მოხვდნენ.

**- მძიმე წონაში რუსი ანტონ კრივობოკოვი სტაბილურად გვიგებს. რა ტაქტიკით შეიძლება მისი განეიტრალება?**

- მატიაშვილთან მისი შეხვედრების ისტორია ასეთია - შარშაწინ რუსმა დამატებითში მოუგო. ევროპის წლევანდელ პირველობაზე მათ შეხვედრას სხვა დატვირთვა ჰქონდა – გუნდურის ბედს წყვეტდა და როგორც მერე თვითონ ლევანმა მითხრა, აფორიაქებული იყო, მსაჯების ზეწოლისა ეშინოდა და ამიტომ ვერ დაალაგა ჭიდაობა. ნამდვილად გვეგონა, რომ მსოფლიოზე უკეთესი შედეგი გვექნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ თემაზე ბევრი სამუშაოა, ანალიზი უნდა გავაკეთოთ. მისი ჭიდაობის ფირები გვაქვს, ჩავუჯდებით და შევიმუშავებთ ტაქტიკას. კრივობოკოვს კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს – წონით დიდია, რასაც ეფექტურად იყენებს: ხელები თუ კარგად უჭირავს, შემოგიშვებს და მერე ან წინ უნდა დაგატრიალოს, ან – უკან. ევროპის შემდეგაც ვმუშაობდით მასზე, ზაქარიაძესაც ვამზადებდით, რომელმაც გერმანიაში სუფთად მოუგო, ისე დააჭეთქა, მაგრამ წლეულს ევროპაზე გაფრთხილებებით რუსმა იმარჯვა. ამჯერად მატიაშვილს დავავალეთ, ხელი გაეთიშა, რომ მაშინდელივით არ გაეჩე-

» მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

რებინა. ხელი კი გაუთიშა, მაგრამ კრივობოკოვმა ახლა უკნიდან გამოცერა. ერთი სიტყვით, გვაჯობა, მოერია ჩვენს მძიმე წონოსნებს, რაც მეტ მუშაობას გვავალებს. ფაქტია, რომ რუსი ნიჭიერია, არ იგებს შემთხვევით. ჩვენები ყველას უგებენ – იმავე რუსებს, იაპონელებს, მონღოლს, ბრაზილიელს, მაგრამ ამას ვერაფერი მოუხერხეს. კიდევ უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ და მეტი ანალიზი გავაკეთოთ. ფიზიკურად მართლაც კარგადაა მომზადებული. მატიაშვილმა მითხრა, მკლავებში იმხელა ძალა აქვს, მლლისო – ეტყობა, კარგადაა ნავარჯიშები. რომ შეხედავ, ასეთი განსაკუთრებული არაფერი ეტყობა, მაგრამ ძალიან ძნელი წასაქცევია – გდებას არ უშვებს, მოძრავია, წონასთან შედარებით ფეთქებადი ძალაც აქვს...

**- ზაქარიაძის წაგება ახსენეთ, რაც მართლაც გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ ბრაზილიელი რუან სილვა ორჯერ ძალიან იოლად შეუშვა ილეთზე... ჩვენებურს თითქოს კონცენტრაცია აკლდა.**

- მედალთან რაც უფრო ახლოს მიდიხარ, დატვირთვაც იზრდება. ფსიქოლოგიურად მდგრადია – ნამდვილად არაა მშიშარა, მაგრამ განცდა და ღელვა ყველას ახასიათებს. არავინ თქვას, რომ არ განიცდის და არ ფიქრობს მომავალ შეხვედრაზე. მაშინ ბექა ღვინიაშვილი უნდა იყო, რომელიც რაც უფრო ახლოს მიდის მედალთან, ჟინიც მით უფრო ემატება და თვალებიც ემღვრევა ჭიდაობის სურვილისგან. ზაქარიაძე კარგი ბიჭია, მაგრამ რაღაც მომენტში გამოეპარა მეტოქის მოძრაობა. ეს რომ პირველი შეხვედრა ყოფილიყო, მოიგებდა, გადამწყვეტი პაექრობა კი ცოტა ძნელია.

**- საინტერესოა, ღვინიაშვილის გამოსვლაზე როგორც თქვენი, ასევე უცხოელი სპეციალისტების შეფასებები, რაც აუცილებლად იქნებოდა.**

- მან მსოფლიოს ჩემპიონატზე პირადსა და გუნდურში ჯამში 9 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო – ამის მეტი რაღა უნდა ვილაპარაკოთ! კარგი გაგებით – არანორმალური მონაცემების მოჭიდავეა. თან ყველა ასპექტში მაგარია – ტექნიკა, ფიზიკური, ფსიქოლოგიური მომზადება... შედეგად, გუნდში მოტორივითაა – მისი შემხედვარე, ყველა მშვიდადაა. ეს ყველაზე უფრო გუნდურში იგრძნობა. კი, იქ ჩვენც ვესაუბრებოდით მათ, რომ იქ სამშობლოსთვის ვჭიდაობთ და ეს პირად ინტერესზე მეტია; რუსებთან მშვენივრადაც განვეწყეთ, მაგრამ მას რომ ვუყურებ, როგორც მწვრთნელს, სხვა ხასიათზე მაყენებს, მსიამოვნებს მისი ცქერა. ერთი წამით არ ფიქრობს იმაზე, რომ ვინმესთან არ წაიქცეს, არ წააგოს, არ აქვს მსგავსი განცდები. პირიქით – სულ იმაზე ფიქრობს, როგორ მოუგოს, როგორ დაახეთქოს, როგორ წააქციოს... მასში მხოლოდ ეს ერთი მხარეა, ის მეორე კი – არა. წესით, ისიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ – არა. თუმცა, არც ეს ვარგა და ხშირად ვესაუბრები, რომ ზედმეტი თავდაჯერება კარგი არაა. წინა წლებში მას ჰქონდა ამის მწარე გამოცდილება, მაგრამ წლეულს ერთი ზედმეტი მოძრაობა არ გაუკეთებია. ერთი სიტყვით, გვარს ამართლებს - დაღვინდა უკვე. ღვინიაშვილი საჭიდაოდ რომ გადის, მთელი დარბაზი მას უყურებს, მსაჯები სხვა ტატამებიდანაც კი აქეთ იყურებიან. ასეთი რამე ზვიადაურების – ზურას და ჯარჯის ჭიდაობისას ხდებოდა და ისეთივე აურა აქვს ამასაც.

**- თუმცა გუნდურში ზოგიერთ შეხვედრაში ფიზიკურად ცოტა გაუჭირდა...**

- ბოლო შეკრებაზე ღვინიაშვილსაც, თუშიშვილსაც და კიდევ რამდენიმეს გრიპის ვირუსი შეეყარათ და ეს ამის ბრალია. თან, ცუდი მოჭიდავე არც ის რუსი რამაზან მალსიგენოვია. მასთან აგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ აჯობა, თუმცა ამან დიდი ენერგია წაილო. შეხვედრის შემდეგ მალსიგენოვმა უთხრა, ძლიერი ხარ, მაგრამ სხვა დროს მე მოგიგებო.

**- ევროპის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ლერი ჭელიძე გადავა 60 კილოგრამში თუ დარჩება 55-ში? ან სხვებიც ხომ არ შეიცვლიან წონას?**

- არა, ჭელიძე აუცილებლად გადავა 60-ში. ასევე – გუგავაც. ჭელიძე ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია, მაგრამ როგორც ვიცი, ოჯახური პრობლემების გამო სპორტისთვის ვერ იცლიდა – ცოლი მოიყვანა, შვილიც შეეძინა და ვარჯიშს სათანადო დროს ვერ უთმობდა. მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე წაყვანა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. აი, მსოფლიოსთვის კი რომ შევხედე, შევიდა ფორმაში, წავიყვანე და იმედებიც გაგვიმართლა.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი. სტუდენტური ლიგა

# სტუ-მ კიეველები დაჯაბნა

ორი დღის წინათ საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის წინა ტურში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ხარკოველ პოლიტექნიკოსებთან, ფაქტობრივად, მოგებული მატჩი დათმო. გუშინ კი კიეველ სტუდენტებს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა.



**კპი–სტუ 63:73**

15:20, 19:8, 13:22, 16:23

**კპი. ევგენი კუზენკოვი, არტიომ ლუტაკი (8), დმიტრი მარჩენკო (10), დენის ლავრენიუკი, ალექსანდრ ბორისოვი, ევგენი მოროზოვი (7), ანტონ ძიუბა (13), იაროსლავ იაკიმუკი (6), რუსლან მინტი (3), ალექსეი პავლენკო (10), ნიკოლაი ვერტება (6), იაროსლავ კორენიაკი.**

მასპინძელთაგან 13 ქულით საუკეთესო იყო ძიუბა, ბურთების მოხსნაში კი მარჩენკომ იყოჩაღა (8), თუმცა დუბლის გაკეთება ვერ შეძლო.

**სტუ. დავით გურაბანიძე, რევაზ დიდია (20), ლევან გრძელიძე (7), ნოდარ გოგოძე (21), ირაკლი ალხანაიძე (5), გიორგი ცირეკიძე, რიჩარდ მათიაშვილი (16), ავთანდილ ლომინაშვილი (4), ლევან იოსებაშვილი, საბა ლობჟანიძე, დავით დეკანოიძე.**

**რიჩარდ მათიაშვილმა** ამ მატჩშიც იყოჩაღა - მოედანზე ზუსტად 40 წუთი (!) დაყო და თანაგუნდელებს 22 (!) მოხსნითა და 16 ქულით შეეშველა. შესაბამისად, 21 და 20 ქულა მოაგროვეს **გოგოძემ** და **დიდიამ**.

მატჩი ქართველთა იერიშებით დაიწყო და პირველსავე წუთზე **გრძელიძემ** ზუსტი სამქულიანი ტყორცნით ანგარიში გახსნა. 63-ე ნამზე მარჩენკომ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, რასაც ქართველთა ორი შედეგიანი შეტევა და რიჩარდ მათიაშვილის 14 ქულა მოჰყვა - 7:2. მე-3 წუთის მიწურულს მასპინძლებმა მარჩენკოს ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ წონასწორობა აღადგინეს - 7:7. ამის შემდეგ ნიკოლოზ დერიუგინის შეგირდებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და პირველი მეოთხედი 5 ქულით მოიგეს - 20:15.

მეორე ათწუთიან მონაკვეთში კიეველებმა საგრძნობლად გამოაცოცხლეს თამაში და მე-13 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს - 22:22. ზუსტი სამქულიანი ტყორცნით ძიუბამ გამოიჩინა თავი, სამი წუთის შემდეგ ლუტაკმა, ასევე, სამქულიანით, მასპინძლები წინ გაიყვანა - 27:25. დიდ შესვენებამდე უკრაინელები 6 ქულით დაწინაურდნენ.

თამაში განახლდა თუ არა, რევაზ დიდიამ 42 ნამის განმავლობაში ორი ზუსტი სამქულიანით (გოგოძისა და გრძელიძის პასებით) მასპინძელთა ოპტიმიზმს ცივი შხაპი გადაავლო. 25-ე და 27-ე წუთებზე კიდევ ორჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი სტუ-მ გარდატეხის შეტანა შეძლო და 30-ე წუთისთვის სტუმრები სამი ქულით დაწინაურდნენ. ბოლო რაუნდში ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო და ჩვენმა გუნდმა შეხვედრა 10 ქულით მოიგო - 73:63. სტუ-მ გათამაშების ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გათამაშების ცხრილი 31 ოქტომბრისთვის:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მგუ | 3 | 3 | 0 | 259:220 | 6 |
| სტუ | 4 | 2 | 2 | 300:284 | 6 |
| ხპი | 2 | 2 | 0 | 137:123 | 4 |
| რსფუ | 3 | 1 | 2 | 248:258 | 4 |
| კპი | 2 | 0 | 2 | 124:143 | 2 |
| რსეუ | 2 | 0 | 2 | 129:196 | 2 |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები მორიგ მატჩს 10 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ - როსტოვის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის (რსეუ) გუნდს უმასპინძლებენ. მანამდე კი 3 ნოემბერს რსეუ-რსფუ, 8 ნოემბერს ხპი-კპი ითამაშებენ, ხოლო 10 ნოემბერს მეორე ორთაბრძოლაც გაიმართება - მგუ და ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

## ტრიათლონი

# საქართველო გაწევრდა

ტრიათლონი (ცურვა, ველორბოლა, რბენა) 2000 წლიდან სპორტის ოლიმპიური სახეობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი ჯეროვნად, თუმცა საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიათლონის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ვიაჩესლავ მალიშევი**) შესაძლებლობების მობილიზებით ცდილობს ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს იგი ჩვენში. დიდი ხანი არ არის, რაც ტრიათლონის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი ორგანიზაცია გააერთიანა თავის ოჯახში, რაც მეტს გვავალდებულებს ვიზრუნოთ სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის, რჩეულებს კი გზა გაეხსნას ოლიმპიური სარბიელისკენ. ვიაჩესლავ მალიშევი მიიჩნევს, რომ საქართველოს უნიკალური ბუნებრივი პირობები იძლევა ამის შესაძლებლობას.

**თორნიკე ბაჩეგილაძე**



## სამბო



კახა მამულაშვილი

# ბრინჯაო სპორტაკორდზე

მეტეხელმა (კასპი) სამბისტმა **კახა მამულაშვილმა** (74 კგ) მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო ალი კურჟევთან (რუსეთი) და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სანკტ-პეტერბურგში, საბრძოლო ხელოვნების მეორე მსოფლიო თამაშებზე ანუ „სპორტაკორდზე". თამაშების პროგრამაში 15 ორთაბრძოლის სპორტის სახეობაში შედიოდა. პირველი თამაშები 2010 წელს, პეკინში გაიმართა.

სამბისტთა ტურნირზე 39 ქვეყნის სამბისტები ასპარეზობდნენ. საქართველოდან მხოლოდ 74, 90 და +100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სამი სამბისტი იყო მიწვეული.

**გაბრიელ ბარჯაძე**

## ხელბურთი

# შესარჩევი მარცხით დაიწყეს

**მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი**

**ევროპის 1 ჯგუფი, 30 ოქტომბერი, პანევეჟისი**

**ლიტვა-საქართველო 23:17 (12:7)**

ლიტვა: **არუნას ვასკევიჩუსი, აისტის პაზემეცკასი, იონას ტრუხანოვიჩუსი, როლანდას ბერნატონისი (1), აუგუსტას სტრაზდასი (2), პოვილას ბაბარსკასი (3), ლუკას ფეოკტისტოვასი, ზენას პეტრეიკისი (1), რობერტას შვედასი (3), სკირმანტას პლეტა (2), ვაიდოტას გროსასი (2), ტადას სტანკევიჩუსი (3), ვალდას დრაბავიჩუსი (4), ტადას იურელევიჩუსი, მინდაუგას დუმჩუსი (2), პაულას ორლოვსკისი**

მთავარი მწვრთნელი: **გინტარას სავუკინასი**, მწვრთნელი **არტურას იუსკენასი**

საქართველო: **შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გიორგი გვაზავა, ლევან ბერძენიშვილი, რატი მსხვილიძე (4), აკაკი ტალახაძე, უჩა გამზარდია, სერგო დათუკაშვილი (2), ირაკლი ჩიქოვანი (6), ვლადიმერ რუსია (3), რეზო ჭანტურია (2), ოთარ ამირანაშვილი, ილია გოგალაძე, ზურაბ აბრამიშვილი.**

მთავარი მწვრთნელი: **ჟორჟე რასიჩი**, მწვრთნელები - **ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე.**

მსაჯები: **ანატოლი ნოვიკოვი, რუსლან პერეპილიცი (ორივე - უკრაინა)**

დელეგატი: **ტოივო იარვი (ესტონეთი)**

2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი საქართველოს ნაკრებმა ევროპის პირველი ჯგუფის ფავორიტთან - ლიტვის ნაკრებთან მატჩით დაიწყო.

ბალტიისპირელებს 1997 წლის მსოფლიოს (მერვედფინალში გავიდნენ) და 1998 წლის ევროპის ჩემპიონატების (12 გუნდში მე-9 ადგილი) ფინალურ რაუნდებში უთამაშიათ. მას შემდეგ ლიტველებს ასეთი წარმატება აღარ ჰქონიათ, მაგრამ შესარჩევი ტურნირების პლეი ოფში (ოთხჯერ ევროპასა და სამჯერ მსოფლიოზე) რეგულარულად გადიოდნენ. ოფიციალურ დონეზე საქართველო და ლიტვა აქამდე ორჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს 1994 და 1996 წლების ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. ჩვენმა გუნდმა ოთხივე მატჩი სტუმრად გამართა და ყველა წააგო: 1993 წელს მოსკოვში - 30:18 და 30:15, 1995 წელს კი კაუნასში - 22:9 და 22:16. გუშინდელი მე-5 პაექრობაც ქართველებმა სტუმრად ჩაატარეს და ისევ დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი. მატჩის პირველი ტაიმის დასაწყისი თანაბარ ორთაბრძოლაში მიილია, მაგრამ შემდეგ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, თავი იჩინა საქართველოს ნაკრების შეუთამაშებლობამაც და გუნდები შესვენებაზე ხუთბურთიანი სხვაობით გავიდნენ - 12:7. მეორე ტაიმში უფრო თანაბარი ბძოლა იყო და სტუმრები ის მხოლოდ ერთი ბურთით დათმეს. საბოლოოდ ლიტვამ 23:17 გაიმარჯვა. გუშინვე ფინეთმა შინ თურქეთს 26:20 (15:12) აჯობა. მე-2 ტური 3 ნოემბერს გაიმართება. საქართველო ფინეთს სპორტის სასახლეში 18.00 საათზე შეხვდება, თურქეთი კი ლიტვას მიიღებს.

**ვაჟა დანელია**

## ჩოგბურთი

# ერთეულებშიც, წყვილებშიც

ამერიკული ნიუ ბრაუნფელსის 50.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში გუშინ ჩაება **ანა ტატიშვილი**. ერთეულთა თანრიგის სტარტზე მან იოლად აჯობა მასპინძელ ჟაკლინ კაკოს - 6:2, 6:0 და მე-6 ნომრად განთესილი ჩვენებური მე-2 წრეში როსალინა ალდას (აშშ) მძლეველ (6:2, 6:2) იულია ელბაბას (აშშ) დაუპირისპირდება. წყვილებში ტატიშვილი ამერიკელ კოკო ვანდევეგესთან ერთად ტურნირის რეიტინგფავორიტია. პირველ წრეში ოკეანისგაღმელებს - თამიენ ფუმაგალისა და ვიქტორია იუს ეთამაშებოდა. ქართულ-ამერიკულმა ტანდემმა ორივე სეტი ადვილად მოიგო - 6:2, 6:1.

■ ■ ■

სტამბოლში (თურქეთი) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) სტარტზე წარმატების შემდეგ გუშინ მეორე წრეში **სოფიო შაფათავა** კვალიფიკაციიდან აღზევებულ ელიზავეტა კულიჩკოვასთან (რუსეთი) ორ სეტში დამარცხდა — 3:6, 1:6, სამაგიეროდ, წყვილებში ანასტასია ვასილიევასთან შეამხანაგებულმა ნიგინა აბდურაიმოვა (უზბეკეთი) და ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:3 და ნახევარფინალში მეოთხე ნომრებთან - ბასაკ ერაიდინსა და მელის სერეზთან (ორივე თურქეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

ანტალიის (თურქეთი) 10.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობის მეოთხედფინალში მე-2 ნომრად განთესილმა **ეკატერინე გორგოძემ** და პია კონიჩმა (ავსტრია) დაძაბულ პაექრობაში რუმინელებს - იოანა დუკუსა და პატრისია ტიგს სამ სეტში აჯობეს- 6:1, 3:6, 10:7 და ნახევარფინალში ესენ კოკჩეს (თურქეთი) და **სოფიო ქვაცაბაიას** დუეტს შეხვდება. ამ უკანასკნელმა ჰელენ მეულემანისა (ბელგია) და დომინიკ ვაჰლის (გერმანია) ტანდემი ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 7:5.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ვიდრე სუფრას მივუსხდებოდეთ

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ „სუფრაში" გადატანითი მნიშვნელობით NBA-ს ახალ სეზონს ვგულისხმობთ, რომელიც სავსე იქნება გემრიელი კერძებით (თამაშებით), ტკბილეულით (მოგებებით), ემოციებით...

**ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსი" ხომ სწორედ დღეს ჩაერთო დიდ მარათონში - მილუოკელებმა თბილისის დროით გამთენიისას „ნიუ იორკ ნიქსის" წინააღმდეგ ითამაშეს (ცხადია, შედეგის გაზეთში ჩაწერა დაბეჭდვამდე ვერ მოესწრო).



ამჯერად სათაური არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. „მილუოკი ბაქსის" წლების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ახალი სეზონის დაწყების წინ კალათბურთელები სავახშმოდ იკრიბებიან. თითოეული მოთამაშე ამჯერადაც საზეიმო სამოსში იყო გამოწყობილი, რაც ფოტოგრაფებისთვის „მსუყე ლუკმა" აღმოჩნდა - არასპორტული ფორმით ყველა კალათბურთელი ფირზე აღბეჭდეს და საინტერესო ფოტოგალერეაც გამოვიდა.

მილუოკელებს ერთი ტრადიციაც ჰქონიათ: დარბაზში სავახშმოდ შესვლის წინ მოთამაშეებმა „საბაყოზე" გაიარეს - მიკროფონმომარჯვებული ჟურნალისტის კითხვებს უპასუხეს. ეს უკვე ჩვენთვის აღმოჩნდა „ტკბილი კერძი", რადგან საშუალება მოგვეცა გაგვეგო, როგორ ხვდება ზაზა ფაჩულია ახალ სეზონს. შეგახსენებთ, რომ იგი „ბაქსში" 2004-05 წლების სეზონშიც თამაშობდა, საიდანაც „ატლანტა ჰოქსში" გადავიდა და დიდი ხნის შესვენების შემდეგ წლეულს გააფორმა კონტრაქტი „მილუოკისთან".

**- ყველას უხარია შენი დაბრუნება,** - დაიწყო საშუალო ასაკის ჟურნალისტმა.

- ჩემთვისაც სასიამოვნოა ისეთ გუნდში ყოფნა, რომელშიც კარიერის საწყისი ეტაპი მაქვს გატარებული. მაშინ 20 წლისა ვიყავი და NBA-ში მეორე სეზონს ვთამაშობდი. „მილუოკი" ძალიან დამეხმარა ნინსვლაში. სპორტულ მხარეს თავი რომ დავანებოთ, ყოველთვის სასიხარულოა ნაცნობ ადგილში დაბრუნება, ქალაქი თავიდანვე მომწონდა, გუნდის მესვეურებთან თბილი ურთიერთობა მქონდა ისევე, როგორც ფანებთან. მილუოკიში ბევრი ნაცნობი სახე დამხვდა, რომლებიც ახალ სეზონში ჩვენგან ბევრს ელიან.

**- „მილუოკიდან" წასვლის შემდეგ 8 წელი გავიდა...**

- დრო სწრაფად გარბის, ისევე როგორც სეზონი სეზონს მიჰყვა, ასევე მალე მოვიდა NBA-ს დაწყების დრო. დიდებულია. მიყვარს ეს თამაში და ყოველთვის მოუთმენლად ველი როდის მომიწევს მოედანზე გასვლა. სეზონში მატჩებს შორის ძალიან მცირე შესვენებებია. ასეთ სიტუაციაში დრო კიდევ უფრო სწრაფად გარბის.

**- ზაზა ფაჩულიას დამატებით მოხსნებში (განსაკუთრებით შეტევითში) გუნდს არ უნდა გაუჭირდეს...**

- შეტევითი მოხსნებიც მატჩის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც ბევრის გადაწყვეტა შეუძლია, თუმცა, მიმაჩნია, რომ გუნდი არც სხვა მხრივ მოისუსტებს: გვყავს კარგი მსროლელები, ფიზიკურად ღონიერი კალათბურთელები, სწრაფები... როცა ანგარიშგასაწევ გუნდს აშენებ, ასეთი, მრავალმხრივი კალათბურთელები გჭირდება. მოკლედ, მრავალფეროვანი იარაღი გვაქვს და ამიტომაც ვხვდები ახალ სეზონს იმედიანად. ვფიქრობ, ჩვენი თამაში სანახავადაც კარგი გამოდგება.

ქართველები ესპანეთში




# 31 ქართული და მარცხი ბონში

ესპანეთის ჩემპიონატში **გიორგი შერმადინისა** და **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსამ" გასულ უქმეებზე დადებითი ბალანსი დაიფიქსირა - 2:1. ასეთივე შედეგი უნდა ჰქონოდა ევროთასზე. სარაგოსელები გერმანიის „ტელეკომთან" გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ და მოგების შემთხვევაში სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მოექცეოდნენ, მაგრამ ბოლო წამებზე 104:108 დამარცხდნენ.

არადა, მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყვნენ: პირველი მეოთხედი 29:25 მოიგეს, მეორე - 25:19, მეოთხე რაუნდში ესპანელები ათი ქულის სხვაობითაც იგებდნენ, მაგრამ გერმანელებმა თავისი ხასიათი გამოავლინეს, ბოლო წუთებამდე იბრძოლეს და არაგონელებს გამარჯვება გამოსტყუეს.

მაღალ დონეზე ჩაატარეს პირველი ტაიმი ქართველმა ესპანელებმა. გიორგი შერმადინმაც და ვიქტორ სანიკიძემაც ქულათა უმეტესობა პირველ ნახევარში მოაგროვეს, თუმცა მეორე ტაიმში, ისევე როგორც დანარჩენმა სარაგოსელებმა ბონის „ტელეკომს" ვერაფერი დააკლეს.

ვიქტორ სანიკიძის სტატისტიკა ასეთი იყო: 27 წუთი, 16 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

გიორგი შერმადინიც პირველ ტაიმში ასცდა ათქულიან ნიშნულს: 27 წუთი, 15 ქულა (9-დან 5 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

სატურნირო ცხრილში ბონის „ტელეკომი" „სარაგოსას" გაუთანაბრდა. ორივე გუნდს თითო მოგება, 2 წაგება აქვს და მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

ქართველები უკრაინაში

# 3–0 და 0–3




უკრაინის ჩემპიონატში გუშინ ორი მატჩი გაიმართა. **გიორგი ცინცაძის** „დონეცკმა" „დნიპროს" უმასპინძლა და 105:65 დაამარცხა, ხოლო **ლევან ფაცაციას** „დნიპრო-აზოტი" მარიუპოლში „აზოვმაშს" ესტუმრა და 60:69 დათმო.

■ ■ ■

ვიდრე ქართველთა მონაგარსა და შეხვედრების დეტალებზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, მოგახსენებთ, რომ ფაცაციასა და ცინცაძის გუნდები უკრაინის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში საპირისპირო პოლუსებზე არიან. „დონეცკს" 3 მატჩიდან სამივე მოგებული აქვს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. ფაცაციას „აზოტი" სამი მატჩიდან სამივე წაგებით ბოლო პოზიციაზეა.

ლევანის გუნდმა ღირსეული ბრძოლა გაუჩალა გასული სეზონის მეორეადგილოსან „აზოვმაშს". დნიპროელებმა პირველი მეოთხედი 16:21 დათმეს, რის შემდეგაც მეტოქეს დიდი სხვაობით დაწინაურების უფლება არ მისცეს და ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ გამარჯვების შანსს. თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

მარიუპოლელების შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი **დენი კიკერტი** იყო, რომელმაც 19 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. „დნიპრო-აზოტის" მხრიდან კი ბომბარდირი **დონალდ სიმსი** გახდა, რომლის ანგარიშზე 16 ქულაა. გემახსოვრებათ, ლევან ფაცაციამ, „აზოტის" შემადგენლობაში სათასო შეხვედრაში 20 ქულა ჩააგდო, გუშინ კი საკმარისი დრო არ ჰქონდა იმისთვის, რომ ქულათა მონაგარი შეევსო.

მარიუპოლურ შეხვედრაში ლევანის სტატისტიკა ასეთი იყო: 8 წუთი 1 მოხსნა.

■ ■ ■

გიორგი ცინცაძემ პირიქით, წინა შეხვედრასთან შედარებით უკეთესად ითამაშა. თუ კვირას ვითიბი ლიგაზე ესტონურ ტალინში „კალევთან" 3 ქულა ჩააგდო და მისმა გუნდმა ბევრისთვის მოულოდნელად წააგო, ამჯერად „დნიპროსთან" ცინცაძემ 2-დან 2 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. მის მიერ ნატყორცნმა მხოლოდ ერთმა ორქულიანმა ვერ მიაღწია მიზანს. მარტივი გამოთვლით, 2 სამქულიანი და 2 საჯარიმო 8 ქულაა. გარდა ამისა, ცინცაძის ანგარიშზე 4 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა იყო. საინტერესოა ისიც, რომ როცა გიორგი მოედანზე იყო, „დონეცკი" 22 ქულით დაწინაურდა.

გამარჯვებულთა შორის სნაიპერი **მაქსიმ კორნიენკო** გახდა, რომელმაც 22 წუთში 28 ქულა ჩააგდო.

■ ■ ■

ფაცაციას „დნიპრო-აზოტი" მომდევნო შეხვედრას 3 ნოემბერს „ხიმიკის" წინააღმდეგ ჩაატარებს, ხოლო „დონეცკის" უახლოესი შეხვედრა (უკრაინის ჩემპიონატში) 7 ნოემბერს გაიმართება. მისი მეტოქე „მიკოლაივი" იქნება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# საუკეთესო მგეზავები რაგბის ისტორიაში



ბურთით მერაბ კვირიკაშვილი. საქართველო-შოტლანდია 2011 წელი

მგეზავი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს რაგბის მოედანზე და ყოველთვის მთავარი დასაყრდენია საკუთარი გუნდისათვის როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში თამაშისას. სწორედ №10 იწყებს შეტევას, ნებისმიერი სტატიკური მდგომარეობიდან გამოტანილი ბურთი პირველ რიგში მგეზავთან მიდის. ამეტეს შემთხვევაში სწორედ მგეზავები ასრულებენ საჯარიმო დარტყმებს, არეკნებს, გარდასახვებს და ქულებსაც უხვად აგროვებენ.

დაცვაში თამაშისას ხშირად იხილავთ ისეთ სიტუაციას, როდესაც მგეზავს „პირად მცველად" აჩრდილივით დასდევს რომელიმე თანაგუნდელი, რომელიც ცდილობს დაიცვას იგი მოწინააღმდეგეთა აგრესიული მორკინალებისაგან და აარიდოს თავიდან ტრავმა.

მაღალი დონის მგეზავის არყოლის პრობლემა უამრავ ქვეყანას გააჩნია, ისეთ უძლიერეს სარაგბო კერასაც კი, როგორიც საფრანგეთია. მგეზავად იბადებიან, რადგან ამ პოზიციაზე მოასპარეზე მოთამაშეს ყველაზე მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მართებს: უნდა იყოს ათლეტური, სწრაფი, გააჩნდეს მოედნის კარგი ხედვა, კარგად უნდა „გრძნობდეს" ბურთს, საკუთარი მახვილგონივრული და დროული პასებით საკუთარ თანაგუნდელებს უნდა მისცეს საშუალება, გამოავლინონ საუკეთესო სარაგბო თვისებები.

მგეზავი ფეხითაც უნაკლოდ უნდა ურტყამდეს. მას ინდივიდუალური ქმედების ხარჯზე უნდა შეეძლოს მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევა, გააჩნდეს არასტანდარტული აზროვნება. დაცვაში გარჯისას მგეზავს არ ეპატიება პოზიციური შეცდომის დაშვება, რაც შესაძლოა გუნდისთვის ფატალურად დასრულდეს.

მსოფლიოს რაგბიში ძალიან ბევრ მგეზავს დაუტოვებია თავისი ბრწყინვალე გარჯით წარუშლელი კვალი, თუმცა ჩვენ შევეცდებით საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ავარჩიოთ.

### ჯონი ვილკინსონი
**(ინგლისი)**

**ჯონი ვილკინსონი** ნიუკასლის სარაგბო კოლეჯში აღიზარდა. 17 წლის ტალანტი უკვე ძირითადი გუნდის წევრი გახლდათ და 1998 წელს ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო. ფინალურ მატჩში „ვილკოს" ფეხჩუბინობის წყალობით „ნიუკასლმა" მრისხანე „სარასენზი" დაამარცხა.

ახალგაზრდა მოთამაშის ნიჭსვლა, რა თქმა უნდა არ გამორჩენია ინგლისის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს და 1998 წლის 4 აპრილს ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ჯონიმ სადებიუტო მატჩი ჩაატარა, მან 46-ე წუთზე **მაიკ ქეთი** ჩაანაცვლა გარემარბის პოზიციაზე.

ზაფხულში 18 წლის ვილკინსონი ინგლისის ნაკრებს გაყვა სამხრეთულ ტურნეში, რომელსაც მოგვიანებით „ჯოჯოხეთის ტურნე" ეწოდა, რადგან ბრიტანელები საერთო ჯამში 0:76 განადგურდნენ ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან.

ინგლისელთა ეროვნულ გუნდს **რობ ენდრიუ** ჩაუდგა სათავეში, რომელმაც ახალი გუნდის შენება „ვილკოს" ირგვლივ დაიწყო. ჯონიმ რამდენიმე მატჩში ითამაშა, თუმცა შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და მომდევნო მატჩშივე მთელმა ინგლისმა იგრძნო, თუ როგორ აკლდათ მათ ახალგაზრდა ტალანტი.

2003 წელს ინგლისმა **კლაიდ ვუდვორდის** ხელმძღვანელობით დიდი სლემით მოიგო ექვსი ერის გათამაშება, გადამწყვეტ მატჩში მათ 42:6 გაანადგურეს სტუმრად ირლანდია, ხოლო ჯონი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გახდა. შემოდგომაზე გამართულ მსოფლიოს თასზე ინგლისელთა ტაქტიკა მთლიანად ვილკინსონზე გახლდათ აგებული. მგეზავმა გაამართლა მასზე გაცემული ავანსები, მთელი ტურნირის განმავლობაში იგი, უბრალოდ, შეუდარებელი გახლდათ, ხოლო ფინალურ მატჩში მასპინძელ ავსტრალიას დამატებითი დროის ბოლო წუთზე გადამწყვეტი არეკნი გაუტანა და მსოფლიო რაგბის ისტორიაში ევროპულმა ნაკრებმა პირველად აღმართა მსოფლიოს თასი.

2007 წელს, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე ინგლისმა და მისმა ლიდერმა ვერცხლის მედლები მოიგეს... ნაგეს რა დასანანი ფინალური მატჩი უძლიერეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან.

ჯონი ვილკინსონმა ეროვნული გუნდის მაისურით ჯამში 91 კეპი მოიხვეჭა და 1179 ქულითაც შეენია ინგლისს, რაც დღემდე რეკორდულ მაჩვენებლად ითვლება.

### ენდრიუ მერთენსი
**(ახალი ზელანდია)**

საუკეთესო მგეზავთა შორის თავის საპატიო ადგილს იმსახურებს ლეგენდარული ახალზელანდიელი **ენდრიუ მერთენსი**, რომელიც 9 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა „ოლ ბლექსს". ის შეუცვლელი ფიგურა იყო თავისი ჭკვიანური და იმავდროულად, ქარიზმატული სათამაშო სტილის გამო.

მერთენსის დებიუტი ეროვნულ გუნდში 1995 წელს შედგა და პირველსავე მატჩში მან კანადის ნაკრების წინააღმდეგ 28 ქულის მოგროვება შეძლო. ენდრიუმ თავისი სახელოვანი კარიერის განმავლობაში 70 კეპი მოიხვეჭა და 967 ქულაც მოუტანა საკუთარი ქვეყნის ნაკრებს. მსოფლიოს რაგბის ისტორიაში იგი დღემდე რჩება ყველაზე მეტი ზუსტი გარდასახვის შემსრულებლად და სამი ერის გათამაშების ყველა დროის ბომბარდირად. მან სამხრეთული ნახევარსფეროს ორ უძლიერეს ნაკრებს: ავსტრალიას და სამხრეთ აფრიკას შესაბამისად 202 და 209 ქულა აართვა.

ზე რაგბიში მერთენსი „კუზეიდერსის" ღირსებას იცავდა (1996-2005) და 87 შეხვედრაში 990 ქულითაც შეენია ახალზელანდიურ კლუბს. 2007 წელს ენდრიუ სათამაშოდ ევროპაში წამოვიდა, სადაც მცირე ხნით იასპარეზა „ტულონის", „მეტრო რასინგის" და „ჰარლექვინსის" რიგებში. 2010 წელს „ბეზიეს" რიგებში გადავიდა, სადაც დღემდე იკლავს რაგბის თამაშის დაუოკებელ წყურვილს.

### მარკ ელლა
**(ავსტრალია)**

ლეგენდარული ავსტრალიელი მგეზავის **მარკ ელლას** სანაკრებო კარიერა მხოლოდ 5 წელს გაგრძელდა (1980-84), თუმცა ამ დროის განმავლობაში მან თავისი ფანტასტიკური სათამაშო სტილის დამკვიდრება შეძლო სარაგბო მოედანზე და აბსოლუტურად შეცვალა რაგბი.

მარკი საკუთარ ძმებთან **გარისთან** და **გლენთან** ერთად მატრავილის უნივერსიტეტში პირველად ეზიარა რაგბის და ამის შემდეგ სამივემ მიზნად დაისახა რათა საკუთარი კარიერა სპორტის ამ სახეობისთვის მიეძღვნათ. ასეც მოხდა, სამივე ძმამ მოირგო ავსტრალიის ნაკრების კვართი და ერთგულად ემსახურა ეროვნულ გუნდს კარიერის დასრულებამდე.

ელლამ ჯამში 25 კეპი მოიხვეჭა და 78 ქულითაც შეენია „ვოლაბებს", თუმცა ნებისმიერი მატჩი მისი მონაწილეობით, უბრალოდ, ისტორიის ნაწილი ხდებოდა, რადგან მარკი სასწაულებს ჩადიოდა. 1980 წელს მან ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში გადამწყვეტ მომენტში დაუვიწყარი პასი („როუნდ ტჰე ბოდყ პასს") გადააწოდა თანაგუნდელ **პიტერ გრიგს**, რომელსაც აღარ გასჭირვებია გამარჯვების მომტანი ლელოს გატანა.

1984 წელს ავსტრალიამ ბრიტანეთში ტურნე მოაწყო. ელამ ოთხივე შეხვედრაში თავი ლელოთი გამოიჩინა და საკუთარი ქვეყნის ტრიუმფალურ გამარჯვებას დაუდო სათავე, რის შემდეგაც იგი მოულოდნელად წავიდა დიდი რაგბიდან და უამრავი გულშემატკივარი გულდაწყვეტილი დატოვა. მიზეზი საკმაოდ ბანალური იყო, მას სურდა, რომ კარიერის ზენიტში დაესრულებინა ყველაფერი და სწორედ ასეთი ხსომებოდათ იგი თაობებს.

ავსტრალიური რაგბის ლეგენდამ **დევიდ ქემფიზმა** თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ელლა ყველა დროის საუკეთესო მორაგბედ დაასახელა, ვისთანაც კი ოდესმე უთამაშია.

2005 წელს მადლიერმა გულშემატკივარმა მარკ ელლა ავსტრალიური რაგბის XX საუკუნის 5 საუკეთესო მორაგბეთა შორის დაასახელა.

### ნუგზარ ძაგნიძე

ქართული რაგბის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს **ნუგზარ ძაგნიძეს** არ გაუმართლა. ის რომ ათიოდე წლით გვიან დაბადებულიყო, დარწმუნებულნი ვართ, საერთაშორისო არენაზე წარუშლელ კვალს დატოვებდა.

ნუგზარი ქუთაისში დაიბადა და მთელი საკლუბო კარიერა მშობლიური ქალაქის გუნდს მიუძღვნა. ის შესანიშნავი მგეზავი იყო, ბრწყინვალედ თამაშობდა ორივე ფეხით, რაც თანამედროვე რაგბიში ძალზედ იშვიათი ფენომენია. ძაგნიძე „აიას" რიგებში სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. არაერთხელ უთამაშია საბჭოეთის ნაკრებში. ხშირად თამაშობდა ფულბეკის პოზიციაზეც.

საქართველოს ეროვნულ გუნდში ნუგზარ ძაგნიძემ „ბორჯღალოსანთა" პირველივე მატჩში იასპარეზა 1989 წლის 12 სექტემბერს ზიმბაბვეს ნაკრების წინააღმდეგ. ბოლო მატჩი კი 1995 წელს ამსტერდამში, ჰოლანდიის ნაკრებთან გამართა. ის ნაადრევად წავიდა რაგბიდან და, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ცხოვრებიდანაც.

ნუგზარ ძაგნიძე ერთი ხანობა „აიას" მწვრთნელი იყო და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც მოძღვრავდა. სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობამ ქართული რაგბის ლეგენდას ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე.

### მერაბ კვირიკაშვილი

მერაბ კვირიკაშვილი თანამედროვე ქართულ რაგბიში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ის თბილისში 1983 წლის 27 დეკემბერს დაიბადა. რაგბის თამაში თბილისის „ლელოში" დაიწყო. 2002 წელს, უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. პირველ ლიგაში მოასპარეზე მერაბ კვირიკაშვილი წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს.

იმ პერიოდში „მეკო" ცხრა ნომრის პოზიციაზე თამაშობდა. 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მსვლელობისას, საქართველოს ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა **კლოდ სორელმა** ის მგეზავად ათამაშა და მას შემდეგ, კვირიკაშვილმა ამ ამპლუაში კიდევ ორ მსოფლიოს თასზე იასპარეზა.

რაგბის ქომაგს არასდროს დაავიწყდება 2010 წელს აშშ-ს ნაკრებთან თბილისში გამართული მატჩი. შეხვედრის ბოლო წამებზე მეტოქის ლელოსთან ახლოს წარმოქმნილი რაკიდან ბურთი „მეკომ" გამოიტანა და დროულად შენიშნა გრძელ ფრთაზე ეულად დარჩენილი **ლექსო გუგავა**. მისი უზუსტესი გადაცემის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და მერე, მანვე გარდასახვით გამარჯვება მოუტანა „ბორჯღალოსნებს".

ამასთან ერთად, ალბათ, ძნელი იქნება 2011 წლის მსოფლიოს თასზე დანიდინში, „ოტაგო სთედიუმზე" ინგლისთან გამართული შეხვედრის დავიწყება. მაშინ კვირიკაშვილმა მრისხანე მეტოქეს ხუთი საჯარიმო ვერ გაუტანა. თუმცა ამის პარალელურად ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმავე სტადიონზე, ერთი კვირით ადრე, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მგეზავმა და დამრტყმელმა ჯონი ვილკინსონმა ასევე ხუთი საჯარიმო ვერ გაიტანა.

მერაბ კვირიკაშვილმა ეროვნულ გუნდში 69 კეპი მოიხვეჭა და 433 ქულა მოიპოვა. მის ანგარიშზე 7 ლელო, 88 გარდასახვა, 72 საჯარიმო და 2 არეკნია.

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**



ჯონი ვილკინსონი

U-18




# ლისაბონში ფინალში

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში ესპანეთის გუნდს მოუგო 31:3 და ფინალში გავიდა.**

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ორივე ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს. შეტევაში სოლო გარღვევებს გუნდური, ხელდახელ ბურთაობა ცვლიდა. დაცვაში ჩვენი მორაგბეები გაუვალი კედელივით იდგნენ და მეტოქეს მხოლოდ სამი ქულის აღება დაანებეს.

პირველი ტაიმი დიდი ხნის დაწყებული არ იყო, როცა ქართველმა მორაგბეებმა მეტოქე კონტრიერიმზე დაიჭირეს და ლელო გვერდით ხაზთან ახლოს გაიტანეს. მას მე-14 წუთზე მეორე, ძალიან ეფექტური, კიდევ ერთი ლელო მოჰყვა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეტოქეს მათსავე 22-მეტრიანი ზონის ხაზთან რაკში ბურთი ააცალეს და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს. ლელო გარემარბმა **მურაზ გიორგაძემ** გაიტანა. გარდასახვა ვერ გამოვიყენეთ - 10:0

ესპანელებმა ორ წუთში საჯარიმოდან ანგარიში შვიდქულამდე შეამცირეს - 3:10. თუმცა ამის შემდეგ მათ მონაგარისთვის ალარაფერი მიუმატებიათ. პირველი ტაიმის დასრულებას ხუთი წუთი აკლდა, როცა მეტოქეს მისივე შერკინება ჩათვლის მოედნიდან 30 მეტრში მოვუგეთ. ხაზი მგეზავმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** გაჭრა, რომელიც ლელოდან სამ მეტრში შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი **ბადრი დანგაძემ** აიტაცა და კარის ძელებს შორის დაამიწა. ფულბეკმა **გიორგი აფციაურმა** იოლად გარდასახა - 17:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაში ახალი განახლებული იყო, როცა მოედნის ცენტრში ესპანელთა დაცვის ხაზი შერკინების ბურჯმა **გიორგი მარგველანმა** გაჭრა, 22-მეტრიან ზონასთან მისულმა ბურთი მარჯვნივ ჩაათამაშა და გიორგაძემ მეორე ლელო მიითვალა. აფციაურმა ურთულესი პოზიციიდან გარდასახა - 24:3. რვა წუთში ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავი, მრავალფაზიანი, ძალიან ლამაზი შეტევა განახორციელეს, რომელიც მესამეხაზელმა **ჟორა მლებრიშვილმა** ლელოთი დაასრულა. აფციაურმა ესეც გარდასახა - 31:3.

ამის მერე უპირატესობას ესპანელები დაეუფლნენ, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, დაცვაში შესანიშნავად მოთამაშე ჩვენს გუნდს ვერაფერი დააკლეს.

**საქართველო-ესპანეთი 31:3**

საქართველო: 15. გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი თალაკვაძე, 12. რევაზ ბროძელი, 11. დავით გულიტაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. თეიმურაზ თუთბერიძე. 1. ზურაბ ხარებავა, 2. გიორგი თორაძე, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. ბადრი დანგაძე, 7. საბა შუბითიძე, 8. ჟორა მლებრიშვილი.

16. დავით ფხაკაძე, 17. ბადრი ალხაზიშვილი, 18. ბექა კაკაბაძე, 19. დავით პაპავაძე, 20. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 21. ბადრი ლიპარტელიანი, 22. ანზორ სიჭინავა, 23. ირაკლი სვანიძე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

**კალათბურთი**

### დალასი გენერალურის გარეშე

"დალას მავერიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯერსონ როსასმა** დატოვა თავისი პოსტი, - იტყობინება ESPN. ფუნქციონერის წასვლის მიზეზის შესახებ არაფერს იტყობინებიან. ასე რომ, როსასმა "დალასის" გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე მხოლოდ სამი თვე იმუშავა.

ადრე ვარაუდობდნენ, რომ ის ფუნქციათა ნაწილს შეითავსებდა კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **დონი ნელსონთან**, მაგრამ, ახლა, "დალასს" მოუწევს მუშაობის წარმართვის სხვა ვარიანტის ძიება.

### ობამამ როუზს მიულოცა

როგორც გითხარით, "ჩიკაგო ბულზის" ლიდერმა **დერიკ როუზმა** წელიწადნახევრის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით უამრავა მილოცვას შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ბარაკ ობამა**.

*"ვულოცავ დაბრუნებას დერიკ როუზს"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" ობამამ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტი დიდი ხანი ცხოვრობდა და მუშაობდა ჩიკაგოში, ამიტომაც ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიულ ლიგებში სწორედ ამ ქალაქის კლუბებს უჭერს მხარს.

### უესტბრუკი მალე დაბრუნდება

როგორც Yahoo! Sports იტყობინება, „ოკლაჰომა-სიტის" გამთამაშებელმა **რასელ უესტბრუკმა** მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესში შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და შესაძლოა, ორი კვირის შემდეგ ჩადგეს მწყობრში.

კლუბის ოფიციალური გრაფიკის მიხედვით, უესტბრუკს უნდა გამოეტოვებინა ახალი სეზონის პირველი 4-6 კვირა, მაგრამ ბოლო ვარჯიშზე მან ყველა გააოცა თავისი სათამაშო ფორმით, ამიტომაც, მისი დაბრუნების ახალი ვადა - ნოემბრის შუა რიცხვებია.

**ველოსპორტი**

### ოქროს ველოსიპედი ფრუმისაა

ბრიტანელმა ველომრბოლმა **კრის ფრუმმა** მიიღო ველოსპორტში ყველაზე პრესტიჟული პრიზი - „ოქრო ველოსიპედი". ეს ჯილდო წლის საუკეთესო ველომრბოლს გადაეცემა.

წელს, კრისტოფერ ფრუმმა ტურ დე ფრანსზე გაიმარჯვა, გარდა ამისა, პირველ ადგილზე გავიდა ომანის ტურში, „კრიტერიუმ ინტერნასიონალში", რომანდიის ტურსა და „კრიტერიუმ დოფინეში".

გამოკითხვაში ბრიტანელმა უკან ჩამოიტოვა იტალიელი **ვინჩენცო ნიბალი** და სლოვაკი **პეტერ საგანი**.

**ჩოგბურთი**

### პრადეცკა-ჰლავაჩკოვა დაიშალა

„დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონებმა და 2012 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალისტებმა **ანდრეა ჰლავაჩკოვამ და ლუსი ჰრადეცკამ** (ჩეხეთი) შეწყვიტეს წყვილთა თანრიგში ერთობლივი გამოსვლა. ამ გადაწყვეტილების ინიციატორად გამოვიდა ჰლავაჩკოვა, რომელიც ახალ სეზონში ერთეულთა თანრიგზე აპირებს აქცენტის გაკეთებას, ხოლო წყვილებში კიდევ ერთ თანამემამულესთან **ლუსი საფაროვასთან** ერთად გამოვა.

**ჰოკეი**

### ოვეჩკინი ტრავმირებულია

„ვაშინგტონ კეპიტალზის" ლიდერმა და კაპიტანმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** კლუბის ბოლო ვარჯიში დაზიანების გამო გამოტოვა. როგორც ამერიკული პრესა წერს, რუს ფორვარდს „სხეულის ზედა ნაწილის" ტრავმა აქვს. მისი დაბრუნების ზუსტ თარილზე არაფერს იტყობინებიან.

შეგახსენებთ, რომ ოვეჩკინს სამი ქულა სჭირდება „ათასიანთა" კლუბში მოსახვედრად. ჯერ კიდევ 25 ოქტომბერს, „ედმონტონთან" მატჩში მან NHL-ში თავისი მონაგარი 997 ქულამდე აიყვანა, მაგრამ შემდეგ ქულა ვერ აიღო „კალგარისთან" და „ვანკუვერთან" შეხვედრებში.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფინიქსი–ანაჰაიმი 2:3**

2:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 რიდი-3 (სიმონდსი-2, გროსმანი-4): 2:0 ლეკავალიე-5 (კ. ჟირუ-6, სიმონდსი-3), 2:1 კოლიანო-2 (გეტცლაფი-8), 2:2 პალმიერი-2, 2:3 პალმიერი-3 (ბონინო-4, ვაატანენი-4).

**სტ. ლუისი–ვინიპეგი 3:2**

1:1, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 მოროუ-2 (რივზი-1, შატენკირკი-7), 1:1 ველერი-5 (ლედი-6, ბაფლინი-9), 2:1 პიეტრანჯელო-2 (ოში-8), 2:2 ლიტლი-7 (ლედი-7), 3:2 სტინი-11 (ბოუმისტერი-8, პიეტრანჯელო-8).

**აილენდერსი–რეინჯერსი 2:3**

0:1, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პრაიდერი-1 (ბ. რიჩარდსი-4, სტეპანი-6), 1:1 კლატერბეკი-1 (კარკნერი-1), 2:1 რეგინი-2 (ჰამონიკი-4, ე ნდრიუ მაკდონალდი-3), 2:2 მაკდონაჰი-2 (სტეპანი-7, ზუკარელო-1), 2:3 პულიო-2 (ჰაგელინი-1, დელ ზოტო-1).

**ედმონტონი–ტორონტო 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კესელი-8 (კადრი-6, რეიმონდი-6), 0:2 ვან რიმსდიკი-6 (კესელი-8), 0:3 კესელი-9 (ფანოფი-5, კადრი-7), 0:4 კადრი-5 (რაილი-5, კესელი-9).

**ფინიქსი–ლოს ანჯელესი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მორისი-3 (ჩიპჩურა-1, მილი-1), 2:0 დოუნი-3 (ეკმან-ლარსონი-7, იენდლი-8), 3:0 ჩიპჩურა-2 (მოსი-4, მილი-2), 3:1 სტოლი-1.

**ჩიკაგო–ოტავა 6:5**

1:1, 2:3, 3:1

**გოლები:** 1:0 შოუ-2 (შარპი-5, კიტი-8), 1:1 მ. მიხალეკი-3 (რაიანი-4), 1:2 ტარისი-2 (მაკარტური-6, ე. კარლსონი-8), 2:2 მარიან ჰოსა-5 (ტეივზი-6, ჰიალმარსონი-7), 2:3 კორვო-1 (სპეცა-5, მ. მიხალეკი-5), 2:4 ზიბანეჯადი-2 (ტარისი-9, მაკრობერტსი-7), 3:4 ტეივზი-5 (შარპი-6, მარიან ჰოსა-4), 4:4 ტეივზი-6 (ოდუია-2), 5:4 ტეივზი-7 (სიბრუკი-6, მარიან ჰოსა-5), 6:4 შოუ-3 (მორინი-1), 6:5 ზ. სმიტი-3.

**მონრეალი–დალასი 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბურნივალი-3 (დიასი-5, პლეკანეცი-5), 2:0 ბურკი-4 (დიასი-6), 2:1 იკინი-3 (დილონი-3).

**ნიუ ჯერსი–ტამპა ბეი 2:1**

0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ენრიკე-4 (ელიაში-4), 2:0 იაგრი-3, 2:1 სტემკოსი-9 (პურსელი-5, მელოუნი-6).

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონმა როუზის დაბრუნება დაჩრდილა

სამი მატჩით გაიხსნა NBA-ის ახალი რეგულარული ჩემპიონატი და, რა თქმა უნდა, მთავარი შეხვედრა მაიამიში გაიმართა: მოქმედი ჩემპიონი "ჩიკაგო ბულზს" ილებდა. სამწუხაროდ, ამ მატჩში ინტრიგა არ ყოფილა. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს საბოლოო ანგარიშმა: "ბულზს", რომელიც ყველას უგებდა წინასასეზონო შეხვედრებში, არანაირი შანსი არ ჰქონია.

მატჩის წინ გაიმართა "ჰიტის" მოთამაშეებისთვის საჩემპიონო ბეჭდების დარიგების ცერემონია, აგრეთვე არენის თალზე ალმართეს შარშანდელი ჩემპიონობის აღმნიშვნელი ბანერი. რაოდენ გასაკვირიც არ იყო, ფლორიდული კლუბის მთავარი ვარსკვლავები - **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი** წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი ცერემონიის, რადგან ამას შეიძლებოდა გაეფანტა მათი კონცენტრაცია მნიშვნელოვანი მატჩის წინ.

მათი შეშფოთება სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. არც ისე კარგი სტარტის შემდეგ, მასპინძლებმა პირველი მეოთხედის ბოლოსა და მეორეს დასაწყისში ნოკაუტში გაგზავნეს მეტოქე – 31:5. ასეთი სპურტის შემდეგ, "ჩიკაგოს" ფაქტობრივად აღარ ჰქონდა თამაშის მოგების იმედი. მეოთხე მეოთხედის ბოლოსკენ იყო ერთი მომენტი, როცა **კარლოს ბუზერის** აქტიურობით "ბულზმა" სხვაობა რვა ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ეს უფრო "მაიამის" მოდუნების ბრალი იყო, ვიდრე **ტომ ტიბოდოს** გუნდის წარმატება.

მიუხედავად იმისა, რომ "მაიამის" რიგებში ვერ ვიხილეთ ახალბედები - **მაიკლ ბიზლი** და **გრეგ ოდენი**, აგრეთვე **ჯოელ ენტონი** და **რაშარდ ლუისი**, **ერიკ სპოელსტრას** გუნდმა მაინც სოლიდური დახმარება მიიღო რეზერვისტებისგან. "ჰიტის" სათადარიგოებმა 42 ქულა დააგროვეს, სულ კი გამარჯვებული გუნდის რიგებში შვიდმა კალათბურთელმა მიითვალა მინიმუმ ათი ქულა. ამასთან, ლებრონ ჯეიმსს თამაშიდან მხოლოდ 11 ტყორცნის შესრულება დასჭირდა, უეიდის ანგარიშზე კი 13 სროლა იყო.

რა თქმა უნდა, ამ თამაშის მთავარი ინტრიგა იყო წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ "ჩიკაგოს" ლიდერის **დერიკ როუზის** დაბრუნება. ამ დღეს მთელი საკალათბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა. "ბულზის" ფანებისთვის სამწუხაროდ, დაბრუნება ტრიუმფალური არ გამოდგა. როუზმა თამაში სამწამიანში საფირმო შესვლით დაიწყო, რითაც დიდი იმედი გაუჩინა ბევრს, მაგრამ... 34 წუთში გამთამაშებლის მონაგარი იყო 12 ქულა (თამაშიდან – 4/15, სამქულიანები – 1/7), 4 შედეგიანი პასი და 5 შეცდომა.

ჩიკაგოელებისთვის მხოლოდ ერთი რამ იყო გასახარი: კარლოს ბუზერმა, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრს აკრიტიკებდნენ, ამჯერად ძალიან კარგად ითამაშა. მის ანგარიშზე იყო 31 ქულა (თამაშიდან – 13/18) და მატჩის საუკეთესო სნაიპერის სტატუსი.

**მაიამი–ჩიკაგო 107:95**

17:15, 37:18, 24:25, 29:37

**მ:** ჯეიმსი (17+8 პასი+6 მოხსნა), ბოში (16+6 მოხსნა+3 დაფარება), ბატიე (14), ჩელმერსი (13+5 ჩაჭრა+4 პასი), უეიდი (13+3 პასი), კოული (11+7 მოხსნა+3 პასი), ალენი (11+7 პასი).

**ჩ:** ბუზერი (31+7 მოხსნა), ბატლერი (20+5 ჩაჭრა+3 პასი), როუზი (12+4 პასი), გიბსონი (10+8 მოხსნა+3 პასი), დანლივი (10).



როუზი ლებრონის წინააღმდეგ

# კობი საჭირო არ არის

ისევე როგორც "ჩიკაგოსა" და მისი ლიდერის **დერიკ როუზის** შემთხვევაში, ბევრს ელოდნენ "ინდიანასგან" "ორლანდოსთან" საშინაო შეხვედრაში. მატჩის შემდეგ "პეისერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფრენკ ფოგელმა** აღიარა, რომ მისმა გუნდმა საუკეთესოდ ვერ ითამაშა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ორნიშნა უპირატესობის მოსაპოვებლად.

მასპინძლების სასტარტო გაქცევის (12:2) მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მოედანზე ორი თანაბარი კლასის გუნდი იმყოფებოდა. კალათბურთელთა მოქმედებაში ბევრი ქაოსი იყო, ზედმეტად ინდივიდუალური თამაში... "ინდიანამ" მხოლოდ მესამე მეოთხედში აჩვენა თავისი პოტენციალის ნაწილი, როცა 21:4 სპურტი მოახერხა. მასპინძელთა რიგებში გამოირჩეოდნენ **პოლ ჯორჯი** და **ლენს სტივენსონი**. ამ უკანასკნელის შთამბეჭდავმა თამაშმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა "ინდიანას" შემადგენლობაში დენი გრეინჯერის ყოფნის აუცილებლობა.

ამ მატჩში იყო ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი. როცა პირველი მეოთხედის შუაში მოედანზე გამოვიდა "ორლანდოს" დებიუტანტი **ვიქტორ ოლადიპო**, მთელი დარბაზი მას ფეხზე ამდგარი ოვაციით შეეგება. ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ გულშემატკივრები მაისურებით, რომელზეც კალათბურთელის გვარი ეწერა. საინტერესოა, რომ ეს აღფრთოვანება ეკუთვნოდა მეტოქე გუნდის კალათბურთელს. საქმე ისაა, რომ ოლადიპო ადგილობრივი უნივერსიტეტის ვარსკვლავი იყო და ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე საკალათბურთო შტატში დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა პუბლიკისგან ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად, ოლადიპომ განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენა: ის მუდმივად მომართული იყო სროლისთვის და რამდენიმე ეფექტური დაფარებაც ვიხილეთ... მის წინააღმდეგ.

■ ■ ■

დღის ბოლო მატჩი ლოსანჯელესური დერბი იყო, რომელშიც მომძლავრებულ "კლიპერსს" აშკარა ფავორიტად მიიჩნევდნენ **კობი ბრაიანტის"** გარეშე მოთამაშე "ლეიკერსის" წინააღმდეგ.



კობი კმაყოფილია

სამი მეოთხედის შემდეგ, "კლიპერსი" ოთხი ქულით იყო დაწინაურებული. მეოთხე 12-წუთეულში „ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დ'ენტონიმ** მოედანზე შეუშვა ხუთეული, რომელიც მთლიანად რეზერვისტებისგან შედგებოდა, მათგან სამი კალათბურთელი გასულ სეზონში საერთოდ არ ირიცხებოდა "ლეიკერსში". და ამ შემადგენლობამ სასტიკი დღე აყარა მეზობლებს **კრის პოლისა** და **ბლეიკ გრიფინის** ხელმძღვანელობით. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: **დოკ რივერსი** ყოველთვის განთქმული იყო ხარისხიანი თამაშით, მაგრამ მისმა გაწვრთნილმა „კლიპერსმა" ბოლო მეოთხედში 41 ქულა გაუშვა! და ეს გააკეთა "ლეიკერსმა", რომელშიც არ იყო კობი ბრაიანტი.

სუპერვარსკვლავის შემცვლელმა **ჯოდი მიქსმა** ბოლო მეოთხედში 9 ქულა დააგროვა, **ქსავიერ ჰენრიმ** კი, რომელიც ბოლო ორი წელი "მემფისსა" და "ნიუ ორლეანში" ვერ ბრწყინავდა, კიდევ 12 ქულა დაუმატა. როგორც ჩანს, რივერსმა იჩქარა, როცა "ლეიკერსის" საჩემპიონო ბანერების დაფარვა ბრძანა. ამით მან "ლეიკერსი" ძალიან გააბრაზა.

**ინდიანა–ორლანდო 97:87**

23:18, 17:26, 29:20, 28:23

**ი:** ჯორჯი (24+6 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), სტივენსონი (19+7 მოხსნა+5 პასი), უესტი (13+5 დაფარება+5 მოხსნა+3 პასი), ჰიბერტი (8+16 მოხსნა+7 დაფარება).

**ო:** ნიკოლსონი (18), ჰარკლესი (14), ნელსონი (12+7 პასი+5 მოხსნა), ოლადიპო (12), ვუჩევიჩი(8+10 მოხსნა+3 პასი).

**ლეიკერსი–კლიპერსი 116:103**

28:30, 27:27, 20:22, 41:24

**ლ:** ჰენრი (22+6 მოხსნა), ფარმარი (16+6 პასი), გასოლი (15+13 მოხსნა+4 პასი), მიქსი (13), იანგი (13), ჰილი (12+8 მოხსნა), კამანი (10+8 მოხსნა+2 დაფარება).

**კ:** გრიფინი (19+7 მოხსნა+3 პასი), ჯორდანი (17+11 მოხსნა+3 დაფარება+3 ჩაჭრა), პოლი (15+11 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), კროუფორდი (15+3 პასი), რედიკი (13+3 პასი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1



დანიილ კვიატი

# რუსი შეიძლება წელსაც ვნახოთ

რუსი პილოტი **დანიილ კვიატი**, რომელიც გაისად **დანიელ რიკარდოს** ნაცვლად დაიცავს "ტორო როსოს" ღირსებას, უკვე წელს შეიძლება ვიხილოთ რბოლებში. მისი გამოსვლა იგეგმება აშშ-სა და ბრაზილიის ეტაპებზე.

კვიატი იმ შემთხვევაში დაიკავებს ავსტრალიელი პილოტის ადგილს "ტორო როსოში", თუ **მარკ უებერი** ვადაზე ადრე, აბუ დაბის გრანპრის შემდეგ დატოვებს "რედ ბულს". როგორც ცნობილია, 2014 წელს, "რედ ბულის" რიგებში უებერს სწორედ რიკარდო შეცვლის.

"ტორო როსომ" ადრე გამოაცხადა, რომ 19 წლის რუსი პილოტი აშშ-სა (17 ნოემბერი) და ბრაზილიის (24 ნოემბერი) გრანპრიზე პარასკევის თავისუფალ პრაქტიკაში მიიღებს მონაწილეობას.

"ტორო როსო" კონსტრუქტორთა თასზე მერვე ადგილზე იმყოფება.

## ამბები

### დიდ ცირკში დოპინგი არ არის

ფორმულა 1-ის ყოფილმა ექიმმა **ჰარი ჰარტშტეინმა** უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სამეფო რბოლებშიც" იყენებენ დოპინგს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს თავმჯდომარემ **მარკ სანსონმა** განაცხადა: *„მრავალი წლის განმავლობაში პილოტები ილებდნენ ტაკრინს - პრეპარატს, რომელსაც გამოიყენებენ ისეთი ავადმყოფობის მკურნალობისთვის, როგორიცაა ალცჰეიმერის დაავადება. პილოტებს ეს პრეპარატი ტრასის უკეთ დამახსოვრებისთვის სჭირდებათ".*

ჰარტშტეინის თქმით, სანსონის კომენტარი - ეს არის *„უმეცარი ადამიანის ნათქვამი, რომელსაც ასეთი ხერხით სურდა გაზეთების ფურცლებზე მოხვედრა. ტაკრინი არასოდეს შედიოდა აკრძალული პრეპარატების სიაში".*

ამასთან, ჰარტშტეინს მაინც ეპარება ეჭვი იმაში, რომ პილოტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ტაკრინი.

„ამ პრეპარატს უამრავი უკუჩვენება აქვს. თქვენ შეგიძლიათ უფრო სწრაფი გახდეთ, მაგრამ სიკვდილის დიდი შანსიც არსებობს. ეს არ არის დოპინგი, მაგრამ მისი მიღება დიდი სისულელეა", - ამბობს ჰარტშტეინი „მოტორსპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

### დომენიკალი: ალონსოსთან კონფლიქტი არ არსებობს

"ფერარის" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** აღნიშნა: მას არანაირი კონფლიქტი არ აქვს **ფერნანდო ალონსოსთან**. მისი სიტყვებით, გუნდის მთავარი ამოცანა კვლავინდებურად ერთია - მოგება.

*"შესაძლოა, თქვენ გსურთ ჩვენს შორის გარკვეული კონფლიქტის ხილვა, მაგრამ, ვფიქრობ, დროა უკვე შეწყვიტონ ყველანაირი ლაპარაკი იმაზე, რომ ალონსოს ყველაფერი წესრიგში არ აქვს, - მოჰყავს დომენიკალის სიტყვები იტალიურ პრესას. - სიმართლე გითხრათ, მე კონფლიქტის ნიშნებს ვერ ვხედავ. ეს ჩემი პირადი აზრია და მიმაჩნია, რომ ფერნანდოც ასე ფიქრობს. ჩვენი მოტივაცია და გამარჯვებისკენ სწრაფვა ძველებურია. გამარჯვება - აი ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი".*

### გროსჟანი ლოტუსში დარჩება

"ლოტუსის" შეფმა **ერიკ ბულიემ** აღნიშნა, რომ გუნდმა შეათანხმა თავის ამჟამინდელ პილოტთან **რომენ გროსჟანთან** ახალი კონტრაქტის ყველა დეტალი. მისი სიტყვებით, ფრანგი აუცილებლად დარჩება გუნდში მომავალი სეზონისთვის.

*"ჩვენ უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, - ამბობს ბულიე. - ყველაფერი წესრიგშია. გროსჟანი რჩება გუნდში მომავალი წლისთვის. დარჩენილია მხოლოდ ხელმძღვანელობის მხრიდან დადასტურება".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## TV პროგრამა

**31 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ტრაბზონი-ლეგია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ბორუსია (მ)-აინტრახტი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-ნაპოლი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. ფეიენოორდი-ჰერაკლესი.
18:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-ჩელსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
22:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ბაიერნი-ჰერტა.
01:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. როდა-ეინდჰოვენი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლიბერეცი-სევილია.
12:00 სპორტ-NEWS.
12:45 ძიუდო. გრანპრი. ჩინეთი (LIVE).
15:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფერეირა-დნიპრო.
17:30 მსოფლიოს ფეხბურთის ლიდერები.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფენერბაჰჩე-ცსკა (LIVE).
01:45 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. შაკილ ო'ნილი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
12:20 ჩოგბურთი. ახალი ამბები.
12:50 საჩოგბურთო მიმოხილვა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| უიგანი-ქუინზ პარკი | 0:0 |

**ინგლისის ლიგის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-სიტი | 0:0 დ.დ. 0:2 |
| ტოტენჰემი-ჰალი | 1:1 პენ. 8:7 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-ლაციო | 1:1 |
| კალიარი-ბოლონია | 0:3 |
| ფიორენტინა-ნაპოლი | 1:2 |
| ჯენოა-პარმა | 1:0 |
| ვერონა-სამპდორია | 2:0 |
| იუვენტუსი-კატანია | 4:0 |
| ლივორნო-ტორინო | 3:3 |
| სასუოლო-უდინეზე | 1:2 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ვალენსია-ალმერია | 1:2 |
| ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2:2 |
| ოსასუნა-ვალეკანო | 3:1 |
| რეალი-სევილია | 7:3 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ვიდენბრუკი-ლევერკუზენი II | 0:4 |

**საფრანგეთი**

**ლიგის თასი. 1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| გინგამი-ევიანი | 1:2 |
| სოშო-მონპელიე | 1:1 დ.დ. 3:2 |
| რეიმსი-მონაკო | 1:0 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| პსვ-როდა | 1:3 |
| ალკმაარი-ახილესი | 7:0 |
| ექსელსიორი-ჰერაკლესი | 2:5 |
| გრონინგენი-კაპელე | 2:0 |
| პეკ ცვოლე-ვილჰელმინა | 4:0 |
| ვიტესი-ნოორდვიიკი | 5:0 |
| ფეიენოორდი-ჰოეკი | 3:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| გენკი-კორტრიიკი | 1:0 |
| ლოკერენი-ლიერსი | 1:0 |
| ოსტენდე-ანდერლეხტი | 0:3 |
| ჰევერლე-მონსი | 2:2 |
| შარლერუა-მეხელენი | 2:2 |
| ვარეგემი-გენტი | 3:2 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოლჰანენსე-კოვილია | 2:2 |
| ბელენენსეში-სანტა კლარა | 1:0 |
| ჟილ ვისენტე-მორეირენსე | 4:3 |
| მარიტიმუ-ფარენსე | 0:0 |
| სეტუბალი-პორტიმონენსე | 1:0 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-პარტსი | 0:1 |
| მორტონი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |
| მოზერველი-აბერდინი | 0:2 |

**დანიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| სიდვესტი-ოლბორგი | 1:3 |
| ნორდსილანდი-მიდტიულანდი | 3:1 |
| ნორდვესტი-ჰორსენსი | 0:4 |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 4:3 |

**ავსტრიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-შტურმი | 0:4 |
| კაპფენბერგი-ზალცბურგი | 1:7 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| არაუ-სტ. გალენი | 2:2 |
| გრასჰოპერსი-ციურიხი | 3:1 |

**საბერძნეთის თასი**

**1/16 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| აიგინიაკოსი-იანინა | 1:0 (0:0) |
| კალამარია-პანიონიოსი | 0:0 (1:3) |
| ლევადია-ასტერასი | 3:2 (1:2) |
| პანთრაკიკ.-ნიკი ვოლუ | 2:1 პენ. 1:4 (1:2) |
| აპოლონი-პლატანიასი | 2:1 (1:1) |
| ერგოტელისი-პანათინაიკოსი | 0:1 (1:2) |
| ანაგენისი-პაოკ | 0:1 (0:3) |
| ფოკიკოსი-ოლიმპიაკოსი | 3:5 (1:5) |

**თურქეთის თასი**

**III რაუნდი**

| | |
|---|---|
| ვანსფორი-ქარსიაქა | 1:0 დ.დ. |
| გენჩლერი-ბუიუქშეჰირი | 0:1 |
| ბანდირმა-ქაჰრამანმარა | 3:0 დ.დ. |
| სელიძი-თავშანლი | 0:0 პენ. 3:4 |
| ქართალი-სილივრი | 1:2 დ.დ. |
| ნაზილი-ორდუ | 1:0 |
| ნიგდე-ადანა | 1:2 |
| თოქათი-ბოლუ | 1:0 დ.დ. |
| სელჩუქლუ-ბალიქესირი | 0:2 |
| თურგუთლუ-ანთალია | 2:3 |
| ერჩიესი-გირესუნი | 2:1 |
| ახისარი-იესილი | 4:1 |
| ბუკა-აიდინი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ფეთჰიე-ბაირამფაშა | 1:1 დ.დ. 2:1 |
| გაზიანთეფი-ალთინორდუ | 6:5 |
| ქარაბუქი-მანავგათი | 3:2 |
| რიზე-თარსუსი | 0:0 პენ. 3:4 |
| ესქისეჰირი-ალანია | 2:0 |

**უელსის ლიგა**

| | |
|---|---|
| ქერსოუსი-კარმარტენი | 0:5 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| ალკი-აეკ | 3:0 |

**ჩეხეთის თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| იძლავა-სიგმა | 0:0 (4:0) |
| ბრნო-ვიქტორია | 4:0 (0:1) |

**რუსეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ვოლგა | 2:0 |
| ლუჩ ენერგია-რუბინი | 4:2 |
| ტოსნო-ურალი | 0:0 პენ. 5:3 |
| ანგუშტი-როსტოვი | 0:1 |
| გაზოვიკი-ტომი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| ხიმიკი-ცსკა | 1:2 |
| ტიუმენი-ზენიტი | 2:0 |
| დოლგოპრუდნი-კრასნოდარი | 1:4 |
| სალიუტი-დინამო (მ) | 1:0 |
| მორდოვია-ამკარი | 2:2 პენ. 4:3 |
| შინიკი-სპარტაკი | 0:1 |
| როტორი-ლოკომოტივი | 0:0 პენ. 4:3 |

**უკრაინის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| შახტარი (ს)-დინამო | 0:4 |
| დესნა-მეტალურგი (ზ) | 1:1 პენ. 5:4 |
| ლავუტიჩი-ავანგარდი | 1:0 |
| ტერნოპილი-ვორსკლა | 1:1 პენ. 3:1 |
| ჩერნომორეცი-დნიპრო | გადაიდო |
| კარპატი-მეტალისტი | 0:2 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კორონა-რუხი | 1:4 |
| ზაგლებე-ლეხია | 1:3 |
| ზავიშა-ლეგია | 3:1 |

**ხორვატიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| სიბალია-ზადარი | 0:2 |
| ზაგრები-ისტრა | 0:0 პენ. 3:4 |
| პოდრავინა-რიეკა | 1:3 |
| ვინოგრადარი-ჰაიდუკი | 1:3 დ.დ. |
| ზაგორა-დინამო | 0:5 |
| ნოვიგრადი-ინტერი | 0:2 |
| მედიმური-ოსიეკი | 0:0 დ.დ 0:2 |
| სლავენი-ლუჩკო | 5:4 |

**სერბეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| დონი სრემი-ბორაცი | 2:0 |
| ოფკ-იედინსტვო | 2:1 |
| სპარტაკი-ნაპრედაკი | 2:0 |
| ვოივოდინა-ნოვი პაზარი | 0:0 პენ. 3:0 |
| რადნიჩკი (ნ)-პარტიზანი | 0:3 |
| სლობოდა-ვოჟდოვაცი | 2:0 |
| ჩუკარიჩკი-იაგოდინა | 0:2 |
| ცრ. ზვეზდა-რადნიჩკი (კ) | 3:0 |

**სლოვენიის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| რადომლიე-მარიბორი | 1:4 |

**II მატჩები**

| | |
|---|---|
| სელიე-რუდარი | 1:3 (0:4) |
| გორიცა-ალუმინი | 3:1 (1:0) |

**უნგრეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბაია-უიპეშტი | 0:6 |
| ბიატორბადი-შიოფოკი | 0:2 |
| სიგანდი-დიოშდიორი | 3:4 |
| შაკვარი-ჰალადაში | 0:3 |
| დუნაუივაროში-პაკსი | 2:0 |
| ესმტკ-დებრეცენი | 1:2 |
| ეგერი-ნირეგიაზა | 1:1 პენ. 4:5 |
| კემეჩე-ჰონვედი | 1:3 |
| დირმოტი-დიორი | 0:3 |
| ბეკეშჩაბა-ვიდეოტონი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| პეჩი-მეზოკოვეშდი | 2:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| პირინი-ბოტევი | 1:1 |
| ლიუბიმეცი-ნეფტოხიმიკი | 1:1 |
| სლავია-ჩერნო მორე | 2:0 |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (ს) | 4:0 |
| ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი | 0:2 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| დაინავა-კლაიპედასი | 0:5 |

**ბოსნია**

| | |
|---|---|
| მლადოსტი-ჟრინსკი | 0:2 |
| ველეჟი-რადნიკი | 5:2 |
| ჟვიეზდა-ტრავნიკი | 1:0 |
| ოლიმპიკი-სლავია | 6:0 |
| რუდარი-ვიტეჟი | 2:1 |
| ბორაცი-ლეოტარი | 1:0 |
| სელიკი-შიროკი ბრიეგი | 0:2 |
| სარაევო-ჟელეზნიჩარი | 0:0 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| გოსტივარი-მეტალურგი | 3:1 |
| ვარდარი-გორნო | 2:0 |
| მაკედონია-რაბოტნიჩკი | 2:3 |
| ნაპრედოკი-ტურნოვო | 2:2 |
| პელისტერი-რენოვა | 0:4 |
| შკენდია-ბრეგალნიცა | 2:0 |

**რუმინეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-ვიიტორული | 0:1 |
| სტიაუა-პოლი ტიმიშოარა | 2:0 |

**კორეა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| პოჰანგი-ინჩეონი | 2:1 |
| ულსანი-სეული | 1:0 |
| ჟეონბუკი-ბუსანი | 3:2 |

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| გიეონგნამი-ჩუნამი | 4:2 |
| სეონგნამი-განგვონი | 1:2 |

**სინგაპური**

| | |
|---|---|
| ტანჯონგი-პოუმ იუნაიტედი | 0:1 |
| ბალესტიერი-ვუდლანდსი | 3:0 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ლ. რიტასი-კახა ლაბორალი | 64:85 |

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ნ. ნოვგოროდი-ბუდუჩნოსტი | 83:62 |
| ბანვითი-მზტ სკოპიე | 85:61 |
| პაოკ-ანკარა | 75:77 |
| ციგონა-ერტლანდი | 77:87 |
| ჰაპოელი (ი)-ხიმკი | 80:87 (ო) |
| ვეფ რიგა-მაკაბი (ჰ) | 73:94 |
| ნილანი-ბეშიქთაში | 60:61 |
| პინარი-ლუკოილი | 84:69 |
| ტელეკომ ბონი-სარაგოსა | 108:104 |
| ოლდენბურგი-ცედევიტა | 92:90 (ო) |
| პანიონიოსი-ნეპტუნასი | 86:91 |
| იგოკეა-ასესოფტი | 77:84 |
| ვარეზე-ვილერბანი | 78:85 |
| კანტუ-ოსტენდე | 83:58 |
| ლე მანი-ნიმბურკი | 81:74 |
| ოლიმპია-ვალენსია | 67:64 |

### ხელბურთი

**მს. ჩემპიონატი 2015**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ლიტვა-საქართველო | 23:17 |
| ფინეთი-თურქეთი | 26:20 |
| სლოვაკეთი-კვიპროსი | 35:14 |
| ჰოლანდია-საბერძნეთი | 25:20 |
| ლუქსემბურგი-უკრაინა | 34:38 |
| ბელგია-ისრაელი | 29:27 |
| სლოვენია-შვეიცარია | 33:30 |
| პორტუგალია-ლატვია | 26:29 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ს. იულაევი | 2:1 (ბ) |
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 2:0 |
| ბარისი-ნეფტეხიმიკი | 5:1 |
| იუგრა-მეტალურგი (მ) | 2:5 |
| ლოკომოტივი-დინამო (რ) | 1:2 |
| სევერსტალი-ცსკა | 2:3 (ბ) |
| ატლანტი-სლოვანი | 0:1 |
| სკა-ლევი | 5:0 |
| სპარტაკი-სიბირი | 1:0 |
| დინამო (მნ)-მეტალურგი (ნ) | 5:2 |
| ზაგრები-ადმირალი | 3:2 (ბ) |
| დონბასი-ამური | 5:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ლინჩოპინგი | 3:2 (ბ) |
| ლეკსანდი-ჰვ71 | 4:2 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 1:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. პარიზი**

| | |
|---|---|
| ფერერი-როსოლი | 6:0, 2:6, 6:3 |
| ისნერი-პრისიეუნი | 7:6, 4:6, 6:3 |
| მაუ-სიმონი | 4:6, 7:6, 6:7 |
| დოდიგი-ალმაგრო | 4:6, 3:6 |
| ვავრინკა-ფ. ლოპესი | 6:3, 3:6, 6:3 |
| დელ პოტრო-ჩილიჩი | 6:4, 7:6 |
| დიმიტროვი-ფონინი | 6:3, 5:7, 6:2 |
| ნადალი-გრანოლერსი | 7:5, 7:5 |
| ჰაასი-კოლშრაიბერი | 2:6, 2:6 |
| ბერდიხი-ანდუხარი | 6:2, 7:5 |
| ფედერერი-ანდერსონი | 6:4, 6:4 |
| რაონიჩი-ჰაასე | 6:3, 6:4 |

**WTA. სოფია**

| | |
|---|---|
| სტოსური-ვესნინა | 6:3, 6:3 |
| ჰალეპი-კორნე | 6:4, 6:4 |
| სვიტოლინა-პავლიუჩენკოვა | 2:6, 4:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჰინგისი პოლიციამ დაკითხა



ტიბო და მარტინა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** შვიცის კანტონის (შვეიცარია) პოლიციამ დაკითხა. ყოფილი ჩოგბურთელი პოლიციაში თავისი ყოფილი მეუღლის **ტიბო უტენის** ცემის საქმესთან დაკავშირებით იყო დაბარებული.

შეგახსენებთ, რომ უტენმა 23 სექტემბერს შეიტანა სარჩელი სასამართლოში. ის ამტკიცებს, რომ მარტინა, მისი დედა **მელანი მოლიტორი** და დედის ბოიფრენდი **მარიო ვიდმერი** მის სახლში შეიჭრნენ. ტიბოს თქმით, ჰინგისი და მოლიტორი მას ხელებით სცემდნენ, იმ დროს, როცა ვიდმერმა სახლის პატრონს თავში DVD-ფლეერი ჩაარტყა.

შვეიცარიული პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ინციდენტის გამოძიების გაგრძელებაზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

# დოკიჩი ისევ ბრუნდება



ელენა დოკიჩი

სკანდალურად ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი **ელენა დოკიჩი** 2013 წლის ბოლოს კარიერის განახლებას აპირებს. 30 წლის ავსტრალიელი კორტზე 2012 წლის აპრილის შემდეგ არ გასულა, რისი მიზეზიც იყო მაჯის ტრავმა. დოკიჩი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ვერასოდეს შეძლებდა ჩოგბურთის თამაშს.

ელენამ უკვე დაიწყო ვარჯიში მელბურნის ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრში და იქ **ტოდ ვუდბრიჯთან** ერთად მუშაობს. 2000 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტს იმედი აქვს, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ეროვნულ შესარჩევ ტურნირზე სპეციალურ მიწვევას მიიღებს. ეს ტურნირი 2013 წლის დეკემბერში გაიმართება.

*„მე ამით მთელი ცხოვრება ვარ დაკავებული. მას შემდეგ, რაც ტურნირებზე ვიწყებ თამაშს, აღდგენა ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. ახლა, მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ გავიარე ის ცუდი, რაც ჩემს ცხოვრებაში ყოფილა“*, - ამბობს ელენა.

დოკიჩს პროფესიულ კარიერაში ექვსი ტურნირი აქვს მოგებული. რეიტინგში ელენას საუკეთესო მიღწევა იყო მეოთხე ადგილი, რომელიც 2002 წელს მოიპოვა.




როდიკი და ელტონ ჯონი

# სქესთა ბრძოლა იქნება

სახელოვანი მომღერალი და კომპოზიტორი, სერ **ელტონ ჯონი** და პლანეტის ყოფილი პირველი ჩოგანი **ენდი როდიკი** წყვილთა შეხვედრას ჩაატარებენ უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონის **ვინუს უილიამსისა** და წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებულის **მარიონ ბარტოლის** წინააღმდეგ. საჩვენებელი შეხვედრა, რომელმაც „სქესთა ბრძოლის“ სახელწოდება მიიღო, 17 ნოემბერს, ტელეკომპანია ESPN-ის სპორტულ კომპლექსში გაიმართება.

ამგვარი შეხვედრის ჩატარების მიზანია თანხის შეგროვება ელტონ ჯონის საქველმოქმედო ფონდისთვის, რომელიც შიდს-თან ბრძოლას ემსახურება.

ელტონ ჯონი ენდი როდიკის ძველი მეგობარია და მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში როდიკის ფონდის მხარდასაჭერად. მომღერალი ცნობილია, როგორც ჩოგბურთის დიდი მოყვარული, რომელიც თავადაც ხშირად გადის კორტზე.

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# ამერიკამ ფორმა წარადგინა



ცნობილმა ამერიკელმა მოდელიერმა **რალფ ლორენმა** შექმნა და წარმოადგინა სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ის ნაკრების ფორმა.

როგორც ამერიკული პრესა აღნიშნავს, ლორენი კომპლექტის შექმნისას მემკვიდრეობას და ამერიკული სტილის დახვეწილობას ეყრდნობოდა. მთლიანი კოლექცია შექმნილი და წარმოებულია აშშ-ში. ფორმის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ფრისტაილში მსოფლიოს ჩემპიონმა **ჰანა კარნიმ** და ფიგურულ სრიალში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ევან ლაისაჩეკმა**.

*“სპორტსმენისთვის ფორმა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე უმრავლესობას ჰგონია. როცა მას იცვამთ, ხვდებით, რომ ოლიმპიური გუნდის ნაწილი ხართ”*, - განაცხადა ლაისაჩეკმა.

Polo Ralph Lauren Corporation – ცნობილი ამერიკული მარკაა, რომელსაც ტანსაცმლის, აქსესუარების, ფუფუნების საგნებისა და პარფიუმერიის წარმოების მრავალმხრივი ხაზი გააჩნია. კომპანია 1967 წელს შექმნა ბელარუსის ქალაქ პინსკში დაბადებულმა რალფ ლორენმა, რომელმაც თავისი იმპერია ჰალსტუხების შეკერვით დაიწყო.

■ ■ ■

ამასობაში, ბობსლეიში აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა სოჭის ოლიმპიადისთვის შემადგენლობა დაასახელა. ქალთა გუნდში ორ საინტერესო პიროვნებას ვხედავთ - ესენი არიან ცნობილი მძლეოსნები: **ლოლო ჯონსი** და **ლორინ უილიამსი**.

ჯონსი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია 60 მეტრზე თარჯრბენში, აგრეთვე ლონდონის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, რაც შეეხება უილიამსს, 2005 წელს, ჰელსინკიში ოქროს მედალი მოიგო 100 მეტრ დისტანციაზე.

# 100 მანეთი 100 დღით ადრე



სოჭის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 100 დღე დარჩა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთში გამოუშვეს 100-მანეთიანების ახალი კუპიურები, რომელიც 2014 წლის ოლიმპიადას ეძღვნება. ასევე სიახლეა 25-მანეთიანი მონეტა, რომელზეც გამოსახულია „სოჭი 2014“-ის ოლიმპიური ჩირაღდანი, აგრეთვე საფოსტო ბლოკი - „ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშები ქალაქ სოჭში“ და „ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა“.

ბანკნოტები და მონეტები 20 მილიონი ტირაჟით ბრუნვაში გამოვა, ხოლო მარკების შეძენა რუსეთის ტერიტორიაზე იქნება შესაძლებელი.

# სარეკორდო ავსტრალია

ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოჭის ზამთრის თამაშებზე თავის ისტორიაში სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობას მიავლენს. სავარაუდოდ, გუნდის შემადგენლობა 55 ადამიანით იქნება დაკომპლექტებული.

ავსტრალიელებს კონკრეტული მიზანი აქვთ - მოხვდნენ მედლების ჩათვლაში პირველ 15 ნაკრებს შორის და მოიპოვონ მინიმუმ ოთხი მედალი.

„მწვანე კონტინენტის“ მთავარი იმედია ორი სნოუბორდისტი - **ტორა ბრაიტი** და **ალექს პალინი**. გარდა ამისა, მედალს ელიან ფრისტაილის სამი წარმომადგენლისგან - **ლიდია ლასილასგან, ლაურა პილისგან** და **დანიელ სკოტისგან**.

2013-13 წლების სეზონში, ავსტრალიელები 24-ჯერ მოხვდნენ ზამთრის სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატებისა და მსოფლიოს თასის პოდიუმებზე.



ტორა ბრაიტი

გოლფი




# EA-მ ვუდსი მოიშორა

გამომცემლობა Electronic Arts-მა უარი თქვა გოლფის სიმულატორ Tiger Woods PGA Tour-ში **ტაიგერ ვუდსის** სახელის გამოყენებაზე.

გამომცემლობის სპორტული განყოფილების შეფმა **დერის ჰოლტმა** აღნიშნა, რომ ვარსკვლავთან ხელშეკრულების გაუქმება ორმხრივი იყო. ორგანიზაციამ გოლფისტს მომავალ საქმეებში წარმატებები უსურვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვუდსთან თანამშრომლობის შეწყვეტაზე ლაპარაკი უკვე დიდი ხანია მიდიოდა. 2011 წელი არც ისე წარმატებული იყო ვუდსისთვის, რამაც ოდნავ შეარყია მისი ავტორიტეტი. იმ პერიოდში EA-ის შეფმა **ჯონ რიჩიტიელომ** განაცხადა, რომ დროა ვუდსმა მოგება დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მორიგი გარეკანი მისი გამოსახულების გარეშე გამოვა.

EA-სა და გოლფის ვარსკვლავს შორის თანამშრომლობა 15 წელი გრძელდებოდა, რომლის დროსაც, გამომცემლობამ 479 მილიონი ფუნტი გამოიმუშავა. პირველი სიმულატორი Tiger Woods PGA Tour-ის სერიიდან გაყიდვაში 1998 წელს გამოვიდა. სულ ეს სერია 16 ნაწილად გამოვიდა, მათგან ბოლო მაისში იხილა გოლფის მოყვარულმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608